852ო 16232
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 1 ივნისი, 2009 №25 (3518) | ფასი 1 ლარი

## ღვინიანიძე დააკავეს!




## ხიზანიშვილი თურქეთის გზაზე დგას



გალათასარაიმ დაცვას გახედა და...

## დათასული 11 მეტრი





# ღვინიანიძე დააკავეს!

## გერმანული პოლიცია გაუპატიურებას იძიებს

**უსიამოვნო** ამბავი შეემთხვა გერმანული „მიუნხენ 1860"-ის ქართველ მცველ მათე ღვინიანიძეს.

22 წლის ფეხბურთელი გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი.

აქვე დავძინოთ, რომ მსგავსი სახის პროვოკაციაზე გაცილებით მაღალი დონის სპორტსმენებს აბამენ ხოლმე ჩასაფრებული ქალბატონები და იმედი ვიქონიოთ, რომ მათეც უდანაშაულო იქნება.

ეს სკანდალი კი გერმანულ პრესაში ასე გაშუქდა: პოლიციამ დაიწყო გამოძიება მათე ღვინიანიძის საქმესთან დაკავშირებით. პარასკევს დააკავეს „მიუნხენ 1860"-ის ფეხბურთელი, რომელიც საღამოსვე გაათავისუფლეს.

პოლიციამ გერმანელ ჟურნალისტებს ეს ფაქტი დაუდასტურა: „დიახ, განცხადება შემოტანილია სექსუალურ ძალადობაზე და ახლა გამოძიება მიმდინარეობს".

ჩვენი კოლეგების ცნობით, პროკურატურამ უკვე დაიწყო მოწმეების დაკითხვა, რასაც ღვინიანიძის ადვოკატი კარლ ჰერცოგიც ადასტურებს.

„მათე მართლაც იყო პოლიციაში დაკითხვაზე. ჩვენ ვიცით, რომ ის გოგო მტყუანია და პროვოკაციას აწყობს. როგორც ჩანს, ის ცდილობს, ღვინიანიძის წყალობით დიდი გამოხმაურება გამოიწვიოს პრესაში, თუმცა მინდა ვუთხრა, რომ ტყუილად ირჯება. ჩვენს სიმართლეს მალე დავამტკიცებთ" — განუცხადა ჰერცოგმა ჟურნალისტებს.

ამ საქმემ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ საგანგებო განცხადების გაკეთება „მიუნხენ 1860"-საც მოუხდა, რასაც აქვე გთავაზობთ...

„პრესის ცნობით, ხუთშაბათს, მიუნხენში, დისკოთეკის დასრულების შემდეგ მათე ღვინიანიძემ საკუთარ ბინაში გააუპატიურა ქალი. „მიუნხენ 1860"-ის გენერალური დირექტორი მანფრედ შტოფერსი ამასთან დაკავშირებით აცხადებს: მათე ღვინიანიძემ ადვოკატის დახმარებით მოგვაწოდა ინფორმაცია მის წინააღმდეგ აღძრულ საქმესთან დაკავშირებით. მან ადვოკატს უფლება მისცა, ჩვენ საქმის დეტალები გაგვაცნოს, ასე რომ, ყველაფერი კარგად ვიცით. სანამ მათე ღვინიანიძეს დანაშაული არ დაუმტკიცდება, ის ჩვენთვის უდანაშაულოა და ამას ყველგან განვაცხადებთ. მათე ღვინიანიძე არ იყო წინასწარი გამოძიების პერიოდში დაკავებული. უბრალოდ, ის სხვა მოწმეებთან ერთად დაკითხეს და მალევე გაათავისუფლეს. ეს გვაფიქრებინებს, რომ მათეს ასეთი მძიმე დანაშაული არ დაუმტკიცდება და ის ამ საქმეში უბრალოა. იმედი გვაქვს, უახლოეს დღეებში საქმეს ნათელი მოეფინება და ჩვენი მათესადმი ნდობაც გამართლდება".

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# მჭედლიძე დაშავდა, მაგრამ ჩამოდის

**6 ივნისს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს მოლდოვასთან და შესაძლოა, ამ შეხვედრაში ახალგაზრდა ლევან მჭედლიძე ველარ დაიხმარონ...



იტალიური „პალერმოს" ქართველმა თავდამსხმელმა რამდენიმე დღის წინ ვარჯიშზე კოჭი დაიზიანა, გუნდს სერია A-ს ბოლო ტურშიც ვერ შეეშველა და ახლა მკურნალობს.

„ისე ჩამარტყეს, რომ ტკივილისგან ლამის გავმწარდი. სამწუხაროდ, ვარჯიშის გაგრძელება ველარ მოვახერხე და ექიმებმაც დასვენება გამომიწერეს. თბილისში აუცილებლად ჩამოვალ და ნაკრების ექიმებსაც გავესინჯები. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, შევძლებ თუ არა მოლდოვასთან თამაშს" — გვითხრა ლევან მჭედლიძემ.

18 წლის უნიჭიერესი ფეხბურთელი ამ სეზონში მართლა ძალიან გააწვალეს ტრავმებმა, თუმცა სეზონი უკვე დასრულდა და იმედია, ლევანის უიღბლობასაც მოეღება ბოლო.

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# ზესტაფონის მიზანი: ზურაბ მენთეშაშვილი

## იმერლებს გამეზარდაშვილიც სურთ



დაბრუნდება ზურაბ მენთეშაშვილი საქართველოში?

**საინტერესო** ამბავი: „ზესტაფონს" ლატვიაში მოთამაშე ორი ქართველი ფეხბურთელის შეძენა სურს.

ლაპარაკია „სკონტოს" მცველ დავით გამეზარდაშვილსა და „ვენტსპილსის" ნახევარმცველ ზურაბ მენთეშაშვილზე.

როგორც შევიტყვეთ, ამათგან იმერლებს მენთეშაშვილის გადაბირების უკეთესი შანსი აქვთ, რადგან გამეზარდაშვილი ევროპაში გეგმავს წასვლას.

სანდო წყაროს ცნობით, „ზესტაფონსა" და მენთეშაშვილს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# რატი ალექსიძე დუბლით დახურა

**რატი ალექსიძემ** დუბლით დაასრულა უნგრეთის ჩემპიონატი.



„დიორ ეტო" 2:3 დამარცხდა „შიოფოკთან" და ორივე ბურთი ქართველმა თავდამსხმელმა შეაგდო — 66-ე და 87-ე წუთებზე გამოიჩინა თავი.

რატიმ სრულად ითამაშა, კიდევ ერთი დიორელი ქართველი, დავით ოდიკაძე კი 58-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ალექსიძე ზამთარში გადავიდა უნგრულ კლუბში და მეორე წრეში 5 გოლის გატანა მოახერხა.

„დიორ ეტომ" ჩემპიონატი მე-8 ადგილზე დაასრულა და ევროთასს მიღმა დარჩა...

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# ვის გასცემს პასუხს გია გრიგალავა?!



**ორ** ცეცხლს შუა დგას გია გრიგალავა.

რუსული „მოსკვას" ქართველი მცველი ერთდროულად ორ ნაკრებშია გამოძახებული — რუსეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელებმა გრიგალავას თავისთან უხმეს!

ვფიქრობთ, მსგავსი პრეცედენტი ბევრი არ უნდა იყოს თანამედროვე ფეხბურთში და ალბათ გრიგალავასაც რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ჯერავის დავავალდებულებთ, გინდა თუ არა, ესა და ეს გადაწყვეტილება მიიღეო. ახლა მთავარი თავად გრიგალავას სიტყვაა და ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ უცნაურ ამბავს...

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# გამხელილი საიდუმლო

თბილისის „დინამოს" შემტევი
გიორგი მერებაშვილი ერთ-ერთი
საუკეთესო რომ არის
(საუკეთესო თუ არა)
საქართველოს ეროვნულ
ჩემპიონატში, სადავო
არავისთვისაა.
საინტერესო ისაა, რომ
მერებაშვილი არა მხოლოდ
თამაშით ამახსოვრებს უკვე თავს
გულშემატკივარს — ბევრი
ქართველი გოგონას შეტევებს
გიორგი ახლებური მეთოდით
უმკლავდება.
დიახ, მსოფლიო ფეხბურთში
ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევა,
ფეხბურთელს ფორმის შიგნით
გაკეთებული წარწერით ეთქვას
სათქმელი, საქართველოში კი
ამგვარი პრაქტიკა იშვიათია და აი,
ერთ-ერთი პირველი მარგალიტიც.
შაბათს, 30 მაისს, გიორგი
მერებაშვილმა საქართველოს თასი
ალმართა და მთელ სტადიონს
„ამცნო", რომ ის შეყვარებულია!
სარბიელელებსაც ამ წუთში
ერთადერთი ადრესატი გვყავს:
სოფო, გიორგის უყვარხარ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეცბაიამ დაიწყო
## ასეთი საჩუქრის განიავებას სულაც არ ვაპირებ...



**თემურ ქეცბაიამ** უკვე დაიწყო მუშაობა პირეოსის „ოლიმპიაკოსში", თუმცა იქამდე ქართველ მწვრთნელს ოფიციალური პრეზენტაცია ჰქონდა.

ქეცბაიას წარდგენამ ბერძენი ჟურნალისტების უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

პრესკონფერენციაზე ქეცბაიასთან ერთად „ოლიმპიაკოსის" პრეზიდენტი სოკრატის კოკალისიც წარსდგა და კიდევ ერთხელ გამოუცხადა დიდი ნდობა ქართველ მწვრთნელს.

„ქეცბაიასთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და გვჯერა, რომ მისი მუშაობა შედეგს გამოიღებს. იმედი გვაქვს, მომდევნო სეზონში ჩემპიონობასაც მოვიგებთ და თასსაც. ახალ მწვრთნელს მხარს ყველანაირად ვუჭერთ და ვეცდებით, პრობლემები დროულად მოვუგვაროთ. ჩვენ გვინდა, წარმატებას საერთაშორისო დონეზეც მივაღწიოთ და იმედია, ჩემპიონთა ლიგაში კარგად ვითამაშებთ" — განაცხადა კოკალისმა და ამის შემდეგ ჟურნალისტებმა ქეცბაია მოიხელთეს...

— მინდა, მადლობა გადავუხადო კლუბის პრეზიდენტს ამხელა ნდობისთვის. იმედია, წარმატებებს მივაღწევთ და გულშემატკივრებსაც გავახარებთ...

**— მაინც რის მიღწევას გეგმავთ „ოლიმპიაკოსში"?**

— კარგი იქნება, იმაზე უკეთეს შედეგებს თუ მივაღწევთ, რისთვისაც ფეხბურთელობისას მიმიღწევია. მჯერა, ისეთ გუნდთან ერთად, როგორიც „ოლიმპიაკოსია", ეს სრულიად შესაძლებელია.

**— შემადგენლობაში ბევრ ცვლილებას განახორციელებთ?**

— რადიკალურ ცვლილებებს არ ვგეგმავ. ვინც გუნდშია, ყველას დიდი იმედი მაქვს და მინდა, რომ მათ კარგად გაიგონ ეს. იმედია, საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება.

**— კი მაგრამ, რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დატოვა გუნდი და მათ შემცვლელებს არ ეძებთ?**

— მათ ნაცვლად ახლებს აუცილებლად მოვიწვევთ. ვეცდებით, კარგად შევარჩიოთ ჩვენთვის საინტერესო ფეხბურთელები. ბედმა ასეთი საჩუქარი მომცა და „ოლიმპიაკოსის" დარ დიდ გუნდში მომიყვანა. ამის განიავებას არ ვაპირებ და ვეცდები, შანსი გამოვიყენო.

**— ტაქტიკაც დიდად შეიცვლება?**

— ახლა ამაზე ვერაფერს გეტყვით. მთავარია, კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ. როცა შედეგი იქნება, მერე ვილაპარაკოთ დანარჩენზე.

**ქახა ზალამბერიძე**

# სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილებანი

**2009-10 წლების** სეზონის უეფა-ს საკლუბო ტურნირებსა და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ლიცენზიები მიიღეს საფეხბურთო კლუბებმა: 1. „ვიტ ჯორჯია" (თბილისი); 2. „დინამო" (თბილისი); 3. „ოლიმპი" (რუსთავი); 4. „ზესტაფონი".

ამ ოთხი საფეხბურთო კლუბის გარდა, 2009-10 წლების სეზონის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ლიცენზიის მაძიებლად განიხილებოდა კიდევ 13 საფეხბურთო კლუბი 7 — უმაღლესი ლიგიდან, 6 — პირველი ლიგიდან.

სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტმა 2009-10 წლების სეზონის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ლიცენზია მიანიჭა საფეხბურთო კლუბებს: 1. „სიონი" (ბოლნისი) — უმაღლესი ლიგა; 2. „მგლები" (ზუგდიდი) — ულ; 3. „ლოკომოტივი" (თბილისი) — ულ; 4. „გაგრა" — ულ; 5. „სპარტაკი" (ცხინვალი) — ულ; 6. „ბაია" (ზუგდიდი) — პირველი ლიგა/დასავლეთი; 7. „მერანი" (მარ-ტვილი) — პირველი ლიგა/დასავლეთი.

სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტის მიერ 2009-10 წლების სეზონის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ლიცენზიაზე უარი ეთქვა საფეხბურთო კლუბებს: 1. „მესხეთი" (ახალციხე) — ულ; 2. „ბორჯომი" — ულ; 3. „ამერი" (თბილისი) — პირველი ლიგა/აღმოსავლეთი; 4. „სამტრედია" — პირველი ლიგა/დასავლეთი; 5. „დინამო" (ბათუმი) — პირველი ლიგა/დასავლეთი; 6. „ტორპედო 2008" (ქუთაისი) — პირველი ლიგა/დასავლეთი.

აპელაციას ადგილი არ ჰქონია.

**P.S. ბოლო ინფორმაციით, პირველი ლიგის დასვლეთ ზონის გამარჯვებული „სამტრედია" ახლოსაა ლიცენზიის მიღებასთან**

# სტოილოვმა ბულგარეთი ჩამოთვალა

**6 ივნისს** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები, ბულგარეთი და ირლანდია სოფიაში შეხვდებიან ერთმანეთს.

ბულგარელთა თავკაცმა სტანიმირ სტოილოვმა უკვე გამოაცხადა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ამ მატჩისთვის მოემზადებიან...

***მეკარეები:*** *დიმიტარ ივანკოვი (ბურსა, თურქეთი), ნიკოლაი მიხაილოვი (ტვენტე, ჰოლანდია);*

***მცველები:*** *ილიან სტოიანოვი (სანფრეჩე, იაპონია), ივორ ტომაშიჩი (მაკაბი, ისრაელი), ელინ ტოპუზაკოვი (ჰაპოელი, ისრაელი), ჟივკო მილანოვი (ლევსკი), იორდან ტოდოროვი (ცსკა);*

***ნახევარმცველები:*** *სტილიან პეტროვი (ასტონ ვილა, ინგლისი), სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), დიმიტარ ტელკიისკი (ჰაპოელი, ისრაელი), ველიზარ დიმიტროვი (მ. დონეცკი, უკრაინა), ბლაგოი გეორგიევი (ტერეკი, რუსეთი), რადოსტინ კიშიშევი (ლიტექსი);*

***თავდამსხმელები:*** *დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), მარტინ პეტროვი (სიტი, ინგლისი), ვალერი ბოჟინოვი (სიტი, ინგლისი), ვალერი დომოვჩისკი (ჰერტა, გერმანია), დიმიტარ მაკრიევი (აშდოდი, ისრაელი), დიმიტარ ბერბატოვი (მანჩესტერი, ინგლისი).*

**ოთარ მხეიძე**




WISSOL

# ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას განცხადება

**1 ივნისს,** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საფეხბურთო სკოლა „ავაზა" და ვისოლის სპორტული კომპლექსი სოფელ დიღომში დედაქალაქისა და რეგიონების სკოლის მოსწავლეთა ტურნირს უმასპინძლებს მინი-ფეხბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

სპორტულ ტურნირებში 300-მდე 10-დან 13 წლამდე მოზარდი და დამამთავრებელი კლასის მოსწავლე იასპარეზებს საქართველოს 30-მდე სკოლიდან.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ტურნირთან დაკავშირებით 1 ივნისს, 14:00 საათზე, საფეხბურთო სკოლა „ავაზაში" გაიმართება პრესკონფერენცია.

„ვისოლს სჯერა, რომ საქართველოში ახალგაზრდები დაკავებულნი უნდა იყვნენ სწავლით და სპორტით. ჯანსაღი ცხოვრების წესი პირად თუ პროფესიულ ასპარეზზე წარმატების ძირითადი გარანტიაა. ამას გარდა, ვისოლი ვალდებულად თვლის საკუთარ თავს, გვერდში ედგას ქართულ სპორტს, რადგან კომპანია თვითონ სპორტული წესით ცხოვრობს" — აცხადებს სოსო ფხაკაძე, ვისოლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად 2008 [illegible] ჯგუფმა სპორტის მიმართულებით უამრავი საინტერესო პროექტი განახორციელა.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ვისოლ ჯგუფის მიერ ჩადებულმა ინვესტიციამ ჯამურად 8 მილიონ ლარამდე შეადგინა.

ვისოლ ჯგუფის მიერ განხორციელდა დიდ დიღომში რაგბისა და ველოსპორტის სპეციალიზირებული სპორტული კომპლექსის მშენებლობა, სოფელ დიღომში კრივის, კარატეს და ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებისათვის სპორტული კომპლექსის მშენებლობა და აღჭურვა და შუამთის ქუჩაზე არსებული რაგბის კომპლექსის სრული რეაბილიტაცია.

რამოდენიმე თვის წინ ვისოლმა საფეხბურთო სკოლა „ავაზას" სრული რეაბილიტაცია დაასრულა და უძველესი სკოლა უეფას სტანდარტების შესაბამისად მოეწყო.

2008 წლის ივნისში კომპანიამ შეისყიდა უძველესი ქართული რაგბის კლუბი „ყოჩები", რომელიც უკვე „ვისოლი-ყოჩების" სახელით იღებს ასპარეზობებში მონაწილეობას.

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ფინალი

www.pfl.ge

# დაჯექით, დაჯექით!
## მეგრელაძემ სტადიონი თავიდან შეავსო, მაგრამ...






# დინამომ თასს 11 მეტრიდან გაუტანა

30 მაისი. 20.15 საათი
დინამო თბილისი – ოლიმპი რუსთავი 1:1 (2:0პ)
თბილისი. მიხეილ მესხი. 13 000 მაყურებელი

1:0 ნერგაძე (79), 1:1 მეგრელაძე (89)

პენალტების სერია: 1:0 ნერგაძე, 1:0 ონიანი (მეკარე), 2:0 ხმალაძე, 2:0 ჭელიძე (მეკარე), 2:0 კოშკაძე (მეკარე), 2:0 ფიფია (ააცილა), 2:0 ტომიჩი (ააცილა), 2:0 ჩიკვილაძე (ააცილა)

დინამო: ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე, შ. კაშია, ნემსაძე (ტომიჩი 119), დილმელაშვილი, კოშკაძე, გ. მერებაშვილი (კაკუბავა 89), ჯიუსი (აკირემი 86)

*სათადარიგონი:* ოვონო, სპასოევიჩი, გველესიანი, ლომია

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

ოლიმპი: მ. ალავიძე, თ. ლონლაძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა, ხუბუა (ჩიკვილაძე 72), გ. სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (ფიფია 86), გ. ჩხეტიანი (გ. ნოდ. ჭელიძე 88), მეგრელაძე

*სათადარიგო:* სტურუა, დეკანოსიძე, რეხვიაშვილი, ახალაია

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: ალავიძე (21), მერებაშვილი (39), მეგრელაძე (90), დილმელაშვილი (113)

გაძევება: გ. კაშია (89)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე, დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

**მოლოდინისამებრ,** დაძაბული და საინტერესო გამოდგა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის" გათამაშების ფინალი.

მოულოდნელი არც გახსნის საზეიმო ცერემონიალის პომპეზურობა ყოფილა — საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა აქამდეც დიდ ყურადღებას უთმობდა ასეთ რამეებს.

მოკლედ, გუნდებამდე მოედანზე ის 64 გოგონა გამოვიდა, რომლებმაც ახლახან ჩემპიონთა ლიგის ფინალი გახსნეს და ამ ყველაფრის რეჟისორი ლაშა ონიანი გახლდათ.

ფინალი კი ისეთი გამოდგა, როგორიც უნდა გამოსულიყო.

ბანალური ფრაზაა, მაყურებელი ფეხბურთს ალამაზებსო და როგორ გინდა, ამის მთქმელს შეეკამათო — ფეხბურთის ხიბლი ხომ სავსე ტრიბუნაა და ამის მაგალითი შაბათ-საღამოც გამოდგა. მართალია, ტრიბუნები გადაჭედილი არ ყოფილა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, ხალხი სკამებზე კანტი-კუნტად იჯდა.

რაც მთავარია, „დინამოს" და „ოლიმპის" მხარდამჭერებმა გულიანად უქომაგეს გუნდებს.

პირველი ტაიმი შედარებით ცუდი სანახავი გამოდგა — მეტოქეები ძალიან უფრთხოდნენ ერთმანეთს და დაძაბულობაც განსაკუთრებით პირველ 45 წუთში იგრძნობოდა.

სახიფათო მომენტებიც ცოტა შეიქმნა, მაგრამ რაც იყო, მართლა სახიფათო ეთქმოდა — აქეთ დინალდ ჯიუსს აცალა გიორგი ონიანმა ბურთი ბოლოწამს და გულვერდ თომაშვილმა გაარტყა ხარიხას; იქით კი ორივეჯერ გიორგი მეგრელაძეს ჰქონდა გოლის გატანის შანსი — ჯერ ჯარიმიდან მოარტყა ბურთი ბადეს გარედან, მერე კი თავური აუღო გიორგი ლორიამ.

მეგრელაძე მეორე ტაიმში თითქმის ანალოგიური სიტუაციიდან იხეირებს და ულამაზეს საჯარიმოს გაიტანს, თუმცა იქამდე სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა...

სიტუაცია 79-ე წუთზე დაიძაბა, როცა უხეიროდ ჩაწოდებულ კუთხურს მაინც მიჰყვა საგოლე დარტყმა და გიორგი ნერგაძემ მარჯვენა დაბალ კუთხეში შეასრიალა ბურთი.

თითქოს დარჩენილ თერთმეტ წუთში რაღა უნდა მომხდარიყო, „დინამოს" ანგარიშის შენარჩუნება აღარ უნდა გასჭირვებოდა და უფრო მეტიც, ნერგაძეს მალე მეორე ბურთის და თამაშის დამთავრებაც შეეძლო, მაგრამ...

ვარლამ კილასონიამ შეცვლებით სცადა მეტოქეზე შტურმის მიტანა და შეიძლება ითქვას, ეს გამოუვიდა კიდეც — გიორგი ჭელიძის გარღვევა გურამ კაშიამ აკრძალული ხერხით შეაჩერა და...

89-ე წუთზე „დინამო" კაცნაკლული დარჩა...

აი, ამ დროს იყო ის ჯარიმა, ზემოთ რომ ვახსენეთ — მეგრელაძემ ლამაზად დაახვრიალა ბურთი და ახლო მაღალ კუთხეში შააგდო — 1:1.

ძირითადი დროც მალე ამოიწურა, თუმცა იქამდე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რუსთაველ ქომაგთა დიდი ნაწილის ქცევა — ბოლო წუთები რომ დაიწყო, აღმოსავლეთი ტრიბუნა ნელ-ნელა შეთხელდა. ეტყობა, რუსთაველებს მატჩის გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ, მაგრამ მეგრელაძის გოლი და გასასვლელებიდან საკუთარი ადგილებისკენ მათი თავგანწირული გარბენი ერთი იყო.

შეიძლება ითქვას, თამაში თავიდან იწყებოდა...

და, აი, აქ კი გაგვიცრუა იმედები „ოლიმპმა". აშკარა იყო, „დინამო" პენალტების სერიას თანხმდებოდა და სხვა გზა არც ჰქონდა — დამატებითი 30 წუთის უმცირესობაში ჩატარება არ იყო იოლი საქმე და რუსთაველებისგანაც შტურმს ველოდებოდით, მაგრამ...

როგორც ჩანს, არც მათ შერჩენოდათ იმდენი ძალა, რომ მეტოქე საჯარიმოში მიეჯაჭვათ.

ასეა თუ ისე, გამარჯვებულის ბედი პენალტებმა გაარკვია და ვინ როგორ შეასრულა დარტყმა, ამას ოქმშიც ნახავდით...

**ქახა ზალამბერიძე**





„დინამოს" ჩერნოგორიელები — ილია სპასოევიჩი და დანილო ტომიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა





გიორგი ნერგაძე (ზემოთ) და დინამოელები გასახდელში ხარობენ

**გიორგიმ ნერგაძემ პირველად მოიგო საქართველოს თასი და თან ამაში ლომის წილი დაიდო — რუსთავის „ოლიმპთან“ 30 მაისის ფინალში დინამოელთა მცველმა გოლიც გაიტანა და მატჩისშემდგომ პენალტების სერიაშიც გამოიჩინა თავი. ნერგაძე გუშინ რედაქციაში ვისტუმრეთ და ეს ინტერვიუ ჩამოვართვით...**

# თასი უკვე ვარჯიშზე მოვიგეთ

## გიორგი ნერგაძე: გოლის გაშვებისას კარგი არაფერი გამიფიქრებია

— ბუნებრივია, საუბარი ფინალით უნდა დავიწყოთ. რას იტყვი თამაშზე?

— თასის ფინალი დაძაბულობით ყოველთვის გამოირჩევა და ასე იყო ამჯერადაც. ფეხბურთელებიც უფრო კონცენტრირებულნი ვართ ხოლმე, რადგან ფინალს დიდი ყურადღება ექცევა, აჟიოტაჟი იქმნება და სტადიონზე ხალხი მოდის, რასაც სხვა დროს დანატრებულები ვართ. ამ მატჩისთვისაც განსაკუთრებულად მოვემზადეთ, რადგან ძალიან გვინდოდა, სეზონი ტიტულით ჩაგვემთავრებინა. მართალია, ევროსაგზური ორივე გუნდს განაღდებული გვქონდა, მაგრამ თასის მოგებაზე, ცხადია, უარს ვერც ერთი ვერ ვიტყოდით.

— თამაში ისეთი გამოვიდა, როგორსაც ელოდი?

— დაძაბული რომ იქნებოდა, ისედაც ვიცოდით. „ოლიმპი“, ჩემი აზრით, „დინამოს“ შემდეგ ყველაზე კარგი გუნდია საქართველოში და ეს მისი შემადგენლობიდანაც ჩანს — გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და იოლად არავის არაფერს უთმობს. თამაშიც რთული გამოდგა, ორივე გუნდს გვქონდა მომენტები, მეც შემეძლო მეორე გოლის გატანა, მაგრამ... ვფიქრობ, საბოლოო ჯამში კარგი თამაში გამოვიდა და მაყურებელიც არ დარჩებოდა უკმაყოფილო.

— თუმცა დიდი შანსი იყო, ყველაფერი ისე არ დამთავრებულიყო, როგორც ეს „დინამოს“ უნდოდა...

— გია მეგრელაძის ჯარიმამ კინაღამ ხელცარიელი დაგვტოვა... კიდევ კარგი, სიტუაციის გამოსწორება მოვახერხეთ...

— თუ გახსოვს, პირველი რა გაიფიქრე მეგრელაძის გოლის დროს?

— კარგი არაფერი. როგორი საქმეა, ბოლო წუთზე გავუშვით გოლი და თან კაცი გაგვიგდეს. იმ წუთში მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ საქმე თავიდან იწყებოდა და გაცილებით რთული ამოცანა გვქონდა გადასაჭრელი — ათი კაცით გოლი აღარ უნდა გაგვეშვა.

— დამატებით დროშიც ეს დავალება მიიღეთ მწვრთნელისგან? ანუ წინასწარ ამზადებდით თავს პენალტებისთვის?

— სხვა გზა აღარ იყო. გარისკვას შესაძლოა, ცუდი შედეგი მოეტანა, რადგან „ოლიმპთან“ უმცირესობაში თამაში იოლი არ იქნებოდა. თან რუსთაველებს უკვე გამოყვანილი ჰყავდათ ახალი თავდამსხმელები, რომლებიც ალბათ შეცდომას აღარ გვაპატიებდნენ. მთავარი იყო, ანგარიში შეგვენარჩუნებინა და მერე უკვე გიორგი ლორიას დიდი იმედი გვქონდა — პენალტებში ის ძალიან ძლიერია და ეს დაამტკიცა კიდეც.

— პენალტების სერიისთვის წინასწარ მოემზადეთ?

— კი, ვარჯიშებზე ამას დიდ ყურადღებას ვაქცევდით და სწორედ მაშინ მოგვეცა იმედი — ლორიამ იმდენი ბურთი აგვილო, რომ უკვე ვგრძნობდით, ის არც ფინალში შეირცხვენდა თავს.

— თუმცა ორივე გუნდმა ძალიან სუსტად დაარტყა პენალტები...

— ეს ალბათ ნერვიულობის ბრალი იყო...

— რამაც შენ ვერ შეგიშალა ხელი... შეიძლება ითქვას, რომ შენმა პენალტმა ბევრი რამ გადაწყვიტა...

— მწვრთნელმა მკითხა, დაარტყამდი თუ არა და მეც თანხმობა ვუთხარი. ისე გამოვიდა, რომ პირველს მომიწია ბურთთან მისვლა. საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი და ბედნიერი ვარ, რომ გუნდის წარმატებაში ჩემი წვლილიც შევიტანე.

— ბოლო დროს ამპლუა შეგიცვალეს და მცველად თამაშობ. შეეგუე ახალ პოზიციას?

— კი, პრობლემა არ მაქვს. დუშან უჰრინი უფრო ხშირად მათამაშებდა ხოლმე მცველად, რაინერ ცობელის დროს კი საყრდენი ნახევარმცველი ვიყავი. ამ ბოლო ხანს კი ისევ მცველობა მევალება და არ მაქვს ამაზე არანაირი გართულება. თან საყრდენობასა და მცველობას შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ — ორივე ამპლუის ფეხბურთელს ჩაშლა ევალება და მეც უცხოდ არ ვგრძნობ თავს უკანა ხაზში.

— რა შეგიძლია, თქვა ამ სეზონზე — ალბათ ბოლომდე კმაყოფილი ვერ იქნები...

— რა თქმა უნდა, ჩემპიონები ვერ გავხდით და ეს ცუდია. ჩემი აზრით, ღირსები ვიყავით, რომ ოქრო ჩვენ მოგვეგო, მაგრამ... ბევრი რამ „ვიტ ჯორჯიასთან“ საშინაო მატჩში ცუდმა მსაჯობამაც გადაწყვიტა — ვერ მივხვდი, რატომ ჩამოარიგა მსაჯმა ამდენი ყვითელი ბარათი და რატომ გვინიშნავდა თითქმის ყველა მიკარებაზე ჯარიმას. შეიძლება ითქვას, მან ხელ-ფეხი შეგვიკრა...

— ანუ ამ ერთმა თამაშმა დაგაკარგვინათ ჩემპიონობა?

— ეს თამაში რომ მოგვეგო, „ვიტ ჯორჯია“ ვეღარ გადაგვასწრებდა. ამაში დარწმუნებული ვარ. მერე კი...

— თუმცა მერე ზუგდიდის „მგლებთან“ რთული მატჩი კიდევ გრჩებოდათ და თან იმ „მგლებთან“ 0:1 წააგეთ...

— ამ თამაშსაც მოვიგებდით და ჩემპიონებიც გავხდებოდით. ზუგდიდში თამაშის დროს მხოლოდ ჩვენს თავზე აღარ ვიყავით დამოკიდებულნი და თან მაშინ მთელი საქართველო ლაპარაკობდა იმაზე, რაც „სიონი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას ხდებოდა. ბოლნისელები 3:1 რომ იგებდნენ, თითქოს იმედი მოგვეცა, თუმცა ამის მერე ზუგდიდის სტადიონის დიქტორი რომ დაიწყებდა გამოცხადებას — შეიცვალა ვითარება ბოლნისშიო — უკვე ყველაფერს ვხედ[illegible] „ვიტ ჯორჯიამ“ 4:3 მოიგო და ჩვენი ჩემპიონობაც იქ დამთავრდა...

— რომელმა გუნდმა გაგაკვირვა ამ სეზონში?

— „ზესტაფონმა“. ამ გუნდისგან მეტს ველოდებოდი, მაგრამ... ეტყობა, გაახალგაზრდავების პროცესის ბრალია, ზესტაფონელებმა ძველებურად წარმატებულად რომ ვერ ითამაშეს.

— და საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდი?

— რთული კითხვაა... რა გიპასუხოთ... ალბათ მაინც ზესტაფონელ ნიკა გელაშვილს... საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ბევრი საჭირო გოლი გაიტანა.

— და ერთიც: რას გვეტყვი შენს მომავალზე?

— ჯერ ვერაფერს, რადგან ზუსტად არ ვიცი, რა როგორ იქნება. შეიძლება, „დინამოში“ დავრჩე, შეიძლება, წავიდე... ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის და მეტის თქმაც ჯერ არ შემიძლია. ახლა მხოლოდ იმას ვფიქრობთ, რომ დავისვენოთ და დიდი შემართებით დავიწყოთ ევროთასისთვის მზადება. დანარჩენი გამოჩნდება...

**ბაჩა შალამბერიძე**



# კრშკომ ფინალით გაიხარა

**თბილისის** „დინამოს“ სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო საქართველოს თასის ფინალში საქომაგოდ საგანგებოდ ჩამოვიდა სამშობლოდან და ტრიბუნებიდან უგულშემატკივრა თანაგუნდელებს.

გეხსომებათ, კრშკო ტრავმირებულია — ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩში ფეხი მოიტეხა და ჯერაც უქმობს.

კრშკომ სლოვაკეთში გაიკეთა ოპერაცია და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის, თუმცა ფინალის გამოტოვება არაფრის დიდებით არ სურდა და აკი თბილისში ჩამოვიდა კიდეც.

დინამოელთა ლეგიონერი, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოსთვის დაიწყებს სრულყოფილ ვარჯიშს...

**ოთარ მხეიძე**

# ვაწაძე ჯანზეა

**თბილისის** „დინამოს“ [illegible] აზრდა თავდამსხმელი მათე ვაწაძე გამოჯანმრთელდა და პირველივე შეკრებაზე შეუერთდება გუნდს.

ვაწაძემ იანვარში გატეხილი ლავიწის ძვალზე ორიოდ თვის წინ ხელმეორე ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო ვერ ეხმარებოდა გუნდს.

როგორც შევიტყვეთ, იყო შანსი, მათე „ოლიმპთან“ მატჩის განაცხადშიც მოხვედრილიყო, თუმცა ექიმების რჩევით, ეს არ მოხდა.

როგორც უკვე ვთქვით, ასეთი რისკი ვაწაძეს ძვირად დაუჯდა და ახლა მთავარია, მან ბოლომდე მოიშუშოს იარა...

**ოთარ მხეიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს თასი 1990–2008

**1990 წელი**

18 ნოემბერი. ეროვნული. 35 000

**გურია 1:0დ.დ. (0:0) ცხუმი**

1:0 ფრიდონაშვილი (95)
**გურია:** ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (ბარათაშვილი 117), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, კაბისაშვილი
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე
**ცხუმი:** ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, მ. ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბისკირია, კურგენიანი
მწვრთნელი: გიგა ნორაკიძე
გაფრთხილება: კორღალიძე, ჩიხრაძე, კაბისაშვილი, გაბისკირია, პაპავა, ტყებუჩავა
მსაჯი: მ. მალაღურაძე

**1992 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 18 000

**იბერია 3:1 ცხუმი**

1:0 ინალიშვილი (33), 2:0 რევაზიშვილი (54), 3:0 შ. არველაძე (60), 3:1 ჯიშკარიანი (61)
**იბერია:** ჩხეიძე, არზიანი, ქველაძე, შელია, კუდინოვი, რევიშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე, ყაველაშვილი, შ. არველაძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
**ცხუმი:** ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, მინდაძე, მალანია, სიჭინავა (გადელია 72), მ. ჯიშკარიანი, პაპავა, გოგიაშვილი, გაბისკირია, ცაავა
მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა
გაფრთხილება: ქველაძე
მსაჯი: მ. კობიაშვილი

**1993 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 25 000

**დინამო 4:2 ბათუმი**

1:0 რ. არველაძე (4), 2:0 ა. არველაძე (22), 2:1 ტულუში (26), 3:1 შ. არველაძე (35), 4:1 რ. არველაძე (37), 4:2 ხომერიკი (78)
**დინამო:** ზოიძე (ჩხეიძე 81), ბერაძე, შელია, ჩიქოვანი, ჯამარაული, ა. არველაძე (ბ. კვარაცხელია 77), ინალიშვილი, ყაველაშვილი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: გივი ნოდია
**ბათუმი:** ბალაძე, შანიძე, მ. მახარაძე, თორლაშვილი, შეყილაძე, კანტიძე, ღლონტი (გულისაშვილი 78), ა. მუჯირი, ტულუში, მაჭუტაძე, ხომერიკი
მწვრთნელი: შოთა ქეიშვილი
გაფრთხილება: შანიძე
მსაჯი: ს. კვარაცხელია

**1994 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 20 000

**დინამო 1:0 მეტალურგი**

1:0 ყაველაშვილი (57)
**დინამო:** ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ნ. ლობჟანიძე, ჯამარაული, ინალიშვილი, გ. ნემსაძე, კიკნაძე, ყაველაშვილი, ანჩაბაძე, იაშვილი (ცქიტიშვილი 62)
მწვრთნელი: გივი ნოდია
**მეტალურგი:** გრიშიკაშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, ლ. ამბიძე, გახოკიძე (ლუდუშაური 46), კობიაშვილი, ვ. კილასონია, თ. მეტრეველი (მელაძე 68), გ. კილასონია, პერტია, კ. ალადაშვილი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
მსაჯი: თ. ლაცაბიძე

**1995 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 15 000

**დინამო 1:0 ბათუმი**

1:0 დემეტრაძე (27)
**დინამო:** ზოიძე, ბერაძე, დიდავა, ნ. ლობჟანიძე, მაჭავარიანი, კიკნაძე, გ. ნემსაძე (ყიფიანი 56), ჯამარაული (დემეტრაძე 16), ცქიტიშვილი, ქინქლაძე, ა. იაშვილი
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
**ბათუმი:** ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე (ა. მუჯირი 80), ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, კანტიძე (ხომერიკი 46), ტულუში, უჯმაჯურიძე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი
გაფრთხილება: მ. მახარაძე, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, შეყილაძე, მაჭუტაძე
მსაჯი: ო. გუნთაძე

**1996 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 35 000

**დინამო 1:0დ.დ. (0:0) ბათუმი**



ფეხბურთელებს შორის რეკორდსმენი — ირაკლი ზოიძემ შვიდჯერ აღმართა თასი




მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ მოიგო საქართველოს თასი

1:0 ინალიშვილი (96)
**დინამო:** ქანტურია, ლობჟანიძე, დიდავა, კობიაშვილი, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (ცქიტიშვილი 105), ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 56), ა. იაშვილი (დემეტრაძე 71)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე 73), მ. მახარაძე, ღლონტი, ა. მუჯირი, ტულუში, უჯმაჯურიძე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი
მსაჯი: თ. ლაცაბიძე

**1997 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 10 000

**დინამო 1:0 ბათუმი**

1:0 დემეტრაძე (31)
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ზ. ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი (კერძევაძე 55), გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, გ. ჩხაიძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 80), ანჩაბაძე, დემეტრაძე
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე 46), მ. მახარაძე, ღლონტი, ა. მუჯირი, ტულუში, უჯმაჯურიძე
მწვრთნელი: შოთა ქეიშვილი
გაფრთხილება: მუჯირი
მსაჯი: ხ. კვარაცხელია

**1998 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 20 000

**ბათუმი 2:1დ.დ. (1:1) დინამო**

1:0 კანტიძე (14), 1:1 ალექსიძე (36), 2:1 ჭიჭველიშვილი (118)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (ღლონტი 46), სიჭინავა, შეყილაძე, მინდაძე, თორლაშვილი (მაქაცარია 86), მ. მახარაძე, ხოლოდაშვილი, კანტიძე, ჭიჭველიშვილი, მაჭუტაძე
მწვრთნელი: შოთა ქეიშვილი
**დინამო:** ზოიძე, ნ. ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, დ. მუჯირი, ზ. ჯელაძე, კიკნაძე, ალექსიძე, სახვაძე, ცქიტიშვილი, აშვეთია
მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა
გაფრთხილება: ჯელაძე, მ. მახარაძე, ხოლოდაშვილი, ლობჟანიძე
გაძევება: ჯელაძე (58)
მსაჯი: ხ. კვარაცხელია

**1999 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 9 000

**ტორპედო 0:0 (4:23) სამგურალი**

**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი (იმედაძე 59), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე, ვ. თურმანიძე, კ. ჩხეტიანი (მაზანიშვილი 66), დ. ჯანაშია, გ. მეგრელაძე, იონანიძე
მწვრთნელი: ჯემალ ხერხაძე
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (შ. დარსაძე 101), გ. კილასონია, მ. აფციაური (მ. ჯინჭარაძე 79), ჯულელი, პეტრიაშვილი (ფრანგიშვილი 101), სუხიაშვილი, გ. შენგელია
მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე
გაფრთხილება: ჯანელიძე, ვოსკანოვი, აფციაური, ჯულელი, ბურნაძე, მეგრელაძე, ხვადაგიანი
მსაჯი: ს. კვარაცხელია

**2000 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 10 000

**ლოკომოტივი 0:0 (4:23) ტორპედო**

**ლოკომოტივი:** გ. ლომაია, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, აბრამიძე (რუსია 80), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, ჯულელი (გ. ჩხაიძე 88), ხიზანიშვილი, მ. ჯიშკარიანი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
**ტორპედო:** ზოიძე, მახვილაძე (შეყრილაძე 99), ვ. თურმანიძე, ხვადაგიანი, ახვლედიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (ასათიანი 82), იმედაძე (მეგრელაძე 46), კ. ჩხეტიანი, იონანიძე
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
გაფრთხილება: ხიზანიშვილი, ჭიჭველიშვილი, გოგიჩაიშვილი, ხვადაგიანი, კვეტენაძე, მახვილაძე, შეყრილაძე
მსაჯი: ს. კვარაცხელია

**2001 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 20 000

**ტორპედო 0:0 (4:33) ლოკომოტივი**

**ტორპედო:** ზოიძე (ტოგონიძე 120), აბრამიძე, დიდავა (მ. ჯინჭარაძე 115), ს. თოდუა, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, კვეტენაძე, სილაგაძე, დ. ჯანაშია (ასათიანი 66), დ. ჯანაშია, აშვეთია, იონანიძე
მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი
**ლოკომოტივი:** გ. ლომაია, ბალაშვილი, შელია, სალუქვაძე, ბაქრაძე, რ. ონიანი, ანჩაბაძე, ჭიჭველიშვილი, ა. გილაური, გოგიჩაიშვილი (დათვაძე 8), კაიდარაშვილი (გ. შენგელია 91)
მწვრთნელი: გივი ნოდია
გაფრთხილება: ბალაშვილი, ლომაია, ანჩაბაძე, დათვაძე, ქემოკლიძე, სილაგაძე
მსაჯი: მ. მალაღურაძე

**2002 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 8 000

**ლოკომოტივი 2:0 ტორპედო**

1:0 დავითაშვილი (34), 2:0 ჯანაშია (63)
**ლოკომოტივი:** გ. ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, ქორიძე (დავითნიძე 90), ჭიჭველიშვილი (ლაცაბიძე 88), გოგიჩაიშვილი, დავითაშვილი (რუსია 67), სირაძე, ზ. ჯანაშია
მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე
**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, დიდავა, ს. თოდუა (ახალკაცი 68), აბრამიძე, ქემოკლიძე, ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, ასათიანი, პორომინი (ქუთათელაძე 59), იონანიძე (ბაბუნაშვილი 46)
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
გაფრთხილება: დიდავა, ბალაშვილი, ასათიანი
მსაჯი: კ. მესხი

**2003 წელი**

26 მაისი. მიხეილ მესხი. 6 000

**დინამო 3:1 სიონი**

1:0 ხიზანეიშვილი (9), 2:0 დარასელია (16), 3:0 ანჩაბაძე (45), 3:1 ისიანი (75)
**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (ახალაია 46), ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი (კანდელაკი 76), შაშიაშვილი, ვ. დარასელია, გოგობერიშვილი, ბურდული (ი. ვაშაკიძე 60), კვირკველია, ანჩაბაძე, ალექსიძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი
**სიონი:** ვოლკოვი, ბურნაძე, სვანაძე (გოგიტაძე 46), შ. ხუჯაძე, გაბისკირია, გვასალია, შავგულიძე, კ. დაუშვილი (ბაქრაძე 59), დათვაძე (ისიანი 46), ფანჩულიძე, წივწივაძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე
გაფრთხილება: გოგობერიშვილი
მსაჯი: მ. მალაღურაძე

**2004 წელი**

26 მაისი. მიხეილ მესხი. 15 000

**დინამო 2:1 ტორპედო**

0:1 დავითაშვილი (3), 1:1 კაშია (61), 2:1 სილაგაძე (64)
**დინამო:** ზოიძე, სილაგაძე, კანდელაკი, შ. კაშია, შაშიაშვილი, კვირკველია, გ. ნემსაძე, კაკალაძე (ხმალაძე 78), ახალაია, ანჩაბაძე (შ. გრიგალაშვილი 88), ს. იაშვილი (ლ. მელქაძე 59)
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე
**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, გამეზარდაშვილი, ლ. ჭელიძე, ს. თოდუა, მემარნიშვილი (ხუციშვილი 46), ბაბუნაშვილი (მუმლაძე 82), კოშკაძე, ბოლქვაძე (გ. ჩხეტიანი 79), ნერგაძე, დავითაშვილი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია
გაფრთხილება: კანდელაკი, ბოლქვაძე, სილაგაძე
მსაჯი: ს. კვარაცხელია

**2005 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 20 000

**ლოკომოტივი 2:0 ზესტაფონი**

1:0 ბობოხიძე (55), 2:0 მანჩხავა (60)
**ლოკომოტივი:** სტურუა, გ. სეთურიძე, გიგაური, მახვილაძე, გ. ონიანი, ლ. ქებაძე (გ. ყიფიანი 90), ლ. სანიკიძე, რ. ონიანი, მანჩხავა, ბობოხიძე (კახელიშვილი 80), სირბილაძე (რამონი 70)
მწვრთნელი: ნოდარ აკობია
**ზესტაფონი:** სომხიშვილი, ჩიკვილაძე (იმედაძე 63), შ. ლონლაძე, ს. თოდუა, გუჩუა (ბესარაშვილი 57), ძამსაშვილი, გ. თურმანიძე, განუგრავა (ნუდნი 66), კ. ჩხეტიანი, ზირაქიშვილი, იონანიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე
გაფრთხილება: იონანიძე, სეთურიძე, ხანიკიძე
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

**2006 წელი**

13 მაისი. მიხეილ მესხი. 15 000

**ამერი 2:2დ.დ. (4:33) ზესტაფონი**

1:0 დავითაშვილი (10), 1:1 იონანიძე (29), 2:1 წინამძღვრიშვილი (50), 2:2 ლონლაძე (90)
**ამერი:** ქვაჩახია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, სევასტოპულო (დოლიძე 60), დავითაშვილი (გ. კვახაძე 78), წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 72)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**ზესტაფონი:** ჭანტურია, გ. თურმანიძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ბენაშვილი (იმედაძე 73), განუგრავა, ბჟალავა (ნუდნი 61), ბ. ნოზაძე (გ. ნუგ. ჭელიძე 68), ფიფია, იონანიძე
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი
გაფრთხილება: დავითნიძე, ხვადაგიანი, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, კედელაშვილი, ლონლაძე, ნუდნი, ჩხეტიანი
მსაჯი: გ. ვადაჭკორია

**2007 წელი**

26 მაისი. ეროვნული. 25 000

**ამერი 1:0 ზესტაფონი**

1:0 ტატანაშვილი (61)
**ამერი:** ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე (კაკაშვილი 86), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (მესხი 69), დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი (ჩიმაკაძე 72)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**ზესტაფონი:** ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა (ფიფია 66), კ. ჩხეტიანი (გ. ჩხეტიანი 71), ჟონატასი, კესანი, ვიეირა, გ. ნუგ. ჭელიძე, რ. ონიანი, იონანიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე
გაფრთხილება: დავითნიძე, ჩიკვილაძე, ვიეირა, მესხი, ქვაჩახია, ონიანი
მსაჯი: ჩ. ჩაქირი (თურქეთი)

**2008 წელი**

16 მაისი. ეროვნული. 25 000

**ზესტაფონი 2:1 ამერი**

1:0 ონიანი (57), 2:0 ბ. გოცირიძე (62), 2:1 ტატანაშვილი (88)
**ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, საჯაია, აკუასაგა, კესანი, რ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ვიეირა (იონანიძე 85), ბ. გოცირიძე (შ. ლონლაძე 81), ნ. კვასხვაძე (მ. დაუშვილი 72)
მწვრთნელი: თემურ მახარაძე
**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (ტატანაშვილი 65), დოლიძე (ჩიმაკაძე 83), დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე, შალამბერიძე (ა. ალავიძე 60), რ. გოცირიძე
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
გაფრთხილება: კესანი, დიდავა, ხიდეშელი, აკუასაგა, დობროვოლსკი
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კუპერის რაზმი

**ჰექტორ** რაულ კუპერმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც მოლდოვასთან სათამაშოდ მოემზადებიან.

არგენტინელი სპეციალისტი შეკრებაზე ამ ფეხბურთელებს მიიწვევს:

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი);*

***მცველები:*** *უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), გურამ კაშია (დინამო), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), დავით გიგაური (ვაგრა), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია);*

***ნახევარმცველები:*** *ლევან ხმალაძე (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია), გიორგი ხეთურიძე (ოლიმპი), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ყენია (შალკე, გერმანია);*

***თავდამსხმელები:*** *ბექა გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა), ოთარ მარცვალაძე (ანჟი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (სკონტო, ლატვია), რატი ალექსიძე (დიორ ეტო, უნგრეთი).*

ნაკრებში კვლავ არ არის გამოძახებული მალხაზ ასათიანი, ვისაც



ჰექტორ რაულ კუპერი

სათამაშო პრაქტიკა უკვე არ აკლია და კუპერიც დღენიადაგ გვიმტკიცებს, ჩვენს შორის კონფლიქტი არ მომხდარაო, თუმცა ფაქტი სხვა რამეს გვეუბნება.

ასევე ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩნენ ალეკო ამისულაშვილი, გოგიტა გოგუა, დავით გამეზარდაშვილი, სანდრო გურული, ლევან გვაზავა, ილია კანდელაკი...

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ბიჭების საქმეში ნახვასაც ოდესმე მაინც მოვესწრებით...

ისევე, როგორც მოლდოვასთან გამოიცდებიან დავით დევდარიანი, გიორგი ფოფხაძე და ლადო დვალიშვილი, რაც მართლაც მისასალმებელი ამბავია...

**ბახა შალამბერიძე**

# მოლდოვაც კი ჩვენ გვემუქრება

## ჩობანუმ სერიის შეწყვეტა მოითხოვა



**მოლდოვის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პაველ ჩობანუ თბილისის ნაცვლად 6 ივნისს ბაჰამის კუნძულებზე ჩავა და ფიფას კონგრესს დაესწრება.

„თბილისში ჩარტერული რეისით ჩავალთ. თვითმფრინავში 50 მგზავრი ეტევა, ანუ ზუსტად ორი გუნდი. მე და გენერალური მდივანი ფიფას კონგრესზე წავალთ, რადგან თბილისში ჩასვლაც რომ გვდომოდა, თვითმფრინავში ჩვენი ადგილი მაინც არ იყო — ეროვნულში და ახალგაზრდულ ნაკრებში ხომ 25-25 კაცია" — განუცხადა მოლდოვურ პრესას ჩობანუმ.

„მოლდფუტბოლის" ცნობით, ფედერაციის პრეზიდენტმა მკაცრად მოითხოვა ეროვნული გუნდისგან, წელიწადნახევრიანი მოუგებელი სერია დაასრულოს და საქართველოს ნაკრები დაამარცხოს.

ჟურნალისტები კი წერენ, 18 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როცა ფედერაციის პრეზიდენტი ნაკრების თამაშს არ დაესწრებაო.

მოლდოვის ნაკრებს 2008 წლის თებერვლის შემდეგ არ მოუგია და ჩობანუ ირწმუნება, საქართველო — მოლდოვის მატჩის მიმდინარეობას ინტერნეტით მივადევნებ თვალს და ემანდ ჩვენთვის ურიგო ანგარიში თუ დაფიქსირდა, მერე ვილაპარაკოთო...

„მეტი რაღა უნდა გავაკეთოთ? ნაკრებს ყველანაირი პირობა შევუქმენით, ჩავაცვით, დავახურეთ, ვავარჯიშეთ... მოედანზე თერთმეტი კაცი გადის და საქმე მათ უნდა გააკეთონ. ძალიან გვინდა ამ უიღბლო სერიის დასრულება" — ამბობს ჩობანუ.

აქვე გეტყვით, რომ ფიფა-„კოკაკოლას" მაისის რეიტინგში მოლდოვა 93-ე საფეხურზეა და 17 ადგილით უსწრებს საქართველოს.

**ბახა შალამბერიძე**

რიგის „სკონტოს" ქართველმა თავდამსხმელმა **ლადო დვალიშვილმა** მიმდინარე სეზონში უკვე 6 გოლი შეაგდო და საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებაც დაიმსახურა.

ჰექტორ რაულ კუპერმა დვალიშვილი 6 ივნისს მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ გამოიძახა.

გვეგონა, დვალიშვილთან ერთად კუპერი „სკონტოს" კაპიტან დავით გამეზარდაშვილსაც მიიწვევდა, თუმცა ასე არ მოხდა.

ჩვენც ლადოს შევეხმიანეთ რიგაში და ეს ინტერვიუ ჩავწერეთ...



# ნაკრები კლუბი არ არის — იქ შანსს რომ მოგცემენ, უნდა გამოიყენო

— მოსალოცი ამბავია: ნაკრებში გამოგიძახეს...

— კი, ვიცი და ძალიან გამიხარდა. დიდხანს ველოდი ამას და კარგია, რომ ამისრულდა.

— ჯანმრთელობის მხრივ ხომ არ გაქვს რამე პრობლემა?

— საბედნიეროდ, უკვე არაფერი მაწუხებს და 2 ივნისს მოვფრინავ. დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

— დიდხანს იყო ნაკრებში შენს გამოძახებაზე ლაპარაკი და როგორ ფიქრობ, ეს ის შანსია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენო?

— ამ ამბავმა ძალიან გამახარა და ჩემი აზრით, სწორედ ახლაა ჩემი შანსი. ნაკრები კლუბი არ არის — იქ შანსს რომ მოგცემენ, აუცილებლად უნდა გამოიყენო.

— და როგორ ფორმაში ხარ?

— რა ვიცი... ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება. „სკონტოში" ჩემით კმაყოფილები არიან. რასაც აქ მეუბნებიან და წერენ, კარგად ვთამაშობ და ვნახოთ...

— როგორ ფიქრობ, რა მოგცა ლატვიაში გადასვლამ?

— ალბათ თავდაჯერებულობა და გამოცდილება.

— და უკეთეს გუნდსა და ჩემპიონატში გადასვლაზე არ ფიქრობ?

— როგორ არა... ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ვნახოთ... ალბათ მეც გამიმართლებს და გადავალ სადმე, უკეთეს გუნდში.

— კონკრეტული არაფერია?

— არის რაღაცები და ვნახოთ... უფრო კონკრეტულს ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

— გრძნობთ, რომ შენთვისაც და დავით გამეზარდაშვილისთვისაც უკვე დროა, რომ ლატვიიდან წახვიდეთ?

— ჩვენც ასევე ვფიქრობთ და მონდომებულებიც ვართ, რათა უკეთეს გუნდში გადავიდეთ და ვნახოთ... ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება...

— ეს სეზონი კარგად დაიწყე, გოლებიც ბლომად გაიტანე, ამ ბოლო ტურებში კი გოლებს მოუკელი. რატომ?

— სამი თამაში გამიცდა ტრავმის გამო. რომ გამოვჯანმრთელდი და დავბრუნდი, კი მქონდა მომენტები, მაგრამ ვეღარ შევაგდე. არა უშავს, სანერვიულო არაფერი მაქვს, გოლების გატანას კიდევ გავაგრძელებ.

— ვინ მოიგებს ამ სეზონში ლატვიის ჩემპიონატს: თქვენი „სკონტო" თუ ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსი"? თუ საერთოდ, ლიეპაიას „მეტალურგსია" ფავორიტი?

— სამივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს. ვინც უფრო მეტს მო[illegible] ჩემპიონიც ის გახდება. ფავორიტის გამორჩევა ძალიან ძნელია...

**ბახა შალამბერიძე**

# სამი ყაზახი და ერთი ქართველი

**6 ივნისს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურად მოლდოვას გაეჯიბრება და უკვე ცნობილია ამ მატჩზე მომსახურე მსაჯთა ვინაობა: პაველ სალი, კურბან კურბანოვი, სერიკ შაპასბაევი (სამივე ყაზახეთი), გიორგი ვადაჭკორია (საქართველო).

დამკვირვებელი ავთანდილ შალამბერიძე იქნება.

შეხვედრა „მიხეილ მესხზე" 20 საათზე დაიწყება.

**ბახა შალამბერიძე**

# ახალგაზრდა მოლდოველები



სერგეი კირილოვი

**5 ივნისს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოლდოველ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

შეხვედრა რუსთავის „ფოლადზე" ჩატარდება და 16.30 საათზე დაიწყება. მსაჯები კი ქართველები იქნებიან: ოთარ ხეცაძე, შოთა ქუხილავა, გიორგი ყრუაშვილი და ვასილ ელისაბედაშვილი.

დამკვირვებელი — ამირან კაჭახიძე.

მოლდოველთა მწვრთნელმა სერგეი კირილოვმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც თბილისში ჩამოიყვანს...

***მეკარეები:*** *სტეპან სიკაჩი (ტერეკი, რუსეთი), ოლეგ ცუცულია (ტირასპოლი);*

***მცველები:*** *შტეფან კარაულიანი (ცსკა-რაპიდი), ანდრეი ვერბეცკი (ტირასპოლი), იგორ ანდრონიკი (ზიმბრუ), დმიტრი ბოგდანი (ისკრა), ალექსანდრ კიჩუკი (აკადემია), დმიტრი ბერბინსკი (ცსკა-რაპიდი);*

***ნახევარმცველები:*** *არტურ პატრაში (ვლორია, რუმინეთი), ალექსანდრ გროსუ (ცსკა-რაპიდი), ვასილი კარაუში (აკადემია), არტურ იონიცე (ისკრა), ევგენი სიდორენკო (ზიმბრუ), იონ დემერჯი (ზიმბრუ);*

***თავდამსხმელები:*** *იური ბონდარჩუკი (ტირასპოლი), დმიტრი კორნიშელი (ტირასპოლი), ალექსანდრ დედოვი (ვენტსპილსი, ლატვია).*

**ბახა შალამბერიძე**

# ზურა & გალა

## მოლაპარაკებები უკვე დაიწყო



**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „ბლექბერნის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი მოლაპარაკებებს თურქულ „გალათასარაისთან“ აწარმოებს.

პოპულარული გამოცემა „ფანატიკის“ ცნობით, „ბლექბერნმა“ ამის უფლება მისცა ფეხბურთელს და საქმეც დაიძრა.

„გალათასარაი“ ორ მცველს ეძებს და მათგან ერთი კანდიდატურა ხიზანიშვილია, ვისაც ეს სეზონი აშკარად ჩაუვარდა — ოდენ ხუთი მატჩი ჩაატარა პრემიერლიგაში.

ზურამ ადრევე თქვა, რომ სეზონის დასრულებისთანავე ახალი გუნდის ძებნას შეუდგებოდა. მალე „ვესტ ჰემმაც“ გამოთქვა მისი შეძენის სურვილი და აქაიქ შოტლანდიურ „რეინჯერსში“ დაბრუნებაზეც იყო ლაპარაკი, თუმცა საქმე ამის იქით აღარ წასულა.

ახლა კი „გალათასარაიც“ გამოჩნდა და ვნახოთ, როგორ დასრულდება მოლაპარაკებები.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლური კლუბის მწვრთნელად დღე-დღეზე ცნობილი ფრანგი სპეციალისტი პოლ ლე გუენი ინიშნება და ხიზანიშვილიც მის ვარიანტად ითვლება...

**ქახა შალამბერიძე**

# იოლმა აიაქსი გაართულა

## ახალ სეზონში არველაძე კუმანს დაეხმარება



**ამსტერდამის** „აიაქსის“ მწვრთნელად მარტინ იოლი დაინიშნა, რამაც საბოლოოდ გამორიცხა ამ გუნდში შოთა არველაძის თანაშემწედ გადასვლა.

„აიაქსი“ დანიელ მორტენ ოლსენთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა და საბოლოოდ არჩევანი გერმანული „ჰამბურგის“ თავკაცზე გააკეთა.

სწორედ ოლსენის გამწვრთნელების შემთხვევაში იყო მოსალოდნელი შოთას „აიაქსში“ გადასვლაც.

ახლა კი საქმე ასეა: არველაძე უკვე ესაუბრა „ალკმაარის“ ახალ მწვრთნელ რონალდ კუმანს და გადაწყვიტა, ჰოლანდიის ჩემპიონთან კიდევ ერთი წლით გააგრძელოს კონტრაქტი.

მოკლედ, შოთა ისევ ალკმაარელია...

**ქახა შალამბერიძე**

# ბეგლარიშვილი ორჰუსშია



**საქართველოს** ასაკობრივი ნაკრებების ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი დანიურ „ორჰუსში“ ისინჯება.

ბეგლარიშვილმა უკვე ორმხრივ თამაშებშიც მიიღო მონაწილეობა და დაიტოვებენ თუ არა გუნდში, რამდენიმე დღეში გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ „ორჰუსში“ დავით დევდარიანი ირიცხება და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება.

ბეგლარიშვილი „ორჰუსში“ „ფონდი არველაძეს“ დახმარებით ჩავიდა, იქამდე კი ამავე ფონდის ინიციატივით ამსტერდამის „აიაქსში“ და ენსხედეს „ტვენტეში“ ისინჯებოდა, თუმცა აქედან არაფერი გამოუვიდა და სეზონი პირველლიგელ გორის „დილაში“ ჩაამთავრა.

ვნახოთ, იმედია, ამჯერად იღბლიანი გამოდგება მისი ვიზიტი...

**ქახა შალამბერიძე**

# შოთა არ გამოვიდა. არჩილმა ტოპი თქვა



კლაუს ტოპმოლერი

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კლაუს ტოპმოლერი, შესაძლოა, თურქული „ტრაბზონსპორის“ თავკაცად დანიშნონ.

გუნდს გასულ სეზონში ერსუნ იანალი წვრთნიდა, რომელიც მოხსნეს და მის შემცვლელს ეძებენ.

ერსუნ იანალი მხოლოდ 2006 წლის შესარჩევში თავკაცობდა თურქეთს და ჯგუფში საქართველოსთან იყო.

ტოპმოლერამდე კი „ტრაბზონსპორს“ თურმე ლუის ვან გაალის და შოთა არველაძის წაყვანა სურდა, მაგრამ ჰოლანდიელი ძვირი უჯდებოდათ — 4 მილიონ 500 ათასი ევრო, რასაც შავიზღვისპირული კლუბი ვერ შესწვდა და ვან გაალიც საბოლოოდ მიუნხენის „ბაიერნში“ წავიდა.

თურქული მედიის ცნობით, კლაუს ტოპმოლერს ქალაქ ტრაბზონზე და მის გუნდზე გვარიანი ინფორმაცია არჩილ არველაძისგან შეუტყვია.

გამწვრთნელების შემთხვევაში გერმანელს, სავარაუდოდ, ერთ-ერთ თანაშემწედ „ტრაბზონსპორის“ რომელიმე ყოფილ ფეხბურთელს დაუნიშნავენ.

**რომან თურქია**

ბელარუსული „მტზ-რიპოს“ ქართველმა ნახევარმცველმა გივი კვარაცხელიამ ჩემპიონატის 9 ტურში 5 გოლი შეაგდო და ბომბარდირთა შორის ტრიალებს. კვარაცხელიას „პრესბოლი“ ესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს საინტერესო მონაკვეთებს გთავაზობთ...

# შესაძლოა, ზაფხულში მტზ-რიპო დავტოვო



„ისეთი ამპლუა ნამდვილად არ მაქვს, რომ ბევრი გოლი გავიტანო. ჩემნაირი ფეხბურთელისთვის ცხრა ტურში გატანილი ხუთი გოლი ბევრია. თუმცა გაჩერებას არ ვაპირებ...

...თავით ყოველთვის გამქონდა ხოლმე გოლები, თუმცა ამაში თანაგუნდელების დამსახურებაცაა. ისეთ ჩაწოდებებს აკეთებენ, რომ არგატანა სირცხვილია...

...ინგლისურად და ლიტვურად კარგად ვერ ვსაუბრობ, ლექსიკონის დახმარება მჭირდება ხოლმე, თუმცა საფუძველი მაქვს და ლეგიონერ თანაგუნდელებთან ურთიერთობაც არ მიჭირს. ისიცაა, რომ უმეტესობა უკვე ნელ-ნელა სწავლობს რუსულს და საქმეს ესეც აიოლებს...

...„მტზ-რიპოში“ ბოლო მომენტში დავბრუნდი, რადგან სატრანსფერო ფანჯარა იხურებოდა და უგუნდოდ დარჩენა მემუქრებოდა. ახლა ისევ გზაგასაყარზე ვარ — შესაძლოა, ზაფხულში დავტოვო „მტზ-რიპო“. ამ საკითხზე ახლა მუშაობა მიდის და ვნახოთ...

...ლიტვაში ხშირად ჩავდივარ ხოლმე, რადგან იქ ოჯახი მყავს. ჩემი მეუღლე ლიტველია და ახლა ქალიშვილთან ერთად მშობლებთანაა სტუმრად...

...პოლიტიკაში არ ვერევი. არც ისმაინტერესებს, ვინ რაშია დამნაშავე. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ქართველი ხალხი კარგად ცხოვრობდეს..."

**ქახა შალამბერიძე**

# ლომიძე ზიმბრუს ახსოვს

**მამუკა ლომიძე** წლების განმავლობაში თამაშობდა მოლდოვურ „ზიმბრუში“, თუმცა რამდენიმე თვის წინ თბილისის „ლოკომოტივში“ მოუნდა კარიერის გაგრძელება.

გავრცელებული ცნობით, ლომიძემ ფინანსური კრიზისის გამო დატოვა კიშინიოვური გუნდი და დროებით საქართველოში დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში ქართველი მცველი მხოლოდ პირველ ეტაპზე თამაშობდა „ზიმბრუში“, ქომაგებმა მაინც დააფასეს მისი გარჯა. ახლახან „ზიმბრუს“ ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვით, გულშემატკივრებმა 2008-09 წლების სეზონის იდეალური შემადგენლობა შეადგინეს და მასში ცენტრალური მცველის პოზიციაზე ლომიძე მოხვდა.

**ქახა შალამბერიძე**

# მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

იბსუ 5:1 ალგეთი
ამერი 2 3:0 გარეჯი
35-ე სკოლა 2:1 ერთობა
ლოკომოტივი 2 5:0 ხოოვეტი
დუშეთი 3:3 სამგორი
საარტაკი 2 3:0 არაგველები
ბორჯომი 2 0:3 ჰერეთი 2
ნ. დინამო 2 0:3 ალაზანი
იმედი — ლიახვი დღეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 31 | 21 | 5 | 5 | 75:29 | 68 |
| იბსუ | 31 | 21 | 2 | 8 | 82:40 | 65 |
| ამერი 2 | 31 | 19 | 5 | 7 | 54:24 | 62 |
| სპარტაკი 2 | 31 | 18 | 6 | 7 | 69:34 | 60 |
| დუშეთი | 31 | 17 | 5 | 8 | 59:37 | 57 |
| 35-ე სკოლა | 31 | 17 | 5 | 9 | 63:47 | 56 |
| გარეჯი | 31 | 16 | 6 | 9 | 51:33 | 54 |
| ლიახვი | 30 | 16 | 4 | 10 | 62:46 | 52 |
| ჰერეთი 2 | 31 | 13 | 4 | 14 | 57:47 | 43 |
| სამგორი | 31 | 11 | 8 | 12 | 62:52 | 41 |
| არაგველები | 31 | 10 | 6 | 15 | 37:47 | 36 |
| ალგეთი | 31 | 10 | 6 | 15 | 41:65 | 35 |
| ერთობა | 31 | 10 | 3 | 18 | 38:71 | 33 |
| იმედი (რ) | 30 | 8 | 8 | 14 | 35:56 | 32 |
| ალაზანი | 31 | 9 | 3 | 19 | 29:48 | 30 |
| ხოოვეტი | 31 | 8 | 6 | 17 | 36:62 | 30 |
| ბორჯომი 2 | 31 | 7 | 1 | 23 | 23:76 | 22 |
| ნ. დინამო 2 | 31 | 3 | 4 | 24 | 20:79 | 13 |

### დასავლეთი

გურია 2 3:0 ბაია 2
სქური 1:2 იმერეთი
ტორპედო 2 1:0 მერანი 2 (მ)
მარგვეთი 3:0 ჭიათურა
ნ. ტორპედო 1:3 მერცხალი
სამტრედია 2 1:1 კოლხეთი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 22 | 16 | 6 | 0 | 43:13 | 54 |
| ბაია 2 | 23 | 12 | 6 | 5 | 48:27 | 42 |
| იმერეთი | 22 | 13 | 1 | 8 | 36:27 | 40 |
| მერანი 2 (მ) | 22 | 11 | 4 | 7 | 32:23 | 37 |
| კოლხეთი 2 | 22 | 11 | 3 | 8 | 34:24 | 36 |
| სამტრედია 2 | 23 | 9 | 6 | 8 | 27:24 | 33 |
| გურია 2 | 22 | 9 | 4 | 9 | 41:34 | 31 |
| მარგვეთი | 22 | 8 | 5 | 9 | 30:38 | 29 |
| ნ. ტორპედო | 22 | 8 | 2 | 12 | 27:32 | 26 |
| ტორპედო 2 | 22 | 7 | 4 | 11 | 32:40 | 25 |
| იდელი | 21 | 7 | 4 | 11 | 30:40 | 25 |
| სქური | 22 | 5 | 3 | 14 | 23:40 | 18 |
| ჭიათურა 2 | 22 | 4 | 0 | 18 | 17:58 | 12 |

„ჭიათურა 2“ მოხსნილია გათამაშებიდან

ლუდსახარში ნატახტარი NATAKHTARI

ლუდსახარში ნატახტარი წარმოგიდგენთ
ბიზნესის ჩემპიონთა ლიგას

ლუდსახარში ნატახტარი NATAKHTARI

# შვიდ წუთში დაწერილი საჩემპიონო ალგორითმი

## საქართველოს უნივერსიტეტმა შესანიშნავად ითევზავა




„ალგორითმს“ ჩემპიონობა საქართველოს ნაკრების თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმაც მიულოცა

**გუშინ** ბიზნესის ჩემპიონთა ლიგამ პირველი სეზონი დაასრულა.

გნებავთ, სანახაობრივად და გნებავთ, ორგანიზაციულად, ტურნირი ისეთი გამოდგა, ალალად შევცვიდლია, ბარე ორ სპორტულ ჩინოსანს ვუთხრათ: აი, ასე უნდა ტარდებოდეს შეჯიბრებები!

ბიზნესის სუპერლგა კი „ალგორითმმა“ მოიგო.

პირველი ეტაპის მერე ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა ალგორითმელთა ჩემპიონობას, რაკი ამინდს უფრო სხვები ქმნიდნენ: სეუ, „იბერია“, „სპ. დეპარტამენტი“, „სარბიელი“...

მეორე ეტაპი, ანუ სუპერლიგა, „სარბიელმა“ გვარიანად დაბლა ჩაამთავრა, „იბერიას“ და „დეპარტამენტს“ დასაწყისში დაკარგული ქულები ბოლოს სანანებლად გაუხდათ, ბიზნესის თასის მფლობელმა სეუმ კი ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ მომავალ ჩემპიონთან ურთიერთშეხვედრაში მარცხმა (1:6) საბოლოოდ მასაც დააყრევინა ფარ-ხმალი.

„ალგორითმი“ კი პირველი ეტაპის მერე ისე მოძლიერდა, რომ ავერ შედეგიც და ამ გუნდის წარმატებას ვერც იღბალს მივაწერთ და ვერც შემთხვევითობას.

ერთადერთი, თუ გამართლებაზე ვიტყვით, „ალგორითმის“ ბოლო ტურის მატჩზე უნდა ვთქვათ: საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე ორი ბურთით აგებდა და მაინც შეძლო საჩემპიონო 3 ქულის მოპოვება.

კიდევ უფრო დაძაბული ბრძოლა და ბოლო ტური იყო უმაღლეს ლიგაში, სადაც ცხრილიდანაც ჩანს, რაოდენი მნიშვნელობა ჰქონდა არათუ თითოეულ ქულას, ყოველ გოლსაც კი.

აქ სამმა გუნდმა დააგროვა თანაბარი ქულები და გამარჯვებული სწორედ ბურთების შეფარდებამ გამოავლინა.

„საქართველოს უნივერსიტეტი“ ბოლო ტურის წინ მეოთხე ადგილზე გახლდათ, ანუ მისი ჩემპიონობა სხვათა ხელში იყო. იმ სხვებმა კი, „აფხაზეთმა“, „დინამომ“ და „იუ ჯი თიმ“ ისე ითამაშეს, რომ მღვრიე წყლიდან ოქროს თევზი სტუდენტებმა ამოიყვანეს.

ტურნირის ორგანიზატორებმა ჩემპიონების დაჯილდოვების გარდა თითოეული გუნდის საუკეთესოებსაც გადასცეს პრიზები.

ესენი იყვნენ:

„პეპსი“: ბაჩო გოგიშვილი;
„სარბიელი“: იური გაბისკირია;
„ვისოლი“: თემურ ჯაფარიძე;
„პალიტრა“: კახა სიდამონიძე;
„შერატონი“: გოგა ლავთაძე;
„პატრული“: ლევან მელაშვილი;
„ოლიმპიური ვარსკვლავი“: გიორგი გოგშელიძე;
„სპ. დეპარტამენტი“: ბახვა ამბიძე;
„იბერია“: დიმიტრი მაყაშვილი;
სეუ: გიორგი ჩალაძე;
„ალგორითმი“: ირაკლი სეფერთელაძე;

ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი 16 წლის ბაჩო გოგიშვილს გადაეცა, ხოლო ფეირ პლეის პრიზი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული სპორტული ექიმის, გოგიტა ლობჟანიძის სახელობისაა, „ალგორითმი 2“-ის მოთამაშე გიზო ფხორელიშვილს ერგო საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელ უჩა ლობჟანიძისგან.

საუკეთესო მეკარე „ოლიმპიური ვარსკვლავის“ ზაზა ლილუაშვილი გახდა; 18 გოლით საუკეთესო ბომბარდირობა სეუ-ელმა დავით გოგოლაძემ მოიპოვა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კი ორგანიზატორებმა ბახვა ამბიძე მიიჩნიეს.

უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი გოლი უნივერსიტეტელმა ბაჩო კობიძემ შეაგდო — 14, ხოლო საუკეთესო მოთამაშედ დინამოელი ბუბა ტყავაძე აღიარეს.

საუკეთესოებს პრიზები საქართველოს ეროვნული ნ[illegible]ელმა ექტორ რაულ კუპერმა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა, ვეტერანმა მეკარე ოთარ გაბელიამ და ლუდსახარში „ნატახტარის“ ბრენდ-მენეჯერმა ანა ქარჩავამ გადასცეს.

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მეორე სეზონი ოქტომბერში დაიწყება, მონაწილეობის მსურველებს კი ახლავე შეუძლიათ თადარიგის დაჭერა და განაცხადების წარდგენა.

**ქოტე ქექელია**




საქართველოს უნივერსიტეტი

### სუპერლიგა

**სარბიელი 2:6 ვისოლი**
0:1 ლ. ამბიძე (3), 0:2 ვაჩეიშვილი (4), 1:2 გაბისკირია (6), 1:3 ვაჩეიშვილი (7), 1:4 ჯაფარიძე (22), 1:5 შოთაშვილი (27), 2:5 მხეიძე (29), 2:6 ჯაფარიძე (30)

**შერატონი 3:2 პალიტრა**
1:0 არევაძე (5), 1:1 კბილაძე (12), 1:2 კურცხალია (21), 2:2 ქუფარაშვილი (22), 3:2 ლავთაძე (27)

**დეპარტამენტი 3:4 ალგორითმი**
1:0 ბ. ამბიძე (2), 2:0 კასრაძე (11), 2:1 ჩანთლაძე (22), 3:1 ჯორბენაძე (23), 3:2 ხუციშვილი (24), 3:3 ჩანთლაძე (27), 3:4 ლუკავა (29)

**სეუ 10:1 პატრული**
რატომ ქომაგობს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ახლანდელ პირველ ნომერს? პასუხი მარტივია: სწორედ პირველნომრობის გამო.

ჯნაჭა ბელგიელმა თქვა: „ძალიან სამწუხაროა, რომ ქალთა ჩოგბურთის გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. ერთი მხრივ, ეს საინტერესოა,

## 24 მაისი — 7 ივნისი. საპრიზო 16 150 460 ევრო

## ქალების ბადე

# რატომ უნდა მოიგოს საფინამ?



დინარა საფინა

რაკი ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ მგონია, რომ მსოფლიოს რეიტინგის ლიდერს დიდი სლემის ტურნირი მოგებული უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად ძნელია, მას მართლა უწოდო მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი. ამიტომაც ვქომაგობ საფინას, სხვა გამორჩეულ ჩოგბურთელებს კი ბოდიშს ვუხდი.

მას მერე, რაც ჟუსტინ ენინმა კარიერა დაასრულა, ეს კი 2008 წლის მაისში მოხდა, რეიტინგში პირველობა ხუთმა ჩოგბურთელმა შეძლო. ამათგან ორნი — საფინა და ელენა იანკოვიჩი ისე გახდნენ რეიტინგის ლიდერები, რომ დიდი სლემის ტურნირი მოგებული არ ჰქონდათ.

დინარა საფინა ჯერჯერობით იოლად იგებს თავის მატჩებს, ისევე როგორც „როლან გაროსის" მოქმედი ჩემპიონი ანა ივანოვიჩი. უფრო სწორად, სერბმა ტურნირი რთული გამარჯვებით დაიწყო იტალიელ სარა ერანთან, მაგრამ მერე იოლად გაუსწორდა მომდევნო მეტოქეებს.

პირველივე წრეში გამოეთიშა შეჯიბრს მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომერი ამელი მორესმო და თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ფრანგია, პარიზელი გულშემატკივრისთვის ეს ფრიად უსიამოვნო ამბავი გამოდგა. მეორე წრეში კი მას ალიზე კორნე და მარიონ ბარტოლიც მიჰყვა.

გაავსტრალიელებულმა სერბმა ელენა დოკიჩმა პირველი სეტი მოუგო ელენა დემენტიევას, მაგრამ მეორეში ზურგი იტკინა, ექიმსაც მიმართა და თითქოს თამაშის გაგრძელებაც შეძლო, მაგრამ ისევ ატკივდა და ჩოგანი დახარა.

მესამე წრეში კი ჩოგნის დახრა მოუხდა თვით ვინუს უილიამსს, რომელმაც მეტისმეტად იოლად წააგო ანგეშ სავაისთან.

ვინუსს დაუძლეველად ექცა მესამე წრე, რაკი „როლან გაროსზე" ზედიზედ მესამე წელია, სწორედ ამ ეტაპიდან ეთიშება ბრძოლას.

მესამე წრეში გავარდა ნოვაკ ჯოკოვიჩიც და ალალად ვთქვათ — მისი პირველსავე კვირაში გავარდნას ნაღდად არ ველოდით.

### 1/2

### 1/4

- **საფინა (1)** — რეზაი
- აზარენკა (9) — ივანოვიჩი (8)
- სავაი — ციბულკოვა (20)
- შარაპოვა — ლი (25)
- იანკოვიჩი (5) — კირსტეა
- რაზანო — სტოსური (30)
- კუზნეცოვა (7) — ა. რადვანსკა (12)
- ვოზნიაკი — ს. უილიამსი (2)

### 1/8

- **საფინა (1)** — პავლიუჩენკოვა (27) 6:2 6:0
- **რეზაი** — დე ბრიტო 7:6 6:2
- **აზარენკა (9)** — სუარეს-ნავარო (22) 5:7 7:5 6:2
- ბენეშოვა (32) — **ივანოვიჩი (8)** 0:6 2:6
- ვ. უილიამსი (3) — **სავაი** 0:6 4:6
- **ციბულკოვა (20)** — დულკო 6:4 6:2
- **შარაპოვა** — შვედოვა 1:6 6:3 6:4
- **ლი (25)** — გოვორცოვა 7:5 6:1
- **იანკოვიჩი (5)** — გროტი 6:1 6:1
- **კირსტეა** — ვოზნიაცკი (10) 7:6 7:5
- გარბინი — **რაზანო** 5:7 5:7
- **სტოსური (30)** — დემენტიევა (4) 6:3 4:6 6:1
- **კუზნეცოვა (7)** — ფინკი 6:1 6:3
- კ. ბონდარენკო — **ა. რადვანსკა (12)** 2:6 4:6
- დომინგეს-ლინო — **ვოზნიაკი** 2:6 6:3 3:6
- მარტინეს-სანჩესი — **ს. უილიამსი (2)** 6:4 3:6 4:6

### 1/16

- **საფინა (1)** — დიატჩენკო 6:1 6:1
- კოინი — **პავლიუჩენკოვა (27)** 2:6 6:7
- პერცოგი — **რეზაი** 6:3 4:6 2:6
- **დე ბრიტო** — ჟენგი (15) 6:4 6:3
- **აზარენკა (9)** — ბაროისი 7:6 7:5
- ჰრადეცკა — **სუარეს-ნავარო (22)** 2:6 4:6
- **ბენეშოვა (32)** — კუდრიავცევა 6:1 6:2
- ტანასუგარნი — **ივანოვიჩი (8)** 1:6 2:6
- **ვ. უილიამსი (3)** — შაფაროვა 6:7 6:2 7:5
- ვესნინა — **სავაი** 2:6 0:6
- **ციბულკოვა (20)** — ფლიპკენსი 6:1 6:0
- **დულკო** — გრონფელდი 7:6 0:6 6:2
- პეტროვა (11) — **შარაპოვა** 2:6 6:1 6:8
- რუსი — **შვედოვა** 0:6 2:6
- **ლი (25)** — ბაშინსკი 6:1 6:4
- ამანმურადოვა — **გოვორცოვა** 3:6 7:6 5:7
- **იანკოვიჩი (5)** — რიბარიკოვა 6:1 6:2
- **გროტი** — დუკე 6:2 7:6
- კორნე (21) — **კირსტეა** 3:6 2:6
- კლეიბასი — **ვოზნიაცკი (10)** 1:6 4:6
- ბარტოლი (13) — **გარბინი** 3:6 5:7
- **რაზანო** — გარიგესი (18) 6:2 6:2
- **სტოსური (30)** — ვიკმაიერი 6:3 4:6 6:4
- დოკიჩი — **დემენტიევა (4)** 6:2 3:4 უარი
- **კუზნეცოვა (7)** — ვესკობოევა 6:0 6:2
- **ფინკი** — ბამერი (28) 4:6 6:3 10:8
- **კ. ბონდარენკო** — როგოვსკა 4:6 7:5 7:5
- კორიცევა — **ა. რადვანსკა (12)** 1:6 4:6
- გლაჩი — **დომინგეს-ლინო** 6:7 5:7
- მარტიჩი — **ვოზნიაკი** 3:6 3:6
- **მარტინეს-სანჩესი** — კუტუზოვა 3:6 6:3 6:3
- პასკუალი — **ს. უილიამსი (2)** 2:6 0:6

### 1/32

- **საფინა (1)** — კეტავონგი
- **დიატჩენკო** — იუჰანსონი
- ვოვესი — **კოინი**
- ოლარუ — **პავლიუჩენკოვა (27)**
- კლეიბანოვა (23) — **პერცოგი**
- სიგიამა — **რეზაი**
- **დე ბრიტო** — სოუთი
- კოენ-ალორო — **ჟენგი (15)**
- **აზარენკა (9)** — კიმში
- სალერნი — **ბაროისი**
- მეუსბურგერი — **ჰრადეცკა**
- გალოვიცი — **სუარეს-ნავარო (22)**
- **ბენეშოვა (32)** — გეორგესი
- პეჩენკო — **კუდრიავცევა**
- **ტანასუგარნი** — პინი
- ერანი — **ივანოვიჩი (8)**
- **ვ. უილიამსი (3)** — მატეკ-სენდსი
- **შაფაროვა** — ლისიცკი
- **ვესნინა** — ბელტრამი
- დენტონი — **სავაი**
- **ციბულკოვა (20)** — ა. ბონდარენკო
- ფორეცი — **ფლიპკენსი**
- პაშეკი — **დულკო**
- **გრონფელდი** — მორესმო (16)
- **პეტროვა (11)** — ემბრე
- იაკიმოვა — **შარაპოვა**
- ხანესი — **რუსი**
- **შვედოვა** — კანეპი (19)
- **ლი (25)** — ლომახოვსკა
- ლოიტი — **ბაშინსკი**
- პავლოვიჩი — **ამანმურადოვა**
- **გოვორცოვა** — ზვონარიოვა (6)
- **იანკოვიჩი (5)** — ცვეტკოვსკა
- **რიბარიკოვა** — მლადენოვიჩი
- **გროტი** — ლეისნი
- **დუკე მარინო** — ჩაკვეტაძე (26)
- **კორნე (21)** — ანი
- გალიკსონი — **კირსტეა**
- პირონკოვა — **კლეიბასი**
- დუშევინა — **ვოზნიაცკი (10)**
- **ბარტოლი (13)** — პარმენტიერი
- **გარბინი** — მორიტა
- **რაზანო** — პანტუხოვა
- მაკაროვა — **გარიგესი (18)**
- **სტოსური (30)** — სკიავონე
- **ვიკმაიერი** — უ. რადვანსკა
- **დოკიჩი** — სპრემი
- სხიპერსი — **დემენტიევა (4)**
- **კუზნეცოვა (7)** — ფერშტაინი
- **ვესკობოევა** — მირზა
- სევასტოვა — **ფინკი**
- დეში — **ბამერი (28)**
- შნიდერი (17) — **კ. ბონდარენკო**
- **როგოვსკა** — კირილენკო
- მაირი — **კორიცევა**
- დე ლოს რიოსი — **ა. რადვანსკა (12)**
- პენეტა (14) — **გლაჩი**
- სტრიკოვა — **დომინგეს-ლინო**
- სანტანჯელო — **მარტიჩი**
- ნიკულესკუ — **ვოზნიაკი**
- პენი (31) — **მარტინეს-სანჩესი**
- **კუტუზოვა** — ონდრაშკოვა
- **პასკუალი** — ვალდიშოვა
- ზაკოპალოვა — **ს. უილიამსი (2)**

ეროვნული ბიბლიოთეკა






ამ რუბრიკის წინა „სტუმარი“ ყველა დროის უდიდეს მოკრივედ მიჩნეული ჯო ლუისი იყო. მისი ცხოვრების ამბების მოყოლისას ისიც ვახსენეთ, რომ დიდ ჩემპიონს ბოლო ბრძოლა სხვა ლეგენდასთან, როკი მარჩიანოსთან ჰქონდა-თქო და რომ ის ბრძოლა მსოფლიო კრივის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ჩხუბად არის შესული.
ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ რუბრიკაში ჯო ლუისის მერე როკი მარჩიანოს ცხოვრებაზე მოგვეყოლა.
შორს არ წავსულვართ — ამ შვიდიოდე წლის წინ ჟურნალ „სარბელში“ გვქონდა ვრცელი წერილი მარჩიანოზე და იმ წერილს წარმოგიდგენთ...

# როკი

## ერთადერთი დაუმარცხებელი ჩემპიონი მსოფლიო კრივის ისტორიაში

**1969 წლის** ზაფხულის ბოლო დღე იდგა. მშვენიერი ამინდი იყო და ათობით თვალი მისჩერებოდა სიმინდის უზარმაზარი ყანის თავზე მოფარფატე პატარა თვითმფრინავს. განა პირველად ხედავდნენ, უბრალოდ, იცოდნენ, რომ შტურვალთან თვით როკი მარჩიანო იჯდა — სრულიად ამერიკის სიამაყე და ცოცხალი ლეგენდა. თვითმფრინავის მართვა მისი ჰობი გახლდათ.

უეცრად ათობით თვალმა დაინახა, რომ თვითმფრინავი ჰაერში შეძიგძიგდა, რამდენჯერმე ამოტრიალდა და ლოდივით დაენარცხა მიწაზე. ასე უაზროდ დაიღუპა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე. მეორე დღეს მისი დაბადების დღე იყო. როკი მარჩიანოს დაღუპვის ცნობამ რამდენიმე საათში მთელი დედამიწა შემოიარა.

კრივის უამრავი მცოდნე მარჩიანოს არანაკლებ ლეგენდარულ ჯო ლუისსა და კასიუს კლეიზე დაბლა აყენებს. და ისინი, ეგებ, მართლებიც არიან, მაგრამ რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ მის არცთუ ნატიფ სტილზე, ფაქტად რჩება: კრივის ისტორიაში როკი მარჩიანო ერთადერთი დაუმარცხებელი ჩემპიონია.

ის ორმოცდაცხრაჯერ გავიდა პროფესიულ რინგზე და რეფერიმ ორმოცდაცხრაჯერვე მას აუწია ხელი — ის ხელი, რომლის საშინელი ძალაც თავზარს სცემდა მეტოქეებს. მეტი რა ვთქვათ: ორმოცდაცხრა მეტოქიდან მხოლოდ ექვსმა შეძლო ჩხუბის მერე რინგიდან თავისი ფეხით გასვლა, დანარჩენები გაჰქონდათ, ზოგი საავადმყოფოშიც კი.

თავად მარჩიანო სულ ორჯერ იყო ნოკდაუნში, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ყბაში თვით „შავ ბომბდამშენ“ ჯო ლუისსაც არაადამიანური ძალით უთხლეშია. ამიტომაც შემთხვევით არ მომხდარა, რომ მარჩიანომ თავისი მანქანის ნომრად, რაღაც რიცხვების ნაცვლად, სიტყვა „ნოკაუტი“ დააწერინა. ხოლო თუ მაინც შევეცდებით მარჩიანოს რაიმე ნიშნით ყველაზე წინ დაყენებას, დაუმარცხებლობის გარდა (რაც თავისთავად უდიდესი უპირატესობაა), ამ ნიშნის პოვნაც ძნელი არ არის: გამძლეობა, რითაც ის ლუისსაც და კლეისაც ერთად აღებულს სჯობდა.

როკი მარჩელჯანო, ეს მომავალი დიდი ჩემპიონის ნამდვილი გვარი იყო, 1923 წლის 1 სექტემბერს დაიბადა პატარა ქალაქ ბრონქსტონში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში. როკის მამა ინვალიდი იყო და, რაკი ფული მუდამ უჭირდათ, ბიჭი იძულებული გახდა, პატარაობიდანვე ემუშავა. სულ მძიმე ფიზიკური შრომა უწევდა. ოჯახს საარსებო ფული რომ ჰქონოდა, როკი ქუჩებში ყინულს ამტვრევდა, ბარებში ჭურჭელსაც რეცხავდა, მიწასაც თხრიდა, რომელშიც შემდეგ გაზის მილებს აწყობდნენ. ალბათ, ამიტომაც იყო, მუდმივი გაჭირვებისა და არცთუ კარგი კვების მიუხედავად, ძლიერ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ნებისყოფიან ბიჭად იზრდებოდა. მძიმე სამუშაოზე ხალხი ხშირად იცვლებოდა, ის კი არ წუწუნებდა და მუშაობას განაგრძობდა.

როკის ეს თვისებები ბეისბოლის მწვრთნელმაც შენიშნა, რომელთანაც იტალიელი ემიგრანტების შვილი თავისუფალ დროს ვარჯიშობდა. მწვრთნელი მას გამორჩეულ ყურადღებას აქცევდა და პიჩერის დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. უბნის გუნდში ის ძალიან მალე იქცა შეუცვლელ მოთამაშედ, მაგრამ როკი მარჩანჯელოსგან ბეისბოლისტი არ დადგა. ერთხელ ვარჯიშის დროს მან ხელი მოიტეხა და იძულებული გახდა, მორჩენამდე დაესვენა. მწვრთნელი ამ ამბავმა კი დაალონა, მაგრამ დიდად არ უნერვიულია — შეუხორცდება და დაკარგულ დროსაც მალე აინაზღაურებსო. შეცდა — ხელმოტეხილ ბიჭს ბრონქსტონელი კრივის მწვრთნელი ჯინ კალჯანო შეუჩნდა, ჩემთან სექციაში ჩაეწერეო. კალჯანოს როკი ბეისბოლის თამაშის დროს შეუმჩნევია და მოსწონებია. მაშინვე მიმხვდარა, რომ მისგან კარგი მოკრივე დადგებოდა. ეს რა ცოდვაა, მაგრამ მაინც გამხელილი სჯობს: კალჯანოს დიდი ხანია სურდა, დიდ რინგზე თანამემამულე, იტალიელი გაეყვანა. არადა, როკიმდე ნიჭიერი ვინმე თუ ხვდებოდა, სულ ზანგები იყვნენ.

როკი მომჯობინდა, ვარჯიში დაიწყო და კრივი ძალიან მოეწონა. მაგრამ მალევე სექციაში სიარულის შეწყვეტა მოუხდა — არა, არ დაშავებულა, ჯარში გაიწვიეს. 1943 წელი იყო და ფრონტზე უკრეს თავი. ფლოტში გაამწესეს და ბრიტანეთის კუნძულებისკენ გაუშვეს.

ნუ გაიკვირვებთ და, როკი მარჩიანო პროფესიონალ მოკრივედ სწორედ გაგანია ომის დროს ჩამოყალიბდა. ინგლისში შეჯიბრებებშიც გამოდიოდა, ოღონდ ეგაა, იმ თავპირისმტვრევას კრივს ძნელად თუ შევადარებთ.

ასე დაიწყო:

ამერიკელი ჯარისკაცები პაბში ისხდნენ და ლაზღანდარობდნენ. როკის ვიღაც გალეშილი მოუახლოვდა და რაღაცაზე აუხირდა. როკის ჯინ კალჯანოსგან ნასწავლი ილეთები გაახსენდა და შარის მაძიებელი გვარიანად მიბეგვა. სანამ იქ მსხდომნი სეირით ტკბებოდნენ, პაბის მეპატრონე უცბად მიხვდა, ნიჭიერ მოჩხუბართან რომ ჰქონდა საქმე, როკი გვერდზე გაიხმო და სამუშაო შესთავაზა: კვირაობით ჩვენთან ფულზე ჩხუბობენ, შეგიძლია კარგად იშოვოო.

სწორედ იმ ინგლისური პაბის უკანა ფარდულში გაიმართა როკი მარჩიანოს პირველი ნაღდი ჩხუბი, რომელსაც, ზემოთაც ვთქვით, კრივთან ბევრი არაფერი აკავშირებდა.

მოსეირეებს როკი თავიდანვე მოეწონათ. ბევრი მოჩხუბარი მასზე ტექნიკური იყო, მაგრამ ხალხს როკის არაადამიანური გამძლეობა აოცებდა. იმ პაბში ჩამოყალიბდა მისი სტილიც — როკის საკმაოდ დახრილს, ახლო დისტანციაზე ჩხუბი უყვარდა და ამგვარ სტილს პროფესიონალ მოკრივეობაშიც ვერ გადაეჩვია.

ომი დამთავრდა, როკი მარჩიანო ამერიკაში დაბრუნდა და უკვე იცოდა, რომ პროფესიულ კრივს გაჰყვებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჩხუბის გარდა არც არაფერი იცოდა.

იგი გაქნილ პრომოუტერს ელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენები

ველის ჩაუვარდა ხელში, რომელმაც ამ იტალიელი ემიგრანტის შვილში მთელი თავისი გამოცდილება ჩააქსოვა და „ბრონქსტონელი კარგი ბიჭის“ სახელი, როგორც როკის უწოდებდნენ, მთელ ამერიკას გააცნო. მოკრივის რეიტინგი სულ უფრო მაღლა იწევდა.

ცხადია, ამგვარი წინსვლა, ოდენ ელ ველის დამსახურებით არ აიხსნებოდა, თავად როკიც ძალიან მონდომებული გახლდათ. ის მიხვდა, რომ გრძელი და საშუალო მანძილები მისი საქმე არ იყო და მთელი ყურადღება მოკლე დარტყმებზე გადაიტანა, რომლებიც დღითი-დღე სულ უფრო და უფრო საშინელ ძალას იძენდა. როკი გაუთავებლად ვარჯიშობდა ჯერ დარბაზში, ხოლო შემდეგ ორი საათი აუზში იდგა და წყალქვეშ იქნევდა მუშტებს.

იხსენებენ, რომ მარჩიანო ბულტერიერს ჰგავდა, რომელიც არც საკუთარ თავს ზოგავს და მოწინააღმდეგის მიმართ ხომ სრულიად დაუნდობელია. ასკეტივით ცხოვრობდა და მთელ დროს კრივს უთმობდა.

წესის და რიგის მიხედვით, მარჩიანომ ჯერ წერილფეხობა დაიმარცხა, მერე მსხვილფეხობა ჩამოიცილა და მსოფლიოს ჩემპიონის ქამარსაც მიადგა, რომელიც იმხანად ჯონ უოლკოტს ერტყა. ჩხუბის წინ ბუქმეიკერებმა შანსები ცხრა ხუთზე შეაფასეს მარჩიანოს სასარგებლოდ.

უოლკოტი პრეტენდენტზე ცხრა წლით უფროსი იყო და ხვდებოდა, რომ 15 რაუნდს ვერ გაუძლებდა, ამიტომ მეტოქის პირველივე რაუნდებში დანოკაუტება მოინდომა.

მეორე რაუნდში თვალში საშინელმა დარტყმამ როკი ნოკდაუნში ჩააგდო და მოსვერეები უკვე მისტიროდნენ დაკარგულ ფულს. მეცხრე რაუნდში ჩემპიონმა თავში, ძველ იარაში ჩასცხო იდაყვი და როკის მდგომარეობა სულ მთლად სავალალო შეიქნა. მარჩიანო აუტანელი ტკივილისგან იტანჯებოდა, მაგრამ ხომ გახსოვთ, მისი ნებისყოფა და გამძლეობა რომ ვახსენეთ... და როცა იმავ მეცხრე რაუნდის ბოლო წამებზე როკიმ გაიღიმა, მასზე ფსონჩასულებმა დარბაზში მხიარული ყიჟინა დასცეს.

მეთერთმეტე რაუნდში ჩხუბმა აპოგეას მიაღწია. ჩემპიონმა როკის ცხვირი გაუხეთქა და თვალში კიდევ ერთხელ ჩასცხო. მოგვიანებით, როცა ჰკითხეს, მან ვერ გაიხსენა, როგორ შეძლო იმ რაუნდის ჩამთავრება. თვალთ დაბნელებული ჰქონდა და მხოლოდ ინტუიციით გრძნობდა, სად იდგა უოლკოტი.

გონგმა როკის სულზე მოუსწრო. სეკუნდანტებმა სისხლი მოწმინდეს, თვალებში რაღაც წვეთები ჩაასხეს, და ისევ სანხუბრად გაუშვეს. ვერავინ ხსნიდა, საიდან გაუჩნდა მას უეცრად უზარმაზარი ენერგია. ჩემპიონი კუთხეში მიიმწყვდია და საბოლოო დარტყმისთვის მოემზადა.

საშინელმა მარჯვენა ჰუკმა უოლკოტი ნოკაუტში ჩააგდო და აზრზე რომ მოვიდა, ამოილუღლუღა: „ეს რა იყო?“

ამასობაში კი რეფერიმ მოასწრო და, როკი მარჩიანო მსოფლიოს მეცხრამეტე ჩემპიონად გამოაცხადა მძიმე წონაში. ეს ბრძოლა ჰოლივუდურ საკრივო ფილმებს წააგავდა, მთავარ გმირს ჯერ რომ მიასიკვდილებენ და მერე მაინც გაიმარჯვებს.

განა საგანგებო აღნიშვნა უნდა იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის შემორტყმის მერე როკი მარჩიანოს დიდებამ და ჰონორარებმა ზვავის სისწრაფით იწყო ზრდა? მიუხედავად ამისა, ცოლი და დედა ყოველდღიურად ემუდარებოდნენ, ამ საშინელი ხელობისთვის თავი დაენებებინა. როკის უყვარდა ოჯახი, მაგრამ კრივიც უყვარდა და მუდარას ყურს არ ათხოვებდა.

მარჩიანოს კარიერის მწვერვალი კი მაინც ჯო ლუისთან, უდიდეს მოკრივესთან ჩხუბი იყო. ცხადია, კრივში მობრუნებული ლუისი ის აღარ იყო, რაც ათი წლის უწინ — იცოცხლეთ, მისი გაახალგაზრდავება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველა დროის უდიდესი ბრძოლა გამოვიდოდა, მაგრამ ნაკლები არც ასე იყო. ერთი რამ კი ცხადია — ბევრი ლუისის დამარცხება, რომელსაც დეტალურად ჰქონდა შესწავლილი მარჩიანოს კრივობის საიდუმლოებანი, ურთულესი საქმე იყო. რაც კრივს დაუბრუნდა, ლუისს ყველა მეტოქე შემოელახა და მის უმოწყალო ჯებებს ვერავინ უძლებდა.

როკი მარჩიანომ თავად შესთავაზა ჯო ლუისს ჩხუბი.

მთელი ბრძოლის მანძილზე როკიმ ვერ შეძლო დიადი ლუისის ჯებებისგან თავის დაღწევა, მაგრამ მოახერხა ის, რასაც ვერავინ ახერხებდა — ფეხზე იდგა და მეტიც, მეტოქე დაანოკაუტა.

სამაგიეროდ, როცა ჩხუბის მერე მარჩიანო სახლში დაბრუნდა, ღვიძლმა დამ ვერ იცნო, ვიღაც დასახიჩრებული ბანდიტი ეგონა და ტელეფონს ეცა, პოლიციაში რეკავდა.

ჯო ლუისთან ჩხუბის მერე როკი მთელი თვე არ გასულა სახლიდან ისეთი შემზარავი სანახავი იყო. მაგრამ, როცა იარები გაუქრა, უარესი რამ დამართა ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონ ეზარდ ჩარლზს (ეს ის ჩარლზია, თავის დროზე ჯო ლუისი რომ გალახა). ეს ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანია მსოფლიო კრივის ისტორიაში.

თავგანწირვით მოჩხუბარმა ჩარლზმა მოახერხა და, როკის ნესტოები გაუგლიჯა. ჩემპიონს ისე მოსთქრიალებდა სისხლი, სახე აღარც უჩანდა და როცა თავზე დახრილი რეფერი უკვე ბრძოლის შეწყვეტას აპირებდა, მარჩიანომ სთხოვა, ორი რაუნდიც ეცლია. რეფერი დაყაბულდა და მომდევნო რაუნდში ჩარლზი რინგიდან ისე გაიტანეს, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ჩარლზს გაუმართლა, მალე ფეხზე დადგა, კამპინო ვინგი კი უფრო უიღბლო გამოდგა. როკიმ ვინგს ისე სასტიკად სცემა, საწყალი სამი დღე კომაში იყო, ექიმებმა კი სამუდამოდ ინვალიდობა უწინასწარმეტყველეს. ეს რომ გაიგო, როკიმ, რომელსაც თავად ჰყავდა ინვალიდი მამა და სიღარიბეც გამოცდილი ჰქონდა, იმ ბრძოლაში აღებული მთელი ფული ვინგს მისცა.

საერთოდაც, რინგს მიღმა მარჩიანო გულკეთილი კაცი იყო, დაუზარლად არიგებდა ინტერვიუებს და თანამედროვე კრივისთვის ყოვლად წარმოუდგენლად იქცეოდა — არც ერთ მეტოქეზე უპატივცემულო სიტყვა არა დასცდენია. მარჩიანო ყველასთან კორექტული იყო. როცა შენიშნა, რომ მისი მენეჯერი ელ ველი საქმეს ნაკლებს აკეთებდა, ფულს კი ბლომად ხაპავდა, თავიდან მოიშორა, მაგრამ ეს, აი, როგორ გააკეთა: ველი რესტორანში დაპატიჟა, მისი საყვარელი თევზი შეუკვეთა და მშვიდად გამოუცხადა, ჩვენი გზები უნდა გაიყაროსო.

ასე კარგად დაწყებული სადილის ასე შემობრუნებას და მით უმეტეს, ფულის მდინარის გადაკეტვას მენეჯერი ვერ შეურიგდა და როკის რაღაც მკვახედ უთხრა. მარჩიანო არ აღელვებულა და მშვიდად აუხსნა, რომ მშვიდობიანად განშორება ველისთვისვე იყო სასარგებლო. დაახლოებით დონ ვიტო კორლეონესავით შესთავაზა წინადადება, რომელზეც მენეჯერი უარს ვერ იტყოდა. საბოლოოდ, ველი ბედს შეურიგდა და როკის მუდამ იხსენიებდა საუკეთესო ბიჭად, რომელიც ოდესმე შეხვედრია.

„საუკეთესო ბიჭის“ გარდა როკი დიდი მოკრივეც იყო, რომელმაც ხუთჯერ დაიცვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. წლების მერე ამერიკელმა ინჟინერმა მაური ოურნერმა კომპიუტერს მიანდო ყველა დროის საუკეთესო მოკრივის გამოვლენა. მან ჭკვიან მანქანაში მსოფლიოს ჩემპიონთა ყველა მონაცემი შეიტანა, ხოლო კომპიუტერმა ამ მონაცემთა გათვალისწინებით ფინალში როკი მარჩიანო და კასიუს კლეი გაიყვანა. ვირტუალური ჩხუბი მარჩიანომ მოიგო.

1956 წლის აპრილში მარჩიანომ უკანასკნელად დაიცვა ტიტული და ოჯახის გასახარად, კრივიდან წავიდა. ჯინ ტუნის მერე ის პირველი მსოფლიოს ჩემპიონი იყო, რომელმაც ასეთი ნაბიჯი გადადგა.

წასვლის მიზეზებზე ბევრს საუბრობდნენ, სრულიად ფანტასტიკურ მიზეზებსაც ასახელებდნენ, თუმცა საფიქრელია, რომ ის, უბრალოდ, დაიღალა კრივისგან და ცოლის გაუთავებელი წუწუნისგან. ვგებ, ისიც იფიქრა, რომ ადრე თუ გვიან დამარცხდებოდა და რინგს ამიტომაც გაეცალა დაუმარცხებელი. ვინ იცის...

ფული იცოცხლეთ, ბლომად ჰქონდა — დაახლოებით 4 მილიონი დოლარი, რაც იმ დროისთვის ბევრად მეტი იყო, ვიდრე ახლანდელი ოთხი მილიონია.

როკი ბიზნესში ჩაეფლო და მარჩიანო-ბიზნესმენი სრული ანტიპოდი გახლდათ მარჩიანო-მოკრივისა. თუ კრივში ჯიქურ მიიწევდა მეტოქეზე ახლა, სანამ გაჭრიდა, ათჯერ კი არა, ათასჯერ გაზომავდა. როკი ამითაც განსხვავდებოდა ჯო ლუისისგან, რომელიც ჩხუბით ნაშოვნ ფულს აქეთ-იქით დაუთვლელად ფანტავდა და ბოლოს სიღარიბეში მოკვდა.

ისე, ოჯახი ახლაც იშვიათად ხედავდა როკის, რომელიც უკვე ბიზნესის საქმეებზე მოგზაურობდა მთელ ამერიკაში, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო — როკი ხომ სახლში სახედასიებული აღარ ბრუნდებოდა.

მან უზარმაზარი რანჩო იყიდა, რომლის თავზეც ხშირად დაფრინავდა საკუთარი თვითმფრინავით — აგვისტოს იმ საბედისწერო ბოლო დღემდე.

**გიორგი დარჯანია**





უოლკოტისა და მარჩიანოს ჩხუბი

ლუისის და მარჩიანოს ლეგენდარული ბრძოლა
















# დედას ცრემლი არ ანახო, ბიჭო!

**„სანის" ტრადიციული რუბრიკა „10 ყველაზე..." ამჯერად მტირალა ბიჭებზეა. ცხადია, ეს სხვანაირი ცრემლებია, მამაკაცური, ზოგი გამარჯვებისა და ზოგიც მარცხის სინანულის და სიმწრის გამომხატველი...**

### 10 პიტ სამპრასი

როდესაც დროის შეუბრალებელმა სრბოლამ დიდი ჩოგბურთელის კარიერის დასრულების საათი აჩვენა, იმ დროისთვის პიტ სამპრასს 15-წლიანი დიდებული ჩოგნობის პერიოდში 14 დიდი სლემის ტურნირი მოეგო და მათ შორის შვიდჯერ — „უიმბლდონი".

2003 წელს კი მას გაცილება მოუწყვეს US ოუფენის დასრულების მერე და იქამდე „პისტოლ პიტად" ცნობილი ჩოგბურთელი ცრემლად ისე დაიღვარა, წყლის პისტოლეტს უფრო წააგავდა.

### 9 ტაიგერ ვუდსი

გოლფს ნერვების არანორმალური დაძაბვა და კონცენტრაცია სჭირდება. სწორედ ასეთი, ხელის აუკანკალებელი ქნევით მოიგო ტაიგერ ვუდსმა 2006 წელს ბირკდეილის ფრიად პრესტიჟული ტურნირი და ბოლო ლუზაში ბურთის ჩაგდების მერე ატირდა.

იგი ტიროდა მამის გარდაცვალების გამო, რომელიც ამ ტურნირამდე მცირე ხნით ადრე კიბომ იმსხვერპლა.

ვუდსის გაქვავებული სახე ყველას უნახავს, ატირებული კი ოდენ იმ დღეს ნახეს.

### 8 მიკა ჰაკინენი

1999 წელს, იტალიის გრან პრიზე, მონცაში, ფინელი პილოტი ტრასიდან გადავარდა და ამ საბედისწერო ავარიამ, როგორც იმ წუთას მას ეგონა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დააკარგვინა.

ავარია ისეთ ადგილას შეემთხვა, სადაც კამერები თითქოს დაყენებული არ იყო და ფორმულას პილოტმა თავს ცრემლის გადმოგდების უფლება მისცა. მაგრამ ამ დროს მის თავზე ტელევიზიის ვერტმფრენი გამოჩნდა და ყველაფერი გადაიღო.

ჰაკინენი შეცდა — ერთი თვის თავზე ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

### 7 დევიდ ბექემი

წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში პორტუგალიამ ინგლისი პენალტების სერიაში დაამარცხა და ინგლისელთა კაპიტანმა დევიდ ბექემმა კურცხალი გადმოაგდო. როგორც ამბობენ, ის ნაკლებად მისტიროდა ნაკრების მარცხს და უფრო იმაზე ეთუთქებოდა გული, რომ სანაკრებო კარიერას გამოტირებულად თვლიდა.

მან იცოდა, რომ სვენ გორან ერიკსონი ამ ჩემპიონატის მერე სტივ მაკლარენს უნდა შეეცვალა, ვინაც ბექემს არ სწყალობდა. ამდენად, ბექემის ოცნება, ბობი მურის სანაკრებო რეკორდი დაემხო, აუხდენელად ეჩვენებოდა.

მოგვიანებით ბექემს ცრემლი შეაშრა — ის კვლავ გამოიძახეს ნაკრებში.

### 6 ოლივერ მაკკალი

უცნაური ამბავია — მოკრივემ ტირილი უშუალოდ ჩხუბის დროს დაიწყო.

1997 წელს ლას ვეგასის „ჰილტონში" მაკკალი ლენოქს ლუისს შეხვდა WBC-ს ქამრისთვის. ამერიკელს ლუისი ერთხელ უკვე ჰყავდა დამარცხებული და ამ ჩხუბშიც თავდაჯერებული გავიდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მეტოქესთან იოტისოდენა შანსიც არ ჰქონდა და... ატირდა. რეფერიმ ბრძოლა მეხუთე რაუნდში შეწყვიტა და ამერიკელი მოკრივე დოპინგტესტზეც გაუშვეს, აქაოდა, ძალიან საეჭვოდ იტირა, ემანდ, რაიმე აკრძალული პრეპარატის ზემოქმედების ქვეშ ხომ არ იმყოფებოდაო.

### 5 ჯონ ტერი

მოსკოვი, 2008 წელი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი. პენალტების სერია. ჯონ ტერი დასარტყმელად გაექანა და ბოლო წამს სველ ბალახზე ფეხი დაუცდა. დარტყმა ცუდი გამოუვიდა და ბურთი ძელს მოხვდა. ცენტრისკენ დაბრუნებული „ჩელსის" კაპიტანი თანაგუნდელებს თვალს ვერ უსწორებდა, ხოლო როცა ანელკამაც ვერ გაიტანა და „ჩელსი" დამარცხდა, ტერიმ მოსკოვურ წვიმას თავისი ცრემლებიც შეჰმატა.

### 4 მეტიუ პინსენი

ეს კი სიხარულის ცრემლებია. ბრიტანელმა ნიჩბოსანმა მეტიუ პინსენმა მეოთხედ მოიგო ოლიმპიური ოქრო და ეს ოთხ ოლიმპიადაზე მოახერხა — ბარსელონადან ათენამდე.

ამაზე მეტი ოლიმპიური ოქრო ბარე ორს მოუგია, მაგრამ მიჯრით ოთხი ოლიმპიური ციკლი პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე იდგე — რამდენი დაიკვეხნის ასეთი შედეგით?

### 3 პოლ გესკოინი

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი. ინგლისი — გერმანია. ანგარიში 1:1-ია. „გაზა" თომას ბერთოლდს ეუხეშა და ბრაზილიელმა მსაჯმა ყვითელი ბარათი ამოუღო. „გაზასთვის" ეს დასასრული იყო — მას იქამდეც ჰქონდა მიღებული გაფრთხილება ანუ, ფინალს ტოვებდა. კამერამ მსხვილი კადრით გვიჩვენა, როგორ აბღავლდა გესკოინი.

თუმცა „გაზას" მაინც არ ეწერა იმ ფინალში თამაში, რაკი ინგლისი პენალტებში დამარცხდა გერმანიასთან.

### 2 ანდრე აგასი

საერთოდ, აგასი ტირილის დიდი მოყვარული იყო. თუნდაც 1999 წლის „როლან გაროსი" გავიხსენოთ, როცა უკრაინელ ანდრეი მედვედევთან ორი სეტი წააგო და მერე მაინც შეატრიალა საქმე სათავისოდ.

მისი უცნობილესი ცრემლთა ღვრა კი 2006 წლით თარიღდება, როცა US ოუფენის მერე კარიერის დასრულების თაობაზე გამოაცხადა და დიდებული გაცილებაც მოუწყვეს. ცრემლები იქ უნდა გენახათ.

### 1 კრიშტიანუ რონალდუ

ეს ბიჭი სულ ტირის. 2004-ში, ევროპის ჩემპიონატის ფინალის მერე იტირა; ერთი წლის მერე „მანჩესტერმა" ასოციაციის თასის ფინალი რომ დათმო „არსენალთან" პენალტებით — იტირა; წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინაში საფრანგეთთან წაგების მერე იტირა და თქვენ წარმოიდგინეთ, შარშან ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგო, მაშინაც კი იტირა.

ჰოდა, ენაკვიმატმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა სიტყვების თამაშით პორტუგალიელის მაგივრად პორტუgirl (გოგონა) შეარქვეს.

**კოტე კეკელია**















ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 97 | ნესტვედი-სილკებორგი | 4.30 | 3.70 | 1.65 | 1.98 | 1.19 | 1.14 |
| 17:00 | 98 | კოლდინგი-ლოლანდი | 1.45 | 4.40 | 5.20 | 1.09 | 1.13 | 2.38 |
| 17:00 | 99 | ჰერფიოლგე-როსკილდე | 1.30 | 5.00 | 8.00 | 1.03 | 1.11 | 3.07 |
| 17:00 | 100 | ვიბორგი-ფრედერიხია | 1.85 | 3.60 | 3.45 | 1.22 | 1.20 | 1.76 |
| 17:00 | 101 | ლიუნგბიუ-აკადემისკი | 2.70 | 3.50 | 2.15 | 1.52 | 1.19 | 1.33 |
| 17:00 | 102 | ტისტედი-ჰვიდოვრე | 1.80 | 3.60 | 3.65 | 1.20 | 1.20 | 1.81 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 111 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.25 | 3.40 | 3.00 | 1.35 | 1.28 | 1.59 |
| 20:00 | 112 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 1.90 | 3.40 | 3.80 | 1.21 | 1.26 | 1.79 |
| 20:00 | 113 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4.40 | 3.70 | 1.75 | 2.00 | 1.25 | 1.18 |
| 20:00 | 114 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 2.10 | 3.30 | 3.40 | 1.28 | 1.29 | 1.67 |
| 20:00 | 115 | ლინი-ლილესტრიომი | 2.50 | 3.20 | 2.80 | 1.40 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 116 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.80 | 3.30 | 4.25 | 1.16 | 1.26 | 1.85 |
| 22:00 | 117 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.10 | 3.30 | 3.40 | 1.28 | 1.29 | 1.67 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 118 | სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 3.00 | 3.30 | 2.30 | 1.57 | 1.30 | 1.35 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 119 | სარპსბორგი-სტავანგერი | 1.70 | 3.70 | 4.30 | 1.16 | 1.21 | 1.98 |
| 20:00 | 121 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.50 | 4.10 | 5.70 | 1.09 | 1.18 | 2.38 |
| 20:00 | 122 | ნოტოდენი-ალტა | 1.60 | 4.00 | 5.00 | 1.14 | 1.21 | 2.22 |
| 20:00 | 123 | ბრინი-მოსი | 2.35 | 3.40 | 2.70 | 1.38 | 1.25 | 1.50 |
| 20:00 | 124 | სკეიდი-ლიოვ ჰამი | 2.65 | 3.40 | 2.40 | 1.48 | 1.25 | 1.40 |
| 20:00 | 125 | მიონდალენი-ჰამ კამი | 4.20 | 3.70 | 1.70 | 1.96 | 1.21 | 1.16 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:35 | 126 | ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 2.65 | 3.40 | 2.40 | 1.48 | 1.25 | 1.40 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 135 | ნორჩიოპინგი-ვესბი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| 21:00 | 136 | იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2.20 | 3.40 | 2.95 | 1.33 | 1.26 | 1.57 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 145 | ინტერი-ჰონკა | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 153 | კეფლავიკი-სტიერნერი | 1.60 | 3.50 | 4.65 | 1.09 | 1.19 | 1.99 |
| 23:15 | 154 | ფრამი-ბრეიდაბლიკი | 1.95 | 3.30 | 3.35 | 1.22 | 1.23 | 1.66 |
| 23:15 | 155 | ვალური-ტროტური | 1.40 | 3.90 | 6.35 | 1.03 | 1.14 | 2.41 |
| 23:15 | 156 | ვესტმანეიერი-გრინდავიკი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:15 | 157 | ჰაფნარფიორდური-ფიოლნირი | 1.25 | 4.80 | 8.90 | 1.00 | 1.09 | 3.11 |
| 23:15 | 158 | ფილკირი-რეიკიავიკი | 2.95 | 3.20 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 159 | ბოჰემიანი-გალვეი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 22:45 | 160 | ბრეი-სლიგო | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 161 | დერი-სტ.პატრიკსი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 22:45 | 162 | დროგედა-კორკი | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| 22:45 | 163 | შემროკი-დანდალკი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 209 | თურქეთი-აზერბაიჯანი | 1.20 | 5.80 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.67 |
| 23:00 | 210 | საფრანგეთი-ნიგერია | 1.55 | 3.50 | 5.60 | 1.07 | 1.21 | 2.15 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10111 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10112 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10113 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10114 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10115 | ლინი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10116 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10117 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10119 | სარპსბორგი-სტავანგერი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10121 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10122 | ნოტოდენი-ალტა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10123 | ბრინი-მოსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10124 | სკეიდი-ლიოვ ჰამი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10125 | მიონდალენი-ჰამ კამი | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |
| 10135 | ნორჩიოპინგი-ვესბი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10136 | იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10145 | ინტერი-ჰონკა | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10118 | სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10126 | ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |

### II ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19111 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.65 | 2.30 | 3.30 | 1.23 | 1.46 | 1.35 |
| 19112 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2.30 | 2.50 | 3.70 | 1.19 | 1.41 | 1.49 |
| 19113 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4.20 | 2.70 | 1.90 | 1.64 | 1.30 | 1.11 |
| 19114 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 2.35 | 2.50 | 3.50 | 1.21 | 1.40 | 1.45 |
| 19115 | ლინი-ლილესტრიომი | 2.70 | 2.40 | 2.90 | 1.27 | 1.39 | 1.31 |
| 19116 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| 19117 | ვიკინგი-ვოლერენგა | 2.35 | 2.50 | 3.50 | 1.21 | 1.40 | 1.45 |
| 19119 | სარპსბორგი-სტავანგერი | 2.20 | 2.40 | 3.70 | 1.14 | 1.37 | 1.45 |
| 19121 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.85 | 2.50 | 5.20 | 1.06 | 1.36 | 1.68 |
| 19122 | ნოტოდენი-ალტა | 1.95 | 2.50 | 5.30 | 1.09 | 1.42 | 1.69 |
| 19123 | ბრინი-მოსი | 2.40 | 2.50 | 3.00 | 1.22 | 1.33 | 1.36 |
| 19124 | სკეიდი-ლიოვ ჰამი | 2.90 | 2.40 | 2.80 | 1.31 | 1.42 | 1.29 |
| 19125 | მიონდალენი-ჰამ კამი | 4.30 | 2.50 | 1.95 | 1.58 | 1.34 | 1.09 |
| 19135 | ნორჩიოპინგი-ვესბი | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19136 | იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 19145 | ინტერი-ჰონკა | 2.55 | 2.30 | 2.90 | 1.20 | 1.35 | 1.28 |
| 19118 | სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 3.20 | 2.50 | 2.40 | 1.40 | 1.37 | 1.22 |
| 19126 | ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 2.90 | 2.40 | 2.80 | 1.31 | 1.42 | 1.29 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11111 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11112 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11113 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11114 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11115 | ლინი-ლილესტრიომი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11116 | სტაბეკი-ტრომსიო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11117 | ვიკინგი-ვოლერენგა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11119 | სარპსბორგი-სტავანგერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11121 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11122 | ნოტოდენი-ალტა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11123 | ბრინი-მოსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11124 | სკეიდი-ლიოვ ჰამი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11125 | მიონდალენი-ჰამ კამი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11135 | ნორჩიოპინგი-ვესბი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11136 | იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11145 | ინტერი-ჰონკა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11118 | სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11126 | ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16111 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 1.58 | 2.10 |
| 16112 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 1.35 | 2.80 |
| 16113 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3.00 | 1.30 |
| 16114 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 1.50 | 2.30 |
| 16115 | ლინი-ლილესტრიომი | 1.80 | 1.85 |
| 16116 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.30 | 3.00 |
| 16117 | ვიკინგი-ვოლერენგა | 1.50 | 2.30 |
| 16119 | სარპსბორგი-სტავანგერი | 1.24 | 3.60 |
| 16121 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.14 | 4.70 |
| 16122 | ნოტოდენი-ალტა | 1.22 | 3.40 |
| 16123 | ბრინი-მოსი | 1.65 | 2.05 |
| 16124 | სკეიდი-ლიოვ ჰამი | 1.85 | 1.80 |
| 16125 | მიონდალენი-ჰამ კამი | 2.90 | 1.32 |
| 16135 | ნორჩიოპინგი-ვესბი | 1.23 | 3.60 |
| 16136 | იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.55 | 2.20 |
| 16145 | ინტერი-ჰონკა | 1.75 | 1.85 |
| 16118 | სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 2.10 | 1.60 |
| 16126 | ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 1.85 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო) | | |
|---|---|---|
| *14111 ფრედრიკსტადი-სტარტი | 1.80 | 2.00 |
| *14112 მოლდე-ოდ გრენლანდი | 1.70 | 2.20 |
| *14113 ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2.40 | 1.45 |
| *14114 სანდეფიორდი-ალესუნდი | 1.75 | 2.10 |
| *14115 ლინი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| *14116 სტაბეკი-ტრომსიო | 1.65 | 2.30 |
| *14117 ვიკინგი-ვოლერენგა | 1.75 | 2.10 |
| *14119 სარპსბორგი-სტავანგერი | 1.45 | 2.40 |
| *14121 სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.30 | 2.50 |
| *14122 ნოტოდენი-ალტა | 1.30 | 2.50 |
| *14123 ბრინი-მოსი | 1.80 | 2.00 |
| *14124 სკეიდი-ლიოვ ჰამი | 1.95 | 1.85 |
| *14125 მიონდალენი-ჰამ კამი | 2.40 | 1.45 |
| *14135 ნორჩიოპინგი-ვესბი | 1.45 | 2.40 |
| *14136 იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.80 | 2.00 |
| *14145 ინტერი-ჰონკა | 1.85 | 1.95 |
| *14118 სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 2.00 | 1.80 |
| *14126 ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 1.95 | 1.85 |

| პირველი ტაიმი ფრეს გარეშე | | |
|---|---|---|
| 23111 ფრედრიკსტადი-სტარტი | 1.32 | 1.65 |
| 23112 მოლდე-ოდ გრენლანდი | 1.15 | 2.15 |
| 23113 ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2.15 | 1.13 |
| 23114 სანდეფიორდი-ალესუნდი | 1.25 | 1.80 |
| 23115 ლინი-ლილესტრიომი | 1.42 | 1.50 |
| 23116 სტაბეკი-ტრომსიო | 1.13 | 2.35 |
| 23117 ვიკინგი-ვოლერენგა | 1.25 | 1.80 |
| 23119 სარპსბორგი-სტავანგერი | 1.10 | 2.55 |
| 23121 სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.03 | 3.00 |
| 23122 ნოტოდენი-ალტა | 1.08 | 2.85 |
| 23123 ბრინი-მოსი | 1.35 | 1.60 |
| 23124 სკეიდი-ლიოვ ჰამი | 1.47 | 1.48 |
| 23125 მიონდალენი-ჰამ კამი | 1.95 | 1.18 |
| 23135 ნორჩიოპინგი-ვესბი | 1.09 | 2.78 |
| 23136 იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.30 | 1.70 |
| 23145 ინტერი-ჰონკა | 1.40 | 1.55 |
| 23118 სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 1.61 | 1.32 |
| 23126 ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 1.47 | 1.48 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო) | | | | |
|---|---|---|---|---|
| *12111 ფრედრიკსტადი-სტარტი | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| *12112 მოლდე-ოდ გრენლანდი | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| *12113 ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| *12114 სანდეფიორდი-ალესუნდი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12115 ლინი-ლილესტრიომი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12116 სტაბეკი-ტრომსიო | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| *12117 ვიკინგი-ვოლერენგა | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12119 სარპსბორგი-სტავანგერი | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12121 სოგნდალი-ტრომსდალენი | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12122 ნოტოდენი-ალტა | 2,5 | 2.30 | 1.35 | 4.00 |
| *12123 ბრინი-მოსი | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12124 სკეიდი-ლიოვ ჰამი | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12125 მიონდალენი-ჰამ კამი | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| *12135 ნორჩიოპინგი-ვესბი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| *12136 იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| *12145 ინტერი-ჰონკა | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| *12126 ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 2,5 | 2.20 | 1.40 | 4.50 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო) | | |
|---|---|---|
| 13111 ფრედრიკსტადი-სტარტი | 1.50 | 2.10 |
| 13112 მოლდე-ოდ გრენლანდი | 1.50 | 2.10 |
| 13113 ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.50 | 2.10 |
| 13114 სანდეფიორდი-ალესუნდი | 1.50 | 2.10 |
| 13115 ლინი-ლილესტრიომი | 1.60 | 2.00 |
| 13116 სტაბეკი-ტრომსიო | 1.50 | 2.10 |
| 13117 ვიკინგი-ვოლერენგა | 1.50 | 2.10 |
| 13135 ნორჩიოპინგი-ვესბი | 1.60 | 2.00 |
| 13136 იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.60 | 2.00 |
| 13145 ინტერი-ჰონკა | 1.70 | 1.90 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| *15111 ფრედრიკსტადი-სტარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15112 მოლდე-ოდ გრენლანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15113 ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15114 სანდეფიორდი-ალესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15115 ლინი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15116 სტაბეკი-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15117 ვიკინგი-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15119 სარპსბორგი-სტავანგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15121 სოგნდალი-ტრომსდალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15122 ნოტოდენი-ალტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15123 ბრინი-მოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15124 სკეიდი-ლიოვ ჰამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15125 მიონდალენი-ჰამ კამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15135 ნორჩიოპინგი-ვესბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15136 იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15145 ინტერი-ჰონკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15118 სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15126 ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად) | | |
|---|---|---|
| 17111 ფრედრიკსტადი-სტარტი | 1.85 | 1.95 |
| 17112 მოლდე-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17113 ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17114 სანდეფიორდი-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17115 ლინი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17116 სტაბეკი-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17117 ვიკინგი-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17119 სარპსბორგი-სტავანგერი | 1.85 | 1.95 |
| 17121 სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17122 ნოტოდენი-ალტა | 1.85 | 1.95 |
| 17123 ბრინი-მოსი | 1.85 | 1.95 |
| 17124 სკეიდი-ლიოვ ჰამი | 1.85 | 1.95 |
| 17125 მიონდალენი-ჰამ კამი | 1.85 | 1.95 |
| 17135 ნორჩიოპინგი-ვესბი | 1.85 | 1.95 |
| 17136 იონჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 17145 ინტერი-ჰონკა | 1.85 | 1.95 |
| 17118 სტრიომსგოდსეტი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17126 ნიბერგსუნდი-კიონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |

## უცხოური ფეხბურთი

# ორშაბათის ფიქრები

## ნედვედი იუვედან წავიდა




**36 წლის** პაველ ნედვედი წავიდა „იუვენტუსიდან“ სადაც რვა სეზონი გაატარა.

ზამთარში ჩეხი ამბობდა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებდა, მაგრამ როგორც ჩანს, გადაიფიქრა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მხოლოდ „იუვენტუსიდან“ წავიდა.

„რვა წელი შევალიე „იუვენტუსს“ და კლუბთან, ფანებთან და თანაგუნდელებთან დამშვიდობების დრო მოვიდა — თქვა ნედვედმა — ამ ხნის განმავლობაში ოთხი საკლუბო ტიტული და „ოქროს ბურთი“ მოვიგე“.

ნახევარმცველის წასვლის მიზეზი კონკურენციაა. „იუვეს“ ჰყავს ახალგაზრდა ფლეიმეიქერი სებასტიან ჯოვინკო და ახლა დიეგოც იყიდა.

ნედვედის აზრით, იგი ხშირად ველარ მოხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი არ სურს:

„თამაში ჯერ არ მომბეზრებია, მაგრამ ფიზიკურად ძველებურად ძლიერი ველარ ვარ და ადგილი ახალგაზრდებს უნდა დავუთმო.

ორშაბათიდან დავიწყებ ფიქრს იმაზე, თუ რა ვაკეთო მომავალში“.

**გაგა ხუციშვილი**






# ტერიმ მაკელელეს ადვოკატით შეუტია

**ჯონ ტერის** ადვოკატმა უპასუხა კლოდ მაკელელეს ბრალდებას, რომელმაც ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, რომ თითქოს ჟოზე მოურინიუს გაშვება „ჩელსის“ კაპიტნის ბრალია.

ფრანგის მონათხრობით, მოურინიუ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტერისთან პრეტენზიით მისულა — ფორმაში არ ხარო, რამაც კაპიტანი გააბრაზა და ტრანსფერი მოითხოვა.

კლუბის პატრონი რომან აბრამოვიჩი ტერის, აბა, როგორ შეელეოდა და მწვრთნელი გაუშვა.

„მაკელელეს წიგნში დაწერილი ამბავი სრული სიცრუეა — განაცხადა ადვოკატმა — და ამ ბრალდებას არანაირი რეალური საფუძველი არ გააჩნია“.

კლუბმაც ცალკე განცხადება გააკეთა ამ ამბავთან დაკავშირებით: „ჯონ ტერის არასოდეს მოუთხოვია ტრანსფერზე დაყენება და მწვრთნელის მოხსნაშიც მისი ხელი არ ურევია, რადგან მწვრთნელის მოხსნა-დანიშვნა კლუბის პატრონის საქმეა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფლორენტინო პერესის საპროგრამო სიტყვა



ამ სამი წლის განმავლობაში დუმილს ვამჯობინებდი. კლუბს პატივს ვცემ და არ მსურდა, მის ცხოვრებაში უხეშად ჩავრეულიყავი. არ მინდოდა, ვინმესთვის მუშაობაში ხელი შემეშალა. ვფიქრობ, ამ დროის განმავლობაში დუმილი ჩემი საუკეთესო შენატანი იყო კლუბის სტაბილურობის საქმეში. მაგრამ, მას მერე, რაც კლუბში ძალიან მძიმე მოვლენები მოხდა, გადავწყვიტე, კვლავ წარვადგინო ჩემი კანდიდატურა კლუბის პრეზიდენტის პოსტზე. კარგად მესმის რაოდენ რთულ მომენტში მიწევს ამ გადაწყვეტილების მიღება. მესმის, რომ მსოფლიო გლობალური კრიზისი და ასევე კლუბის შიდა პრობლემები ართულებენ ჩემს ამოცანას. მაგრამ მე მაქვს იდეები, მუშაობის სურვილი და მყავს ის გუნდი, რომელსაც შეუძლია „რეალი“ დააბრუნოს იქ, სადაც ეს კლუბი უნდა იყოს.

ახლა, წლების გასვლის მერე, მე ვაღიარებ, რომ ჩემი გადადგომა 2006 წელს, შეცდომა იყო, რომელიც მე დავუშვი. მაშინ მიმაჩნდა, რომ ჩემი გადადგომა კლუბს სასიკეთოდ წაადგებოდა, რაკი დავტოვე ისეთი კლუბი, რომლის სტაბილურობაც გარანტირებულად მეჩვენებოდა. ვთვლიდი, რომ ჩემს მიერ წამოწყებული პროექტი საკმაოდ სოლიდური იყო და კლუბის ახალ ხელმძღვანელობას ჩემს მიერ ჩაყრილ ფუნდამენტზე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეეძლო განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლა.

როდესაც კლუბი პირველად ჩავიბარე, ჩვენ ურთულესი ფინანსური პრობლემები გვაწუხებდა, ჩვენი რეპუტაცია შელახული იყო და იმის საშიშროებაც კი არსებობდა, რომ „რეალი“ შესაძლოა, ახალი მეპატრონის საკუთრებაში გადასულიყო და კლუბის წევრთა საერთო საკუთრება აღარ ყოფილიყო. ექვსწლიანი პრეზიდენტობის განმავლობაში ეს პრობლემები დავძლიე. ჩემმა სპორტულმა მოდელმა საშუალება მოგვცა, გუნდში მსოფლიოს რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი მოგვეწვია. ჩემი პირველი პრეზიდენტობის პერიოდში „რეალმა“ ოთხი ჯილდოც მოიგო. ამის გარდა, ჩვენ შვიდ ფინალში ვითამაშეთ, ხოლო „რეალის“ საუკუნოვანი იუბილის წელს ტრიპლეტი შევასრულეთ — მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

ჩვენ მიზნად დავისახეთ და განვახორციელეთ კიდეც გრანდიოზული გეგმა — ავაშენებინა ახალი სპორტული ბაზა, რათა გვქონოდა საშუალება, თაობიდან თაობაში გადაგვეცა „რეალის“ კულტურა და ფასეულობები. ჩვენ მოვახდინეთ „სანტიაგო ბერნაბეუს“ რეკონსტრუქცია. ეკონომიკურ სფეროში მოვახერხეთ „რეალი“ ლიდერად გვექცია შემოსავლების თვალსაზრისით. და ეს ყველაფერი მოვახერხეთ ათწლეულების განმავლობაში ამაო ძალისხმევის შემდეგ. ჩვენ ვავრცელებდით „რეალიზმს“ მსოფლიოს ყველა კუთხეში. მივაღწიეთ სტაბილურობას და ერთობას, რაც დამტკიცდა კიდეც კლუბის წევრთა ასამბლეაზე. ყველაფერი აქედან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ მაშინ ჩემი გადადგომა სიბრძნის და პასუხისმგებლობის გამოხატულება იქნებოდა. მაშინ წავედი, რადგან „რეალის“ ინტერესებს ჩემს პირად პატივმოყვარეობაზე მაღლა ვაყენებდი. ახლა კი, როგორც გითხარით, ვხვდები, რომ მაშინდელი ჩემი ნაბიჯი მცდარი იყო.

ახლა ვბრუნდები, რადგან ჩვენ ყველამ ერთად გადავიტანეთ სამი ისეთი წელი, რომელიც არ არის დამახასიათებელი მსოფლიოს ყველაზე დიდი სპორტული კლუბისთვის. ეს დამამცირებელი სამი წელი იყო და ჩვენ მისი შედეგები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვასწოროთ. „რეალი“ მუდამ გამოირჩეოდა სუფთა თამაშით და კეთილშობილებით. ბოლო წლებში კლუბში დამკვიდრდა ისეთი ცხოვრებისა და მუშაობის სტილი, რომელიც არ ახასიათებს „რეალს“. წინა არჩევნები სკანდალური იყო, შემდეგ კი იყო გადაწყვეტილებები, რომლებმაც კლუბი ურთულეს სიტუაციაში აღმოაჩინა. მსგავსი რამ აღარასდროს უნდა განმეორდეს. ამიტომაც პირველი, რაც მამოძრავებს, არის არა გულშემატკივართა საამებლად ახალი ვარსკვლავების მოყვანა, არამედ ისეთი ორგანიზაციული მოდელის შექმნა, რომელიც კლუბს დაიცავს უპასუხისმგებლო ქმედებებისგან. ახლა კლუბში ისეთი აღმაფრენით ვბრუნდები, როგორიც არ მქონია 2000 წელსაც კი, როდესაც პირველად დავიკავე „რეალის“ პრეზიდენტის პოსტი. ახლა უფრო მეტი ძალით და ენერგიითაც მოვდივარ. მე შემწევს უნარი, დავუბრუნო კლუბს სტაბილურობა და განვახორციელო ისეთი სპორტული პროექტები, როგორიც შეშვენის მსოფლიოს უდიდეს კლუბს.

მე სამი წელი ვდუმდი, მაგრამ ახლა კვლავ გამოვდივარ თქვენს წინაშე და პირველი პირიდან ვამბობ სათქმელს.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარს მიჭერს. მე კიდევ მომიწევს ჩემს პროექტებზე ლაპარაკი, ერთს კი ახლავე მოგახსენებთ: ჩემს გუნდში ხორხე ვალდანო და ზინედინ ზიდანი იმუშავებენ.



ფლორენტინო პერესი და „გალაქტიკოსები“: ზინედინ ზიდანი და რონალდო

# დღეიდან: ძველი პრეზიდენტი რეალში

## გალაქტიკოსის შემქმნელს ყველამ გზა დაუთმო

**1995:** ფლორენტინო პერესმა წააგო საპრეზიდენტო არჩევნები რამონ მენდესთან. ამ დამარცხებამ მას აგრძნობინა, თუ როგორი ტაქტიკით უნდა წარემართა მომდევნო საარჩევნო კამპანია.

**2000:** პერესმა მოიგო „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები. მართალია, საარჩევნო ურნებში ჩაგდებული ბიულეტენებით ის ჩამორჩა ლორენსო სანსს, სამაგიეროდ ბევრად აჯობა ფოსტით მიღებული ხმების რაოდენობით. საერთო ჯამში სამშენებლო კომპანია ASC-ის მეთაურმა სანსს 3 ათასი ხმით აჯობა. არადა, სენსი დარწმუნებული იყო, რომ მცირე ხნით ადრე პარიზში მოგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალის მერე საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვება მას გარანტირებული ჰქონდა.

**2000:** ფლორენტინო პერესის მისვლით „რეალში“ დიდი ვარსკვლავების შეძენის ერა დაიწყო. პირველ რიგში პერსმა ლუიშ ფიგუ გამოისყიდა „ბარსელონასგან“ 60 მილიონ ევროდ. იმ სეზონში „რეალმა“ პრიმერადივიზიონი მოიგო, ჩემპიონთა ლიგიდან კი „ბაიერნმა“ — მომავალმა გამარჯვებულმა გააგდო ნახევარფინალიდან.

**2001:** ფლორენტინო პერესმა „რეალის“ ისტორიაში ყველაზე ძვირფასი ტრანსფერი გაჩარხა — „იუვენტუსიდან“ ზიდანი 72 მილიონ ევროდ იყიდა.

**2002:** ზიდანის თამაშობით გუნდმა ჩემპიონთა თასი მეცხრედ მოიგო და ზაფხულში ევროპის სუპერთასიც მიამატა.

თუმცა ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა და სამეფო თასის ფინალში, კლუბის ასწლოვან იუბილეზე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „დეპორტივოსთან“ 2:3 დამარცხდა.

პერესმა იმავე წელს ქალაქს საკუთარი მიწა მიჰყიდა 480 მილიონ ევროდ, რითაც 270 მილიონი ვალი გაისტუმრა და ფეხბურთელების შესაძენად ფული გაუჩნდა.

**2002:** კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა, რომელიც „ზიდან-პავონის“ პოლიტიკად მონათლეს (ვარსკვლავებს პლუს კლუბის აღზრდილები), უცვლელი დარჩა.

აგვისტოში „რეალის“ პრეზიდენტმა რონალდო შეიძინა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა.

გუნდი საკონტინენტთაშორისო თასსაც იგებს და ჩემპიონიც ხდება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „იუვენტუსთან“ მარცხდება.

მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე გაუშვეს, კაპიტანი ფერნანდო იერო კი ყატარის „ალ რაიანში“ გადავიდა.

**2003:** გუნდი ყიდულობს დევიდ ბექემს და მწვრთნელად კარლუშ კეიროშს ნიშნავენ.

„რეალი“ კარგ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ გაზაფხულზე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მონაკოსთან“ აგებს, სამეფო თასის ფინალში „სარაგოსასთან“, ჩემპიონი კი „ვალენსია“ ხდება.

**2004:** ფლორენტინო პერესი „ოქროს ბურთის“ მფლობელ მაიკლ ოუენს ყიდულობს, მაგრამ გუნდში ფორვარდების სიჭარბეა და ინგლისელი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. ოუენის მისვლა ტექნიკური დირექტორის, ხორხე ვალდანოს წასვლას ემთხვევა.

„რეალში“ გადადიან ვალტერ სამუელი, ჯონათან ვუდგეიტი და თომას გრავესენი, მაგრამ „რეალი“ სეზონს უტიტულოდ ასრულებს.

**2005:** ხორხე ვალდანოს ადგილს ჯერ არიგო საკი, მერე კი ბენიტო ფლორო იკავებენ. კარლუშ კეიროშს ხოსე ანტონიო კამაჩო ცვლის, მაგრამ სამი მატჩის მერე მიდის. „რეალში“ გადადიან სერხიო რამოსი, კარლოს დიოგო, ჟულიო ბაპტიშტა, პაბლო გარსია, რობინიო და სისინიო. სეზონის მსვლელობისას კამაჩოს მარიანო გარსია რემონი ცვლის, მას კი ვანდერლეი ლუშემბურგო, მაგრამ გუნდი ისევ ჯილდოს გარეშე რჩება.

**2006:** „ფლორენტინო პერესის ერის“ ბოლო მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კაროა და პრეზიდენტი კლუბიდან მიდის. 2006 წლის 27 თებერვალს „მალიორკა“ — „რეალის“ მატჩის მერე პერესი გადადგა და თქვა: „მე გავანებივრე ფეხბურთელები და ისინი თავზე დამასხდნენ“.

# პერესმა ვილიას ფასი დაადო




**ესპანურ** გაზეთებში უკვე გამოჩნდა ცნობა, რომ ფლორენტინო პერესის თვალთახედვის არეში სამი ფეხბურთელია, რომელთა ყიდვას „რეალის“ პრეზიდენტი ამ ზაფხულში ეცდება. ესენი არიან: ვალენსიელები დავიდ ვილია და დავიდ სილვა, ასევე ლივერპულელი ხაბი ალონსო.

ისიც დაიწერა, რომ პერესი ახალ ფეხბურთელებში საარაკო თანხების გადახდას არ აპირებს და მაგალითად, დავიდ ვილიაში არაუმეტეს 35 მილიონი ევროს გადამხდელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ფინალი

# იაიას რიარია: მათხოვეთ თასი!



ასე გახსნა ანგარიში სამუელ ეტოომ



შინ დაბრუნებულმა ჩემპიონმა ბარსელონას ქუჩეში, ცხადია, გადაჭრილი ავტობუსით ჩაიარა



ბოლო გოლი მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლიონელ მესიმ თავურით შეაგდო



მანჩესტერელთაგან ყველაზე რეალური საგოლე შანსი კრიშტიანუ რონალდუს ჰქონდა, მაგრამ კუთხურის გარდა ვერაფერს გამორჩა

**ბარსელონა 2:0 მანჩესტერი**
**1:0 ეტოო (10), 2:0 მესი (70)**
**ბარსელონა:** ვალდესი, პიკე, პუიოლი, სილვინიო, ბუსკეტსი, ტურე, ხავი, ინიესტა (როდრიგესი 90), ანრი (კეიტა 72), მესი, ეტოო
**მწვრთნელი:** ხოსეპ გვარდიოლა
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, კარიკი, ანდერსონი (ტევესი 46), პარკი (ბერბატოვი 66), გიგზი (სქოულზი 75), რუნი, რონალდუ
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**გაფრთხილება:** პიკე, რონალდუ, სქოულზი, ვიდიჩი
**მსაჯი:** მასიმო ბუზაკა (შვეიცარია)

— ხოსეპ გვარდიოლა მეექვსეა ვისაც ჩემპიონთა თასი ფეხბურთელობაშიც (1992) და მწვრთნელობისასაც მოუგია. მანამდე იგივეს მიაღწიეს:

მიგელ მუნიოსმა მადრიდის „რეალში“ (1956, 1957 და 1960, 1966).

ჯოვანი ტრაპატონიმ „მილანში“ ფეხბურთელობისას (1963, 1969) და „იუვეს“ მწვრთნელობისას (1985).

იოჰან კრუიფმა „აიაქსში“ თამაშისას (1971, 1972, 1973) და „ბარსელონას“ თავკაცობისას (1992).

კარლო ანჩელოტიმ „მილანის“ მაისურით (1989, 1990) და „მილანის“ მწვრთნელობისას (2003).

ფრანკ რაიკარდმა „მილანში“ (1989, 1990), „აიაქსში“ (1995) და „ბარსელონას“ მწვრთნელობისას (2006).

— „ბარსელონამ“ ათი წლის მერე გაიმეორა იგივე, რაც „მანჩესტერმა“ 1999-ში მოახერხა — ტრებლი შეასრულა ანუ ჩემპიონატიც მოიგო, ქვეყნის თასიც და ჩემპიონთა თასიც. „ბარსა“ ტრებლის შემსრულებელი პირველი ესპანური კლუბია.

— ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად ლიონელ მესი დაასახელეს, რომელსაც ინგლისურ კლუბებთან 10 მატჩში გოლი არ გაეტანა და ნავსი ფინალში გატეხა. მისი პასების 84 პროცენტი კი ზუსტი იყო.

თავის მხრივ კრიშტიანუ რონალდუმ ესპანურ გუნდთან მეშვიდე შეხვედრაში გოლი ვერ შეაგდო.

— ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციამ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად ხოსეპ გვარდიოლა აღიარა, მეკარედ კი ედვინ ვან დერ სარი. მეკარისთვის ჯილდო ასოციაციამ წლეულს პირველად დააწესა.

— იაია ტურეს ფინალის მერე არსენალელმა ძმამ კოლომ დაურეკა და მიულოცა, რაზეც ბარსელონელმა უპასუხა: „შვიდი წელია „არსენალში“ ცოდვილობ და ჩემპიონთა თასი ვერ მოიგე, მე კი მეორე სეზონშივე მოვახერხე“.

იაიამ ნამატჩევს ხუან ლაპორტას თასი სთხოვა კოტდივუარში წასაღებად: „მე ხომ პირველი კოტდივუარელი ვარ, ვინც ეს ჯილდო მოიგო და ამიტომ მინდა, რომ აბიჯანში დიდი სიხარული ჩავიტანო“.

— ნიგერიის ქალაქ ოგბოში „მანჩესტერის“ წაგებით განრისხებულმა ფანმა ავტობუსით „ბარსელონას“ ოთხი გულშემატკივარი გაჭყლიტა.

მძღოლმა „ბარსას“ მოზეიმე ქომაგები დაინახა და ავტობუსი დაუმიზნა. ოთხი გარდაიცვალა და ათნი დაშავდნენ. მკვლელი პოლიციამ დაიჭირა.

— ხოსეპ გვარდიოლამ იტალიურ „რაი“-სთან ინტერვიუში თქვა, რომ გამარჯვებას პაოლო მალდინის უძღვნის, რომელმაც კარიერა გუშინ დაასრულა.

„მალდინი კარიერას რომ არ ასრულებდეს, „ბარსელონაში“ გადმოვიყვანდი“ — განაცხადა ჩემპიონთა თასის მომგებმა მწვრთნელმა.

— „მანჩესტერის“ ლეგიონერი ჯისუნ პარკი პირველი აზიელი ფეხბურთელია, ვინც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ფინალი

## ონიანის შოუ

ქართველმა ქორეოგრაფმა ლაშა ონიანმა ისევ დადგა ჩემპიონთა ლიგის ფინალისწინა ცერემონია. შეგახსენებთ, რომ ონიანსვე ეკუთვნის „მილანი" – „ლივერპულის" ფინალის გახსნის ქორეოგრაფიაც. ოღონდაც ახლა, რომში, შემსრულებლებიც ქართველი გოგონები იყვნენ...





## ფერგიუსონი. ულიე და... ბზიკი

ასეთი კადრები, ეგებ მთელი ცხოვრება გალიოთ და, ვერ ნახოთ: სერ ალექს ფერგიუსონი ჟერარ ულიეს ლოყაში ულაწუნებს...

ფერგიუსონი, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელია, ხოლო ულიე „ლივერპულის" ყოფილი დამრიგებელი გახლავთ.

ეს პატივცემული ბატონები ერთმანეთს „სტადიო ოლიმპიკოზე" შეხვდნენ და  ისაუბრეს. საუბრის თემა, ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო.

მერე კი, აი, რა მოხდა: ულიეს ლოყაზე ბზიკი დააჯდა და ფერგიუსონმაც, როგორც კარგმა ამხანაგმა, ბზიკის მოკვლა გადაწყვიტა.

ბზიკმა თავს უშველა, ულიეს ლოყას კი ფერგიუსონის ხუთი თითი დააჩნდა...







## ვის გულშემატკივრობდა მიხეილ სააკაშვილი?

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" ჩემპიონთა ლიგის მატჩს მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. თუ გავიხსენებთ, რომ ახლახანს ის „კამპ ნოუს" ესტუმრა და ხუან ლაპორტასგან საჩუქრად სახელობითი მაისურა მიიღო, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომელ გუნდს გულშემატკივრობდა ფინალში...






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაპოლიმ უკვე იყიდა



**საუცხოოდ** დაწყებული სეზონის მერე „ნაპოლიმ“ მეორე წრეში საშინლად ითამაშა, მაგრამ ამბიცია არ მოჰკლებია და უკვე შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავს.

ნეაპოლურმა კლუბმა ორი ფეხბურთელი — ფაბიო კვალიარელა (ფორვარდი, უდინეზე) და ლუკა ჩიგარინი (ნახევარმცველი, ატალანტა) იყიდა.

კვალიარელა 16 მილიონი ევრო დაუჯდათ და „უდინეზეს“ მაურიციო დომიციც დაუთმეს, რომელიც ამ ორი კლუბის საწილო საკუთრებაა.

ლუკა ჩიგარინი 4 მილიონ 500 ათასი ევრო ღირს და „ნაპოლიმ“ ფულს მცველი გიორგი გარიკსიც გააყოლა.

ფაბიო კვალიარელამ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში ორ მილიონ ევროზე მეტს მიიღებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მსხვერპლშეწირვა რეინჯერსისთვის

**წინა** უქმეებზე „რეინჯერსმა“ „დანდი იუნაიტედი“ დაამარცხა და შოტლანდიის ჩემპიონი გახდა. რა გასაკვირია, რომ პროტესტანტი გლაზგოელები ამ ამბის აღსანიშნად ქალაქის ქუჩებს მოედნენ.

გავიხსენოთ, რომ „რეინჯერსს“ თუ პროტესტანტები ქომაგობენ, „სელტიკი“ გლაზგოელი კათოლიკეების გუნდია.

ეშხში შესულმა „რეინჯერსის“ ფანობამ, ქალაქში ხეტიალისას კათოლიკურ უბანში, კოლერაინშიც შეიარა და გზად შემხვედრებს წიხლები უთავაზა.

ამან უმსხვერპლოდ არ ჩაიარა — 49 წლის კევინ მაკდეიდი ცოლის თვალწინ ცემით მოკლეს, ცოლი კი სასტიკად სცემეს.

სამწუხაროდ, პოლიციამ მხოლოდ ამის მერე გამოიჩინა ფხა და 7 მოძალადე მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრა.

ქალაქის კათოლიკურ მოსახლეობას კი მოუწოდებენ, შურისძიებას მოერიდონ, თორემ უარესი ამბები შეიძლება დატრიალდეს.

იმავე დღეს, როცა გლაზგოს ქუჩებში სისხლიანი ამბები დატრიალდა, „სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი გადადგა. მან აქამდე სამჯერ ზედიზედ გააჩემპიონა კათოლიკეთა გუნდი და მეოთხე ცდაზე ხელი მოეცარა.

„იმედგაცრუებული ვარ, რომ მეოთხედ ვერ მოვიგეთ ჩემპიონობა — თქვა მწვრთნელმა — მაგრამ ჩვენს ფეხბურთელებს მაინც შეუძლიათ იამაყონ წინა სამი სეზონის შედეგებით.“

„რეინჯერსმა“ კი შოტლანდიის პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულს ამ შაბათს ქვეყნის თასიც შეჰმატა და დუბლი გაიფორმა.

გლაზგოელთა მეტოქე ფინალში მოკრძალებული „ფოლკირკი“ იყო, რომელიც ძლივს გადაურჩა პირველ დივიზიონში გავარდნას და თითქოს ფინალში მრისხანე მეტოქისთვის წინააღმდეგობა როგორ უნდა გაეწია, მაგრამ სხვაგვარად კი მოხდა.

მთელი პირველი ტაიმი სწორედ „ფოლკირკი“ გამოიყურებოდა უკეთესად და „რეინჯერსს“ დიდი ჯაფა დაადგა გასამარჯვებლად. საბოლოოდ მატჩის ბედი ნაჩო ნოვოს კინკილა გოლმა გადაწყვიტა.

ისე, 83-ე წუთზე ფოლკირკელ სტივ ლოველს უკეთ რომ დაემიზნებინა და ძელისთვის არ გაერტყა, ვინ იცის...

**ბოტე ბეკელია**

## ცოცხლიზაცორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

(რუბრიკის სპონსორია ახალგაზრდა პენსიონერთა კავშირი)

— მესი რო თავით გოლს გაიტანს, მესი! აზრზე ხარ? თან ფინალში, ტო! იასნია, რო ჩაწყობილია! გაყიდა მაგ ბებერმა, მაგან! ათი წლის წინ პენსიაზე უნდა გასულიყო და ჩემპიონთა თასის ფინალში როგორ გავიდა ეს ფერგიუსონი, ტო!

— შენ რა, ფერგიუსონზე დადექი?

— მა ვისზე დავმდგარიყავი, ტო! ფერგიუსონი რო ტრენერობდა, მაშინ გვარდიოლას პამპერსებს უცვლიდნენ.

— „მანჩესტერი“ რამ დაგაწერიანა, ძმაო, „არსენალის“ საბავშვო ბაღს რო მოუგო პოლუფინალში, მაგიტო გუნდი გეგონა?

— მე კი არა, მთელ მსოფლიოს ეწერა იმიტო, რო ალვეში და აბიდალი არ იყვნენ და „მანჩესტერს“ კრაიდან უნდა გაერღვია „ბარსა“, მარა ფერგიუსონმა ტევესი მოტეხა და რონალდუც ზაკაზად ცენტრში შეტენა. მამენტ, ფლანგიდან არ შევიდეს და არ გაიტანოსო.

— თუ ეგრე გესმის ფუტბოლი, „მანჩესტერის“ მოგება რატო დაწერე?

— იმიტო რო „მანჩესტერს“ უნდა მოეგო, ტო, მარა პლატინი შესულა ფერგიუსონთან თამაშის წინ და უთქვია, გვარდიოლას დაუწექიო.

— რა პონტშიო?

— ვიზერიტებითო.

— პლატინიც ყომარობს?

— „ბარსელონას“ ერთიანი უწერია უეფას მთელ ოფისს და ეხლა შენ რო მოიგო, ხვალ უეფა დაიკეტებაო.

— ცხრაკუშიან სისულელეს ბაზრობ. ეგრე კი არ იყო, მანდ სუ სხვა პონტია და მე ცვეტში ვიცი.

— რა სხვა პონტი, ტო!

— ფერგიუსონის ცოლს დაურეკია გვარდიოლასთან, ჩემმა ბებერმა პადრიად ლიგა რო მოიგოს, ფუტბოლიდან აღარ წავა, ისედაც სახლში აღარ მოდის და ერთი შენებურად შეუსრულე, ფეხბურთის ხალისი რო დაეკარგოსო.

— ეეე– შენც მაგრა წეწავ, რა, ტო! რა სერ ალექსის ცოლი, სულ გამოკუშდი?

ცოლი კი არა, უეჭველს გებაზრები, რო ეგ თამაში პლატინიმ ლიჩნად იყიდა ფერგიუსონისგან. მოგების პოლნი წილში ჩაისვა.

— ფერგიუსონის ცოლზე გამახსენდა, დღეს ყატარი-იორდანიის ამხანაგურზე რას ფიქრობ, იორდანიის ფუტბოლი ხო ეხლა პადიომზეა და ორიანს არ ამოაგდებს?

— მეც იორდანია მგონია. მაგათი პოლუზაშიტნიკი ხო იცი, მოაიად აბუ ქეშექი, იმენა სერიოზულ ფორმაშია და კიდე ისა, ფორვარდი რო ჰყავთ, აბდულა სალიმი, ჯარიმებს რო ურტყამს ჩერეზ სებია.

ყატარის მთავარი ზაშიტნიკი აბდულრაჰმან მესბეჰი კიდე ტრავმირებულია და იორდანია გაარღვევს.

**ბუში ბოლმარია**

ჩემი ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | სავარაუდო მოგება |
|---|---|---|---|
| 001 | ყატარი—იორდანია | 45-ე წუთზე ნავთობი ამოხეთქავს | ბარელი ათ შაურად |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა დასვა თუ არა მაგნიტებზე პლატინიმ არაბი შეიხები, რომლებიც „მანჩესტერზე“ იდგნენ

114140 *

# რონალდუ ბალოტელის მაისურის მათხოვარია



**„ინტერის“** ფორვარდი მარიო ბალოტელი დარწმუნებულია, რომ ერთ დღესაც მსოფლიოში პირველი ნომერი გახდება და კრიშტიანუ რონალდუ მას მაისურას სთხოვს. ისევე, როგორც მან სთხოვა ორი წლის წინ.

ბალოტელის აზრით, ამჟამად პლანეტის საუკეთესო ლიონელ მესია.

„მესი უბადლოა და წლეულს „ოქროს ბურთსაც“ მიიღებს — განაცხადა ინტერელმა — მას თვით კრიშტიანუ რონალდუც კი ვერ შეედრება, რომელსაც ორი წლის წინ მაისურა გამოვართვი, მაგრამ დრო მოვა, იგი ჩემს მაისურას მოითხოვს.

რაც შეეხება მომავალს, „ინტერში“ თავს კარგად ვგრძნობ და წასვლას მანამდე არ ვაპირებ, სანამ უკეთესი კლუბი გადასვლას არ შემომთავაზებს“.

მარიო ბალოტელი 18 წლისაა. სერია A-ში 32 მატჩი ითამაშა და 11 გოლი გაიტანა. ასე რომ, ჯერ კიდევ წლები დასჭირდება საიმისოდ, რათა რონალდუმ მას მაისურა სთხოვოს.

**რომან თურქია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ფეხბედნიერი

## რას აკეთებდა ფეხბურთელი, როცა შეყვარებულს ცემდნენ?

**25 წლის** დანიელ ლოიდი, ვინაც ყოფილი „მის ინგლისია" და ამავე დროს ტედი შერინგემის, ჯერმენ დეფოს და მარკუს ბენტის საყვარელი გახლდათ, კონცამ მარცხენა ფეხის გარეშე დარჩა.

მის ლოიდი ღამის კლუბში ბრძანდებოდა ახალ შეყვარებულთან, „ტოტენჰემის" ფეხბურთელ, 22 წლის ჯეიმი ოჰარასთან ერთად, როცა ორ მთვრალ გოგოსთან ჩხუბი მოუვიდა. თავადაც მთვრალი იყო, ჩხუბის დროს შუშის მაგიდას დაენარცხა და დაიჭრა. სასწრაფოს მისვლამდე ძირს ეგდო და სისხლისგან იცლებოდა.

ბედად, ექიმები დროულად მივიდნენ და უმალ საოპერაციო მაგიდისკენ გააქანეს, სადაც 20 ნაკერი დაადეს.

ქირურგმა თქვა, ცოტაც და, ფეხის ამპუტირება მოგვიხდებოდაო.

დაზარალებული დამწუხრებული იყო, მაგრამ როცა გაიგო, რომ ფეხის მოჭრას გადაურჩა, ამბობენ, სიხარულით ცას ეწიაო. მისი დამჭრელები კი დააპატიმრეს.

საავადმყოფოდან გამოწერილს შეყვარებული ფეხბურთელი ახლდა, რომელიც, კაცმა არ იცის, რას აკეთებდა უშუალოდ ჩხუბის დროს — ჩირგვში შეძვრა, აშველებდა თუ ისეთი მთვრალი იყო, რომ არც გაუგია რა მოხდა.

სხვათა შორის, მის ლოიდი პირველად არ გაულახიათ. ამას წინათ ოჰარას ყოფილი შეყვარებულის, სეიდ მეტკალფის მეგობარმა სახეში გაარტყა.

მაშინაც არ გახმაურებულა, თუ რა მოიმოქმედა ფეხბურთელმა, როცა ძველი შეყვარებულის გამო ახალი გაულახეს.

**ქოტე ქექელია**

# ჟულიანომ თხარა, თხარა და სასიძო გამოთხარა?!

## რონალდუმ ბელეტის და გამოსტაცა



ჟულიანო ბელეტი



კრიშტიანუ და ლუანა სასტუმროს ნომერში

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელ ვარსკვლავ კრიშტიანუ რონალდუს ახალი სატრფო ჰყავს — ბრაზილიელი ლუანა ბელეტი.

ამ წყვილზე უკვე ბევრს ჭორაობენ ინგლისში, რამეთუ ლუანა „ჩელსის" მცველ ჟულიანო ბელეტის და გახლავთ.

ბრიტანულ ყვითელ პრესას სალაპარაკო იმანაც მოუმრავლა, რომ თურმე 32 წლის ჩელსელი ამ ამბის გახმაურებამ გააცოფა. ჟულიანო ბელეტის მკაცრი საუბარიც ჰქონია თავის დასთან, მაგრამ...

ლუანა 24 წლისაა და უკვე აღიარა, რომ ორი თვეა, კრიშტიანუს ხვდება. ყველაზე სასაცილო კი ისაა, თუ როგორ დაინტერესებულა ის პორტუგალიელი სუპერვარსკვლავით...

„ჩემი ძმა, ჟულიანო, ხშირად ახსენებდა ხოლმე მის გვარს. ფეხბურთში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ ყოველთვის ერთიდაიგივე პიროვნებაზე ლაპარაკმა ჩემი ყურადღება უნებურად მიიქცია და კრიშტიანუს გაცნობა მოვინდომე".

მოკლედ, ნერეიდა გალიარდოსა და გაბრიელა ეტრინგერის შემდეგ რონალდუმ ახალი სატრფო გაიჩინა და ვნახოთ, როდემდე გასტანს მათი რომანი...

# რობინიომ სიტი დაიჩივლა

**რობინიო** „სიტიში" უკმაყოფილოა და დაბრუნება სურს „სანტოსში", სადაც კარიერა დაიწყო — განაცხადა ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ.



პრეზიდენტს რობინიოსთან საათნახევრის განმავლობაში უსაუბრია და ფეხბურთელს უთქვამს, რომ „სანტოსში" გადასვლაზე ფიქრობს.

„სამშობლოში დაბრუნებით იმიტომ დაინტერესდა, რომ „სიტიში" თავს ცუდად გრძნობს — გაამხილა ტეიშეირამ — მაგრამ ევროპულ კლუბთან ფინანსებში შეჯიბრი ჩვენთვის ძალიან რთულია".

რობინიო „მანჩესტერ სიტიში" შარშან ზაფხულს „რეალიდან" გადავიდა.

გასულ სეზონში 14 გოლის გატანა და მწვრთნელთან ურთიერთობის წახდენაც მოასწრო.

იანვარში „სიტი" ესპანეთში შეკრებაზე იყო და რობინიო მარკ ჰიუზის დუკითხავად ბრაზილიაში გაემგზავრა, რის გამოც საბოლოოდ გაიხადა საქმე.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თავდადება და ცოტაც ფული

**პრემიერლიგის** სეზონის საუკეთესო მწვრთნელად ინგლისელებმა არა ჩემპიონი „მანჩესტერის" თავკაცი ალექს ფერგიუსონი, არამედ „ევერტონის" მწვრთნელი დევიდ მოიესი დაასახელეს.

შაბათს მისმა გუნდმა ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში ითამაშა „ჩელსის" წინააღმდეგ და დამარცხდა, თუმცა მოიესი იმ დროს უკვე დასახელებული იყო საუკეთესოდ, და რომც არ ყოფილიყო, ვინძლო მაინც ის აერჩიათ.

სხვათა შორის, მოიესმა ეს ტიტული უკვე მესამედ მიიღო — იქამდე საუკეთესოდ 2003 და 2005 წლებში დაასახელეს და ამ მაჩვენებლით მან ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი ჩამოიტოვა, რომელებიც საუკეთესოდ ორ-ორჯერ ყოფილან დასახელებული.

თავად გამოკითხვა, რომელსაც ფეხბურთის ასოციაცია ატარებს, 1996 წლიდან იმართება.

„ევერტონის" გენერალურმა მენეჯერმა ჰოვარდ უილკინსონმა თქვა, დისციპლინა თუ არ მოიკოჭლებს და თავდადებაც არ გაკლია, მინიმალური ფინანსური საშუალებებითაც შეიძლება წარმატების მიღწევა.

# გამგებმა გაიგოს

## რით არის რიბერი კაკაზე ნაკლები?

**„ბაიერნის"** შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ კიდევ ერთხელ თქვა ინგლისური კლუბების გასაგონად, რომ ფრანკ რიბერი არ იყიდება.



„მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ მილიონს დაგვიდებენ მაგიდაზე — ბრძანა რუმენიგემ — რადგან გადაწყვეტილებას ჩვენ ვიღებთ, ჩვენ კი რიბერის გაყიდვას არ ვაპირებთ".

კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰოენესმა დაამატა: „როცა გავიგე, რომ კაკაში „სიტი" 125 მილიონს იხდიდა, ვიფიქრე — თუ ასეა, მაშინ რიბერი სულ მცირე 100 მილიონი ღირს, მაგრამ უკვე მერამდენედ ვიმეორებ, რომ ფრანგ ნახევარმცველს არ ვყიდით".

ფრანკ რიბერის შეძენა „ჩელსის" სურს, რომელიც 50 მილიონი ევროს გადამხდელია, „მანჩესტერი" კი 70-საც გაიმეტებს.

**რომან თურქია**

# რუსი რონალდინიო ჩელსიში მიდის



**„ევერტონთან“** ასოციაციის თასის ფინალის მერე „ჩელსის“ მწვრთნელი გუს ჰიდინკი რუსეთის ნაკრებს დაუბრუნდება, მაგრამ რომან აბრამოვიჩს ერთ რუსს დაუტოვებს — მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველი იური ჟირკოვი „ჩელსიში“ გადავა.

ფეხბურთელში, რომელსაც რუსეთში „რუს რონალდინოს“ ეძახიან, აბრამოვიჩი დაახლოებით 19 მილიონ ევროს გადაიხდის.

„ჟირკოვი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, რომ „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში მალე ჩაეწერება — თქვა ცსკა-ს მწვრთნელმა ზიკომ — არ მინდა მისი გაშვება, მაგრამ ძალით ვერ დავაკავებთ“.

„არსენალის“ ლეგიონერი ანდრეი არშავინი ჟირკოვს „მეთოფეებში“ ეპატიჟებოდა და რაფაელ ბენიტესსაც სამიზნეზე ჰყოლია ცსკა-ს ნახევარმცველი, მაგრამ გუს ჰიდინკის რჩევით, იგი რომან აბრამოვიჩის კლუბში ითამაშებს.

# არც იოცნებოთ!

## მსოფლიო უკვე გაიყიდა

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია — იუწყება „ასოშეიტედ პრესი“, ხოლო ფიფა უფრო მეტსაც ამბობს — განაცხადები აღარ მიიღება ინგლისის, ბრაზილიის, ავსტრალიის, ირლანდიის, ჰოლანდიის და არგენტინის ნაკრებთა მატჩებზეო. ამ ამბავში კი კურიოზული ის არის, რომ ჩამოთვლილ ნაკრებთაგან ჯერ ერთსაც არ მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება.

ასევე მთლიანად გაყიდულია ნახევარფინალის ბილეთები.

მსოფლიოს ჩემპიონატი გაისად 11 ივნისს იოჰანესბურგში გაიხსნება.

**ირაკლი ნინიძე**

# ჯენოას ჯანი კრესპოშია



**„ჯენოას“** პრეზიდენტმა ენრიკო პრეციოზიმ ერნან კრესპოს ტრანსფერი დაადასტურა.

„ინტერის“ არგენტინელი ფორვარდის აგენტს ფერნანდო იდალგოს პრეციოზი შეხვდა და საუბრის მერე კრესპოსთან კონტრაქტის გაფორმების თაობაზე განაცხადა.

„ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფერია — გაიხარა პრეზიდენტმა — კმაყოფილები ვართ, რადგან კრესპო წლების განმავლობაში უმაღლეს დონეზე თამაშობს“.

იდალგომ გაამხილა, რომ მის კლიენტს „ფიორენტინაც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობდა.

„ჯენოა“ კი ორწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს.

ერნან კრესპო გასულ სეზონში, ჟოზე მოურინიოს ხელში ზოგჯერ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა.

პორტუგალიელი მწვრთნელი უპირატესობას ზლატან იბრაჰიმოვიჩს, მარიო ბალოტელის და ადრიანოს ანიჭებდა.

ენრიკო პრეციოზის რიკარდუ კვარეჟმას გადაბირებაც სურს, რომელიც „ინტერს“ ეკუთვნის და იანვრიდან „ჩელსიში“ იყო განათხოვრებული.

„ჯენოამ“ კრესპოს გარდა „ატალანტას“ ფორვარდი ანდრეა ფლოკარიც შეიძინა, რომელმაც წინა სეზონში 12 გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**





# თაღლითობა: ლაუდრუპმა რუმენიგე მოატყუა

**განთქმული** დანიელი ფეხბურთელი ბრაიან ლაუდრუპი თაღლითობაში ამხილეს. უმცროსმა ლაუდრუპმა ძველი მეგობარი და კოლეგა, „ბაიერნის“ პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე მოატყუა.

საქმე ასე იყო: კარიერის დასრულების მერე ლაუდრუპი ბიზნესში გადაერთო ამას წინათ მისმა ფირმამ გერმანიაში ორი საფეხბურთო გაზონი შეუკვეთა. გაზონების გამოყვანით კი რუმენიგეს ფირმაა დაკავებული და ლაუდრუპმა საქონელი სწორედ რუმენიგეს შეუკვეთა.

მოგვიანებით რუმენიგემ კი ინანა, მაგრამ ფაქტად რჩება: გერმანელმა შეკვეთა ლაუდრუპისგან ტელეფონით, სიტყვიერად მიიღო და შეთანხმდნენ, რომ დანიელი ფულს გაზონების ჩაბარების მერე გადაურიცხავდა.

რუმენიგეს ფირმამ შეკვეთა შეასრულა და ტრაილერით კოპენჰაგენში გაგზავნა. აი, ამის მერე კი, ლაუდრუპი გაქრა — უფრო სწორად, რუმენიგესთვის გაქრა, რაკი მის სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა.

საქმეში რუმენიგეს იურისტები ჩაერივნენ და აღმოაჩინეს, რომ ლაუდრუპის ფირმა გაკოტრებული ყოფილა, თანაც კონტრაქტი არ არსებობს. რუმენიგემ 30 ათასი ევრო იზარალა.

— ფულს არ დავეძებ — დაიჩივლა გერმანელმა — ის უფრო მადარდებს, რომ მეგობარი დავკარგე.

შევნიშნოთ, რომ ბრაიან ლაუდრუპის უფროსი ძმა მიკაელი დანიაში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება.

**კოტე კეკელია**

# ჟუანობა გრ ელდება



**„რომას“** ბრაზილიელმა მცველმა ჟუანმა კონტრაქტი 2013 წლამდე გაახანგრძლივა.

გასულ თვეში იყო ლაპარაკი ჟუანის სხვა გუნდში გადასვლაზე, მაგრამ რომაელებმა მოახერხეს დატოვება ფეხბურთელისა, რომელსაც კონტრაქტი 2011-ში ეწურებოდა.

„ოფიციალურად ვადასტურებთ, რომ სილვეირა დუშ სანტუშ ჟუანი „რომაში“ 2013 წლამდე დარჩება“ — 2008 წლიდან 2011-ის ჩათვლით, ფეხბურთელი 4 მილიონ 500 ათას ევროს მიიღებს, 2011-დან 2013-ის ჩათვლით კი 4 მილიონ 600 ათასს“ — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

**ირაკლი ნინიძე**

# შავი არწივების ორმაგი გაფრენა

**თურქეთის** ჩემპიონის გამოვლენას ბოლო ტურამდე არ დაადგა საშველი და მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო დღეს გაცხადდა, რომ ტიტულს „ბეშიქთაში“ დაეუფლა.

„შავმა არწივებმა“ ჩემპიონობა „დენიზლისთან“ სტუმრად მოგების მერე გაინაღდეს.

„ბეშიქთაში“ თურქეთის ჩემპიონი ბოლოს 2003 წელს გახდა, ისტორიაში კი მეთერთმეტედ მოიპოვა უძლიერესის ტიტული. მასზე მეტად ჩემპიონები მხოლოდ „გალათასარაი“ და „ფენერბაჰჩე“ გამხდარან — ჩვიდმეტჯერ. ჩემპიონობის რაოდენობით მეოთხეა „ტრაბზონი“ — 6 ტიტული.

იმასაც შევახსენებთ, რომ ამ სეზონში „ბეშიქთაშმა“ თურქეთის თასიც მოიგო, როცა ფინალში „ფენერბაჰჩეს“ მოუგო 4:2.



შაბათს კი სტამბოლელებმა დუბლი შეასრულეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კი პირველობის შანსს „სივასი“ და „ტრაბზონი“ ინარჩუნებდნენ.

**რომან თურქია**

# იტალია

## სერია A. ბოლო ტური

# ორი მილანური დასასრული



**ერთი** ქალაქის ორი სხვადასხვა გუნდის ორმა დიდმა ფეხბურთელმა გუშინ კარიერა დაასრულა.

პაოლო მალდინიმ და ლუიშ ფიგუმ ბოლო მატჩები ითამაშეს.

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა მალდინიმ 24 სეზონი შეალია „მილანს", ფიგუმ კი 20-წლიან კარიერაში ოთხი გუნდი გამოიცვალა.

ორივე გამარჯვებით დაემშვიდობა ბუცებს. მალდინის „მილანმა" „ფიორენტინას" მოუგო, ფიგუს „ინტერმა" კი „ატალანტას".

იტალიის შვიდგზის ჩემპიონს (1988, 1992, 1993, 1994, 1996, 1999, 2004) და ჩემპიონთა თასის ხუთჯერ (1989, 1990, 1994, 2003, 2007) მომგებ პაოლო მალდინის გულისტკივილი მაინც გაჰყვა.

ბოლოსწინა ტურში „რომასთან", „სან სიროზე" ბოლო მატჩის მერე, როცა მოედანს წრე დაარტყა, „მილანის" კაპიტანს ულტრასებმა პლაკატი გამოუფინეს: „ჩვენ ერთი კაპიტანი გვყავდა — ბარეზი".

ესაც არ აკმარეს და ბურთის დევნაში დაბერებულ 40 წლის კაცს უსტვინეს.

ასეთი გაცილება „სან სიროდან" მალდინის ცხდია, ეწყინა: „არ ვიცი, რატომ ჩამიშხამეს ქომაგებმა ზეიმი. მე ყოველთვის პირდაპირ ვამბობ ჩემს აზრს, მივყვები ჩემს იდეალებს და პატივს ვცემ გარშემომყოფთ.

მე ხშირად არ ვსტუმრობდი გულშემატკივრების საყვარელ ადგილებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სნობი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ჩემი გვარი უნდა გამემართლებინა.

ხალხმა იმით უნდა შემამჩნიოს, რასაც ფეხბურთით მივაღწიე.

ყველაზე მეტად კი კლუბის სიჩუმე მეწყინა. პრეზიდენტიდან დაწყებული, არც ერთ ოფიციალურ პირს ჩემი მხარდასაჭერი სიტყვა არ უთქვამს. ვგებ იდეალისტი ვარ, მაგრამ „მილანის" დონის კლუბს ასეთი საქციელი არ ეკადრება".

პაოლო მალდინიმ 24-წლიან კარიერაში „მილანის" მაისურით 902 მატჩი ითამაშა და 33 გოლი გაიტანა.

რვა წლის განმავლობაში ნაკრების კაპიტანი იყო და „სკუადრა აძურას" ისტორიაში ყველაზე უხვმატჩიანი (126) ფეხბურთელია.

2005 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლივერპულთან" მალდინიმ 51-წამზე შეაგდო და ფინალების ისტორიაში უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა. გარდა ამისა, ყველაზე ასაკოვანიც, ვისაც ფინალში გაუტანია.

3-ნომრიან მაისურას „მილანი" თაროზე დადებს და როცა მალდინის შვილი, რომელიც ახალგაზრდულ გუნდშია, ძირითად შემადგენლობაში მოხვდება, მამის ნომერს მიიღებს.

პაოლო მალდინის ქომაგების სტვენა ეწყინა, ლუიშ ფიგუს თავზე კი გოჭის თავიც დატრიალებულა, რომელიც „ბარსელონადან" „რეალში" გადასულს „კამპ ნოუზე" ესროლეს.

36 წლის პორტუგალიელ ნახევარმცველს „სან სიროზე" ბოლო მატჩში არავინ უსტვინა და მშვიდად დაასრულა „სპორტინგში" 20 წლის წინ დაწყებული კარიერა.

ლისაბონურ კლუბში გატარებული 6 სეზონის მერე მისი ყიდვა „იუვენტუსმა" და „პარმამ" მოინდომეს. ისე მოხდა, რომ ფიგუმ ორივესთან გააფორმა კონტრაქტი, რის გამოც ორი წლის განმავლობაში იტალიაში გადასვლის უფლება წაართვეს.

„სპორტინგმაც" 1995-ის ზაფხულში ნახევარმცველი 2 მილიონ 250 ათას გირვანქად „ბარსელონას" მიჰყიდა.

იოჰან კრუიფის გუნდში ლუიშ ფიგუმ ისე გაიბრწყინა, რომ ფანების კერპად იქცა, მაგრამ ჯამაგირზე მოურიგებლობის გამო 2000 წელს „ბარსას" ქომაგებს გულში ლახვარი ჩასცა — მათთვის საძულველ „რეალში" გადავიდა.

იმავე წელს „ოქროს ბურთი" მიიღო, მომდევნოში კი ფიფამ მსოფლიოს საუკეთესოდ აღიარა. 2002 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო, 2003-ში პრიმერას ჩემპიონი გახდა და მას მერე „ინტერში" გადასვლამდე უტიტულოდ იყო, რადგან „რეალის" საქმეები უკა-უკან წავიდა.

2005-ში „რეალიდან" „ინტერში" გადაბარგდა, სადაც ზედიზედ ოთხჯერ გაჩემპიონდა და 16 მაისს განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას ასრულებს.

ლუიშ ფიგუმ „სპორტინგში" 137 მატჩში 16 გაიტანა, „ბარსელონაში" 172-ში — 30, „რეალში" 164-ში — 36, „ინტერს" კი 103-ში ცხრა გოლით შეეწია.

პორტუგალიის ნაკრების მაისურა ფიგუმ 127-ჯერ მოირგო და 32 გოლი მიითვალა.

**მაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 38 | 25 | 9 | 4 | 70:32 | 84 |
| მილანი | 38 | 22 | 8 | 8 | 70:35 | 74 |
| იუვენტუსი | 38 | 21 | 11 | 6 | 69:37 | 74 |
| ჯენოა | 38 | 19 | 11 | 8 | 56:39 | 68 |
| ფიორენტინა | 38 | 21 | 5 | 12 | 53:38 | 68 |
| რომა | 38 | 18 | 9 | 11 | 64:61 | 63 |
| უდინეზე | 38 | 16 | 10 | 12 | 61:50 | 58 |
| პალერმო | 38 | 17 | 6 | 15 | 57:50 | 57 |
| კალიარი | 38 | 15 | 8 | 15 | 50:50 | 53 |
| ლაციო | 38 | 15 | 5 | 18 | 46:55 | 50 |
| ატალანტა | 38 | 13 | 8 | 17 | 45:48 | 47 |
| ნაპოლი | 38 | 12 | 10 | 16 | 43:45 | 46 |
| სამპდორია | 38 | 11 | 13 | 14 | 49:52 | 46 |
| სიენა | 38 | 12 | 8 | 18 | 33:45 | 44 |
| კატანია | 38 | 12 | 7 | 19 | 41:51 | 43 |
| კიევო | 38 | 8 | 14 | 16 | 35:49 | 38 |
| ბოლონია | 38 | 9 | 10 | 19 | 43:62 | 37 |
| ტორინო | 38 | 8 | 10 | 20 | 37:61 | 34 |
| რეჯინა | 38 | 6 | 13 | 19 | 30:62 | 31 |
| ლეჩე | 38 | 5 | 15 | 18 | 37:67 | 30 |

### სერია B. ბოლო ტური

ალბინოლეფე — ანკონა 3:4; ასკოლი — ლივორნო 2:3; აველინო — ემპოლი 0:1; ბარი — ტრევიზო 4:1; ჩიტადელა — რიმინი 2:0; გროსეტო — ფროზინონე 2:1; მანტოვა — სალერნიტანა 1:1; პიზა — ბრეშა 0:1; სასუოლო — პარმა 2:2; ტრიესტინა — მოდენა 0:1; ვიჩენცა — პიაჩენცა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი | 42 | 22 | 14 | 6 | 65:35 | 80 |
| პარმა | 42 | 19 | 19 | 4 | 65:34 | 76 |
| ლივორნო | 42 | 16 | 20 | 6 | 64:40 | 68 |
| ბრეშა | 42 | 18 | 13 | 11 | 54:40 | 67 |
| ემპოლი | 42 | 18 | 13 | 11 | 53:44 | 67 |
| გროსეტო | 42 | 18 | 10 | 14 | 64:66 | 64 |
| სასუოლო | 42 | 15 | 15 | 12 | 57:50 | 60 |
| ტრიესტინა | 42 | 16 | 11 | 15 | 52:47 | 59 |
| ალბინოლეფე | 42 | 15 | 13 | 14 | 49:49 | 58 |
| პიაჩენცა | 42 | 14 | 13 | 15 | 48:48 | 55 |
| ფროზინონე | 42 | 13 | 14 | 15 | 48:53 | 53 |
| ვიჩენცა | 42 | 13 | 13 | 16 | 44:41 | 52 |
| მანტოვა | 42 | 12 | 16 | 14 | 41:46 | 52 |
| ასკოლი | 42 | 14 | 10 | 18 | 37:48 | 52 |
| მოდენა | 42 | 13 | 12 | 17 | 54:63 | 51 |
| სალერნიტანა | 42 | 14 | 9 | 19 | 46:56 | 51 |
| ჩიტადელა | 42 | 11 | 17 | 14 | 42:43 | 50 |
| რიმინი | 42 | 13 | 11 | 18 | 43:56 | 50 |
| ანკონა | 42 | 14 | 7 | 21 | 54:66 | 49 |
| პიზა | 42 | 12 | 12 | 18 | 45:55 | 48 |
| აველინო | 42 | 9 | 15 | 18 | 41:61 | 42 |
| ტრევიზო | 42 | 7 | 15 | 20 | 37:62 | 36 |



**ინტერი 4:3 ატალანტა**

1:0 მუნტარი (6), 1:1 დონი (10), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (12), 2:2 ჩიგარინი (25), 2:3 დონი (53), 3:3 კამბიასო (80), 4:3 იბრაჰიმოვიჩი (81)
გაფრთხილება: სტანკოვიჩი (ინტერი)
მსაჯი: ჯანლუკა როკი

**უდინეზე 6:2 კალიარი**

1:0 ასამოა (10), 2:0 პეპე (11), 3:0 ფლორო ფლორესი (15), 3:1 აკვაფრესკა (55 პენ), 3:2 პაროლა (57), 4:2 პასკუალე (58), 5:2 კვალიარელა (81), 6:2 იგალო (89)
გაფრთხილება: საპატა (უდინეზე), მატიო (კალიარი)
მსაჯი: მაურიციო სიამპი

**ბოლონია 3:1 კატანია**

1:0 მინჯაცინი (5), 2:0 ტერსი (26), 2:1 მორიმოტო (50), 3:1 დი ვაიო (68)
გაფრთხილება: მუტარელი, კასტელინი (ბოლონია)
მსაჯი: ლუკა ბანტი

**ნაპოლი 3:0 კიევო**

1:0 მონტევინო (4), 2:0 ბოლიასინო (7), 3:0 პია (18)
მსაჯი: რენცო კანდუსიო

**იუვენტუსი 2:0 ლაციო**

1:0, 2:0 იაკინტა (3, 59)
გაფრთხილება: ლიხშტაინერი, ტუია (ლაციო)
მსაჯი: სებასტიანო პერუცო

**ჯენოა 4:1 ლეჩე**

1:0 იანკოვიჩი (22), 1:1 ტირიბოკი (31), 2:1 კრისიტო (52), 3:1, 4:1 მილიტო (56, 67)
გაფრთხილება: კონანი, ინგროსო, კასერტა (ლეჩე)
მსაჯი: რიკარდო ტოცი

**ფიორენტინა 0:2 მილანი**

0:1 კაკა (55), 0:2 პატო (76)
გაფრთხილება: ფლამინი (მილანი)
მსაჯი: ნიკოლა რიცოლი

**პალერმო 2:2 სამპდორია**

1:0 მიკოლი (8), 2:0 სუჩი (42), 2:1 პაცინი (45), 2:2 სტანკევიჩუსი (59)
გაფრთხილება: სავინი, მიკოლი (პალერმო), კამპანარო, სამარკო, ლუცინი (სამპდორია)
მსაჯი: მიკელე კავარეტა

**რეჯინა 1:1 სიენა**

1:0 სტუანი (45 პენ), 1:1 მაკარონე (76)
გაფრთხილება: კოსტა, კარმონა, ბასო (რეჯინა), კალაიო (სიენა)
გაძევება: კალაიო (67, სიენა)
მსაჯი: ვალერიო სკოდიტი

**რომა 3:2 ტორინო**

0:1 ვაილატი (9), 1:1 მენესი (35), 2:1 ვუჩინიჩი (74), 3:1 ტოტი (83 პენ), 3:2 ვენტოლა (88)
გაფრთხილება: პანუჩი, მექსეში (რომა), ფრანჩესკინი (ტორინო)
გაძევება: ფრანჩესკინი (82, ტორინო)
მსაჯი: ანტონიო დამატო

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. ბოლო ტური

# ფორლანის საამაყო გოლები

**დეპორტივო 1:1 ბარსელონა**
1:0 ბოდიპო (31), 1:1 ეტოო (89)
გაფრთხილება: სერხიო (დეპორტივო), კრკიჩი (ბარსელონა)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო

**მალიორკა 2:3 ვილიარეალი**
0:1 კანი (30), 1:1 ადურისი (36), 1:2, 1:3 ლორენტე (40, 53), 2:3 ვებო (90)
გაფრთხილება: ხოსემი, სუარესი (მალიორკა), გოდინი (ვილიარეალი)
მსაჯი: დავიდ ბორბალანი

**ატლეტიკო 3:0 ალმერია**
1:0 აგერო (19), 2:0 რაულ გარსია (27), 3:0 ფორლანი (49)
გაფრთხილება: ასუნსაო, გარსია, უიფალუში (ატლეტიკო), ნეგრედო (ალმერია)
მსაჯი: კარლოს ფერეირო

**ვალენსია 2:0 ბილბაო**
1:0, 2:0 ვილია (7, 90)
გაფრთხილება: ვილია, მარჩენა, ედუ (ვალენსია), გურპეგი, ველესი, ბელენსიაგა, ლოპესი (ბილბაო)
მსაჯი: კარლოს კარბალიო

**ესპანიოლი 3:0 მალაგა**
1:0, 2:0, 3:0 ტამუდო (7, 45, 56 პენ)
გაფრთხილება: რუფეტე (ესპანიოლი), მანოლო, ლოლო (მალაგა)
გაძევება: რობსონი (55, მალაგა)
მსაჯი: ხულიან სანტიაგო

**ნუმანსია 0:2 სევილია**
0:1 არმენტეროსი (88), 0:2 მრენო (90 ს.კ.)
გაფრთხილება: ლორენტე, არანდა, დომიგო (ნუმანსია), პეროტი (სევილია)
მსაჯი: ალფონსო ისკიერდო

**ოსასუნა 2:1 რეალი**
0:1 იგუაინი (11), 1:1 პლასილი (15), 2:1 ხუანფრანი (60)
გაფრთხილება: კრუჩაგა, ნეკუნამი (ოსასუნა), დიარა, ჰუნტელაარი (რეალი)
გაძევება: სალგადო (56, რეალი), ჰუნტელაარი (89, რეალი)
მსაჯი: ფერნანდო ვიტიენესი

**რასინგი 1:1 ხეტაფე**
1:0 მორალი (34), 1:1 გრანერო (38)
გაფრთხილება: სერანო, რასენი, ჯონათანი, სეპსი, ფერნანდესი, გონსალვეში (რასინგი), ბელენგერი, კონტრა, სოლდადო (ხეტაფე)
მსაჯი: მიგელ ლასა

**ბეტისი 1:1 ვალიადოლიდი**
0:1 აკირე (45), 1:1 ოლივეირა (49)
გაფრთხილება: ბეა, კანობიო, მარკოსი (ვალიადოლიდი)
მსაჯი: ალფონსო ბურული

**ხიხონი 2:1 უელვა**
0:1 მარტინი (23), 1:1 ბარალი (58), 2:1 მორანი (67)
გაფრთხილება: კამარა, მორანი, ბარალი (ხიხონი), ალვარესი, მორისი (უელვა)
მსაჯი: ედუარდო გონსალესი

**მადრიდის** „რეალმა“ სეზონი გადასარევად დაასრულა — ზედიზედ ხუთ მატჩში დამარცხდა. „ბარსელონასთან“ 2:6 მერე ხუანდე რამოსის გუნდმა საჩემპიონო ბრძოლაზე ხელი ჩაიქნია და ერთი მეორის მიყოლებით წააგო.

არანაკლებ შთამბეჭდავად ჩაამთავრეს ჩემპიონატი მიჩელ სალგადომ და კლაას იან ჰუნტელაარმა.

სალგადოს, ალბათ, შვებულებაში ეჩქარებოდა და 56-ე წუთზე გააძევებინა თავი მსაჯს, მატჩის ბოლოს კი მას ჰუნტელაარიც მიჰყვა.

იგუაინის გოლს მასპინძლებმა ორით უპასუხეს და შეუძლიათ იტრაბახონ — ზედიზედ დაამარცხეს „ბარსელონა“ და „რეალი“.

წინა ტურში „ბარსას“ „კამპ ნოუზე“ 1:0 მოუგეს.

„ბეტისმა“ შინ „ვალიადოლიდის“ ძლევა ვერ შეძლო და 2001 წლის შემდეგ პირველად ჩაქვეითდა სეგუნდადივიზიონში.

ჩემპიონთა თასის მფლობელთან მოგება ძალიან უნდოდა „დეპორტივოს“, რომელიც უგებდა კიდეც „ბარსელონას“ ბოდიპოს გოლით, მაგრამ სამუელ ეტოოსაც უნდოდა გოლების რაოდენობის დამრგვალება 30-მდე და თამაშის დასრულებამდე წუთით ადრე კიდეც დაამრგვალა.

მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში მადრიდის „ატლეტიკომ“ იყოჩაღა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვა.

ატლეტიკოელი ფორვარდი დიეგო ფორლანი პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლე გახდა და გაიხარა: „პირველ რიგში ის მიხარია, რომ გუნდმა ზედიზედ მეორედ დაიკავა მეოთხე ადგილი და ისიც ძალიან საამაყოა, რომ ასეთ ძლიერ ჩემპიონატში ბომბარდირი გავხდი.

და ბოლოს — აღსანიშნავია „ესპანიოლის“ მცირე სასწაული. 22 მარტისთვის გუნდი გავარდნის კანდიდატი იყო, მაგრამ 5 აპრილიდან 10 მატჩში რვა მოიგო, ერთში დამარცხდა და ერთიც ფრედ დასრულა, შედეგად კი ცხრილის შუაში გამოიჭიმა.

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 38 | 27 | 6 | 5 | 105:35 | 87 |
| რეალი | 38 | 25 | 3 | 10 | 82:52 | 78 |
| სევილია | 38 | 21 | 7 | 10 | 54:39 | 70 |
| ატლეტიკო | 38 | 20 | 7 | 11 | 80:57 | 67 |
| ვილიარეალი | 38 | 18 | 11 | 9 | 61:54 | 65 |
| ვალენსია | 38 | 18 | 8 | 12 | 68:54 | 62 |
| დეპორტივო | 38 | 16 | 10 | 12 | 48:47 | 58 |
| მალაგა | 38 | 15 | 10 | 13 | 55:59 | 55 |
| მალიორკა | 38 | 14 | 9 | 15 | 53:60 | 51 |
| ესპანიოლი | 38 | 12 | 11 | 15 | 46:49 | 47 |
| რასინგი | 38 | 12 | 10 | 16 | 49:48 | 46 |
| ალმერია | 38 | 13 | 7 | 18 | 45:61 | 46 |
| ბილბაო | 38 | 12 | 8 | 18 | 47:62 | 44 |
| ოსასუნა | 38 | 10 | 13 | 15 | 41:46 | 43 |
| ვალიადოლიდი | 38 | 12 | 7 | 19 | 46:58 | 43 |
| ხიხონი | 38 | 14 | 1 | 23 | 47:79 | 43 |
| ხეტაფე | 38 | 10 | 12 | 16 | 50:56 | 42 |
| ბეტისი | 38 | 10 | 12 | 16 | 51:58 | 42 |
| ნუმანსია | 38 | 10 | 4 | 24 | 38:71 | 34 |
| უელვა | 38 | 8 | 9 | 21 | 34:57 | 33 |

**სეგუნდადივიზიონი**

ალავესი — უესკა 3:0; ხირონა — ხიმნასტიკი 2:1; ლევანტე — რაიო ვალეკანო 1:0; მურსია — ალიკანტე 3:1; სევილია ბ — ტენერიფე 0:4; ხერესი — ეიბარი 3:0; სარაგოსა — ალბასეტე 3:0; ერკულესი — სელტა 2:2; სოსიედადი — კორდობა 0:2; ელჩე — კასტელიონი 0:1; ლას პალმასი — სალამანკა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 39 | 23 | 9 | 7 | 70:38 | 78 |
| ტენერიფე | 39 | 22 | 9 | 8 | 75:45 | 75 |
| სარაგოსა | 39 | 21 | 11 | 7 | 75:38 | 74 |
| ერკულესი | 39 | 18 | 15 | 6 | 71:40 | 69 |
| ვალეკანო | 39 | 17 | 14 | 8 | 49:36 | 65 |
| სოსიედადი | 39 | 16 | 15 | 8 | 44:32 | 63 |
| სალამანკა | 39 | 16 | 12 | 11 | 56:40 | 60 |
| ლევანტე | 39 | 17 | 8 | 14 | 54:56 | 59 |
| კასტელონი | 39 | 14 | 14 | 11 | 48:41 | 56 |
| ხიმნასტიკი | 39 | 13 | 15 | 11 | 58:48 | 54 |
| ელჩე | 39 | 13 | 14 | 12 | 51:44 | 53 |
| მურსია | 39 | 13 | 9 | 17 | 45:55 | 48 |
| ხირონა | 39 | 11 | 15 | 13 | 40:48 | 48 |
| კორდობა | 39 | 12 | 11 | 16 | 40:49 | 47 |
| უესკა | 39 | 11 | 14 | 14 | 40:43 | 47 |
| ალბასეტე | 39 | 12 | 11 | 16 | 40:50 | 47 |
| ლას პალმასი | 39 | 10 | 15 | 14 | 43:45 | 45 |
| სელტა | 39 | 9 | 16 | 14 | 43:54 | 43 |
| ალავესი | 39 | 10 | 10 | 19 | 40:61 | 40 |
| ალიკანტე | 39 | 8 | 10 | 21 | 34:63 | 34 |
| ეიბარი | 39 | 7 | 10 | 22 | 28:57 | 31 |
| სევილია ბ | 39 | 2 | 11 | 26 | 26:83 | 17 |



დიეგო ფორლანი პრიმერას ბომბარდირი გახდა



სამუელ ეტოომ გოლი არც „დეპორტივოსთვის“ დაიშურა

# ზიდნმა ჰაზარდი რეალში დაინახა

**„რეალის“** ახალი პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის გუნდში ზინედინ ზიდანს კაბინეტი ერგება თუ არა, ჯერ უცნობია, მაგრამ ფრანგმა მადრიდელებს უკვე ურჩია ერთი ფეხბურთელის შეძენა — „ლილის“ ბელგიელი ნახევარმცველი 18 წლის ედენ ჰაზარდი.

ჰაზარდი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი გამთამაშებელია და ამ სეზონში საფრანგეთის საუკეთესო ახალგაზრდად აღიარეს.

მას თვალი დაადგეს „ბარსელონამ“ და „არსენალმა“, მაგრამ ზიდანს სურს, რომ ჰაზარდმა „რეალის“ მაისურა მოირგოს.

# ფრთხილად, ქრთამია!

**ესპანეთის** სეგუნდადივიზიონის „კასტელონის“ რამდენიმე ფეხბურთელმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ გაამხილა, რომ „სარაგოსამ“, რომელიც პრიმერაში დაბრუნებას ლამობს, სამი ქულის სანაცვლოდ ქრთამი შესთავაზა.

მატჩი, რომელიც 11 აპრილს კასტელონში გაიმართა, 1:1 დასრულდა. სტუმრები იგებდნენ და მასპინძლებმა ბოლო წუთზე გაათანაბრეს.

ერთ-ერთმა კასტელონელმა ქრთამის შეთავაზების ამბავი მწვრთნელს პაკო ერერას უთხრა და მერე კლუბმა ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციას აცნობა.

ეს მოსყიდვის პირველი შემთხვევა არაა. მანამდე ტარაგონის „ხიმნასტიკმაც“ მისწერა მოქრთამვის მცდელობის შესახებ ფეხბურთის ფედერაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## არგენტინა

### კლაუსურა

ნიუელსი — არსენალი 1:1; ურაკანი — ბანფილდი 2:1; ინდეპენდიენტე — როსარიო 3:1; გოდოი — კოლონი 1:3; ლანუსი — სან ლორენსო 2:1; არგენტინოს ხუნიორსი — რივერ პლეიტი 0:0; ხიმნასია ხ —ველეს სარსფილდი 0:1

## სომხეთი

### პრემიერლიგა

ბანანცი — შირაქი 5:1; კილიკია — პიუნიკი 1:3; არარატი — მიკა 0:1; ულისე — განძასარი 5:0

## ავსტრია

### ბუნდესლიგა

აუსტრია — კერნტენი 4:1; კაპფენბერგი — რაპიდი 0:4; მატერსბურგი — ლინცერი 3:1; რიდი — შტურმი 3:2; ზალცბურგი — ალტახი 1:4

## ბელარუსი

### I დივიზიონი

ბატე — სოლიგორსკი 2:3; ნემანი — ნაფტანი 2:0; დინამო — მტზ-რიპო 5:0; მინსკი — გომელი 1:0; ვიტებსკი — მიკაშევიჩი 2:1; სმორგონი — გოდნო 0:1; ბრესტი — დნეპრი 0:0

### თასი

ნაფტანი — სოლიგორსკი 1:1 (2:1დ.დ.)

## ბელგია

### პლეი ოფი

ლიერსი — ანტვერპენი 0:0; რუზელარე — დენდერი 0:0; ანტვერპენი — დენდერი 0:2; რუზელარე — ლიერსი 1:0

## ბრაზილია

### სერია A

ატლეტიკო მგ — სანტო ანდრე 0:0; ბოტაფოგო — რესიფე 2:2; კურიტიბა — გოიასი 1:3; ფლამენგო — ატლეტიკო პრ 2:1; ნაუტიკო — ფლუმინენსე 1:1; სანტოსი — კორინთიანსი 3:1; სან პაულუ — კრუზეირო 3:0; ვიტორია — გრემიო 1:0

### თასი

ინტერნასიონალი — კურიტიბა 3:1; ვასკუ — კორინთიანსი 1:1

## ბულგარეთი

### A ჯგუფი

ბოტევი — ვიხრენი 3:1; ჩერნო მორე — სლავია 2:0; ჩერნომორეცი — პირინი 3:1; ლევსკი — მინიორი 1:1; ლიტექსი — ცსკა 1:0; ლოკომოტივი (მ) — სლივენი 2:0; ლოკომოტივი (ს) — სპარტაკი 2:2; პეტრიჩი — ლოკომოტივი (პ) 1:2

## ხორვატია

### NHL

ციბალია — შიბენიკი 2:1; ზაგრები — ზადარი 3:1; ოსიეკი — სლავენი 1:2; სესვეტე — ვარტექსი 2:1; ზაპრესიჩი — რიეკა 3:0; ჰაიდუკი — დინამო 2:2

### თასი

ჰაიდუკი — დინამო 3:0 (3:4 პენ)

## დანია

### სას ლიგა

ბრონდბიუ — მიდტიულანდი 2:4; კოპენჰაგენი — რანდერსი 3:3; ნორდსიელანდი — ოლბორგი 2:2; ოდენსე — ჰორსენსი 2:1; სიონდერისკე — ესბიერგი 1:1; ვაილე — ორჰუსი 2:1

### ვიასატ დივიზიონი

ფრედერისია — ტისტედი 3:0; ჰვიდოვრე — ფრემი 3:0; ლოლანდი — ლინგბი 0:3; როსკილდე — ვიბორგი 2:0; სილკებორგი — სკივე 2:1

## ინგლისი

### ასოციაციის თასი. ფინალი

ჩელსი 2:1 ევერტონი

## ესტონეთი

### მეისტრილიგა

შილამაე — ნომე 2:0; კალევი — პაიდე 0:0; ტულევიკი — ტრანსი 1:2

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა

ივასკიალა — მარიეჰამნი 0:2; ჰონკა — იარო 5:1; ინტერი — ვაასა 0:1; კუოპიო — ტურკუ 0:3; ჰიკ — ტამპერე 1:0; ჰაკა — კუოპიო 3:0; იარო — ივასკიალა 5:1; ლაჰტი — ტურკუ 2:4; მარიეჰამნი — ტამპერე 1:0; მიუპა — ვაასა 0:2; როვანიემი — ჰიკ 1:0

## მაკედონია

### პრვა ლიგა

ჰორიზონტი — ნაპრედოკი 2:0; მილანო — მაკედონია 2:0; რაბოტნიჩკი — პობედა 2:0; რენოვა — სილექსი 2:2; ვარდარი — მეტალურგი 1:0; პობედა — ვარდარი 1:1; მაკედონია — რენოვა 1:1; მეტალურგი — მილანო 0:1; ნაპრედოკი — რაბოტნიჩკი 0:1; პელისტერი — ჰორიზონტი 2:2

## გერმანია

### პლეი ოფი

პადერბორნი — ოსნაბრიუკი 1:0

### ჩრდ. რეგიონალლიგა

ალტონა — ჰანზა (მ) 2:2; კოტბუსი (მ) — ტურკიემსფორი 0:1; ჰერტა (მ) — ჰამბურგი (მ) 0:2; ლაიპციგი — კილი 0:3; ლიუბეკი — ჰანოვერი (მ) 3:0; მაგდებურგი — ობერნეულანდი 3:3; პლაუენი — ბაბელსბერგი 4:1; ვილჰელმშავენი — ქემნიცი 0:1; ვოლფსბურგი (მ) — ჰალეში 0:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

აინტრახტი (მ) — მიუნხენი (მ) 2:1; როიტლინგენი — ბამბერგი 0:1; ბამბერგი — ფიურტი (მ) 1:1; დარმშტადტი — ნიურნბერგი (მ) 1:1; კარლსრუე (მ) — ჰაიდენჰაიმი 0:2; კასელი — აშაფენბურგი 4:0; მიუნხენი (მ) — ფრაიბურგი (მ) 2:1; პფულენდორფი — აინტრახტი (მ) 2:2; ულმი — მანჰაიმი 0:1; უნტერჰახინგი (მ) — გროსბარდორფი 2:1

### დასავლეთ რეგიონალლიგა

კლოპენბურგი — შალკე (მ) 1:2; ესენი — ოგერშაიმი 3:0; კლევე — ლევერკუზენი (მ) 1:4; კიოლნი (მ) — ბოხუმი (მ) 0:1; მაინცი (მ) — ელვერსბერგი 0:1; გლადბახი (მ) — ფერლი 3:4; მიუნსტერი — დორტმუნდი (მ) 2:2; ტრირი — ლაუტერნი (მ) 3:3; ვორმსი — ლოტე 3:2

### თასი. ფინალი

ლევერკუზენი 0:1 ვერდერი

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

აეკ — პანათინაიკოსი 0:2; პაოკ — ლარისა 1:0

## უნგრეთი

### სოპრონი ლიგა

უიპეშტი — ფეჰერვარი 1:2; დებრეცენი — პაქში 2:0; ჰალადაში — ზალაეგერსზეგი 3:2; კაპოშვარი — ჰონვედი 3:1; კეჩკემეტი — ბორშოდი 2:0; ნიირეგიჰაზა — ვაშაში 3:1; რეაკ — მტკ 0:4; სიოფოკი — დიორი 3:2

## ირლანდია

### პრემიერლიგა

გალვაი — დერი 0:3; კორკი — ბოჰემიანსი 0:1; დანდალკი — სლიგო 0:2; სტ. პატრიკსი — ბრეი 1:1; შემროკი — დროჰედა 1:1

## იტალია

### სერია C/1. პლეი ოფი

არეცო — კროტონე 1:2; ფოჯა — ბენევენტო 0:0; იუვე სტაბია — ლანჩანო 2:1; პადოვა — რავენა 1:1; პისტოიეზე — ფოლინიო 2:1; რეჯანა — პრო პატრია 4:5; სამბენედეტეზე — ლეკო 0:0; ვენეცია — პრო სესტო 3:1

## იაპონია

### ნაბისკოს თასი

ჰიროშიმა — ომია 7:0; კიოტო — ტოკიო 1:1; იამაგატა — ჩიბა 0:1; კაშივა — შიმიცუ 1:2; ურავა — ნიიგატა 2:0; იოკოჰამა — ოიტა 3:3

## ლატვია

### ვირსლიგა

იურმალა — სკონტო 0:3; ლიეპაიასი — ტრანზიტსი 5:0; ბლაზმა — ვენტსპილსი 0:3; დაუგავა — ოლიმპი 1:5; დინაბურგი — სკონტო 1:1; ბლაზმა — დაუგავა 4:3; იურმალა — ლიეპაიასი 1:1; ტრანზიტსი — ვენტსპილსი 0:3

## ლიტვა

### სუპერთასი

სუდუვა — ეკრანასი 0:0 (2:1 პენ)

## ჩერნოგორია

### პრვა ჩრნოგორსკა

იედინსტვო — მოგრენი 1:2; იეზერო — ბუდუჩნოსტი 2:2; კომი — გრბალი 4:3; ლოვცენი — დეჩიჩი 0:0; პეტროვაცი — იუტიესკა 0:3; რუდარი — ძეტა 0:0

## ჰოლანდია

### საევროლიგო პლეი ოფი

ბრედა — გრონინგენი 1:1; გრონინგენი — ბრედა 0:2

### გადასასვლელი პლეი ოფი

ვალვაიკი — გრააფსხაპი 2:0; კამბური — როდა 0:0; გრააფსხაპი — ვალვაიკი 2:1; როდა — კამბური 1:1

## პოლონეთი

### ექსტრაკლასი

არკა — ოდრა 2:1; გორნიკი — პოლონია 0:1; იაგელონია — ბელხატუვი 0:2; ლეხი — კრაკოვია 2:2; ლეგია — რუხი 4:1; ლოძი — ბიტომი 2:0; პიასტი — გდანსკი 0:2; ვისლა — სლასკი 2:0

### II დივიზიონი

კატოვიცე — პოდბესკიზიე 1:0; კორონა — სვინოუისკიე 2:1; მოტორი — დოლკანი 0:2; პლოცკი — ვიძევი 1:2; ტურეკი — იასტრჟებიე 0:3; ვარტა — ვიეკოპოლსკი 1:2; ზნიცი — სტალოვა ვოლა 1:0. ოდრა — გორნიკი გადაიდო

## რუმინეთი

### I ლიგა

გლორია — ოტოპენი 3:1; სტიაუა — უნივერსიტატეა 2:1; კლუჟი — პანდური 1:1; ფარული — გაზ მეთანი 2:0; პოლი იაში — ბუზაუ 1:1; ვასლუი — რაპიდი 1:0; ოცელული — პიტეშტი 2:0; დინამო — ბრაშოვი 0:2; ტიმიშოარა — უნირეა 1:2

## თურქეთი

### სუპერლიგა

გაზიანთეფი — ესქიშეჰირი 1:1; ჰაჯეტეპე — ქოჯაელი 0:4; ანთალია — ანკარაგიუჯუ 1:0; ისთანბული — ბურსა 0:1; დენიზლი — ბეშიქთაში 1:2; გალათასარაი — სივასი 2:1; გენჩლერი — ქაისერი 0:4; ქონია — ანკარა 3:0; ტრაბზონი — ფენერბაჰჩე 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 34 | 21 | 8 | 5 | 60:30 | 71 |
| სივასი | 34 | 19 | 9 | 6 | 54:28 | 66 |
| ტრაბზონი | 34 | 19 | 8 | 7 | 54:34 | 65 |
| ფენერბახჩე | 34 | 18 | 7 | 9 | 60:36 | 61 |
| გალათასარაი | 34 | 18 | 7 | 9 | 57:39 | 61 |
| ბურსა | 34 | 16 | 10 | 8 | 47:36 | 58 |
| ქაისერი | 34 | 13 | 11 | 10 | 38:26 | 50 |
| გაზიანთეფი | 34 | 12 | 11 | 11 | 46:48 | 47 |
| ისტანბული | 34 | 12 | 6 | 16 | 37:46 | 42 |
| ანკარა | 34 | 11 | 8 | 15 | 36:42 | 41 |
| ესქიშეჰირი | 34 | 10 | 10 | 14 | 45:49 | 40 |
| ანთალია | 34 | 10 | 10 | 14 | 34:42 | 40 |
| ანკარაგიუჯუ | 34 | 11 | 6 | 17 | 36:47 | 39 |
| ქონია | 34 | 10 | 8 | 16 | 35:46 | 38 |
| გენჩლერი | 34 | 10 | 8 | 16 | 38:50 | 38 |
| დენიზლი | 34 | 11 | 5 | 18 | 39:52 | 38 |
| ქოჯაელი | 34 | 8 | 5 | 21 | 47:73 | 29 |
| ჰაჯეტეპე | 34 | 5 | 7 | 22 | 24:63 | 22 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა

ბრნო — პრჟიბრამი 1:2; ბუდეიოვიცე — ტეპლიცე 3:0; იაბლონეცი — ზლინი 6:1; კლადნო — ბანიკი 0:1; ბოლესლავი — სპარტა 0:3; სიგმა — ბოჰემიანსი 3:0; სლავია — ლიბერეცი 2:2; ჟიჟკოვი — პლზენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 30 | 18 | 8 | 4 | 57:25 | 62 |
| სპარტა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:25 | 56 |
| ლიბერეცი | 30 | 14 | 10 | 6 | 41:28 | 52 |
| სიგმა | 30 | 13 | 9 | 8 | 39:36 | 48 |
| იაბლონეცი | 30 | 14 | 4 | 12 | 43:37 | 46 |
| ბოლესლავი | 30 | 12 | 10 | 8 | 39:38 | 46 |
| ტეპლიცე | 30 | 12 | 7 | 11 | 33:25 | 43 |
| პლზენი | 30 | 11 | 10 | 9 | 45:38 | 43 |
| ბანიკი | 30 | 11 | 6 | 13 | 38:36 | 39 |
| ბუდეიოვიცე | 30 | 7 | 15 | 8 | 30:37 | 36 |
| ბრნო | 30 | 9 | 8 | 13 | 32:36 | 35 |
| პრჟიბრამი | 30 | 9 | 7 | 14 | 30:40 | 34 |
| ბოჰემიანსი | 30 | 10 | 4 | 16 | 33:46 | 34 |
| კლადნო | 30 | 8 | 7 | 15 | 21:41 | 31 |
| ზლინი | 30 | 7 | 8 | 15 | 26:49 | 29 |
| ჟიჟკოვი | 30 | 5 | 7 | 18 | 27:45 | 22 |

### II დივიზიონი

დუკლა — ვიტკოვიცე 3:2; ოლომოუცი — სოკოლოვი 2:2; ჰრადეც კრალოვე — სლოვაცკო 1:1; ჟიჰლავა — სპარტა ბ 5:1; მოსტი — ჩასლავი 2:3; ოპავა — კარვინა 1:0; ტრინეცი — ბოჰემიანსი 1:1; უსტი — ფულნეკი 4:0

### თასი. ფინალი

ტეპლიცე — სლოვაცკო 1:0

## რუსეთი

### პრემიერლიგა

ამკარი — სატურნი 0:2; ტომი — დინამო 2:3; როსტოვი — ტერეკი 1:1; ლოკომოტივი — სპარტაკი 2:1; ზენიტი — ყუბანი 2:0; კრილია — მოსკვა 1:1

### თასი. ფინალი

ცსკა — რუბინი 1:0

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი. ფინალი

რეინჯერსი 1:0 ფოლკირკი

## სერბეთი

### სუპერლიგა

ჩუკარიჩკი — პარტიზანი 0:1; ჰაიდუკი — ბორაცი 2:1; იაგოდინა — ჰაბიტფარმი 1:2; ნაპრედაკი — ცრვენა ზვეზდა 2:2; ბელგრადი — ბანატი 2:1; რად — ვოივოდინა 2:2

## სლოვაკეთი

### კორგონი ლიგა

ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 1:2; დუბნიცა — ნიტრა 4:1; სტრედა — ჟილინა 0:0; კოშიცე — ტატრანი 1:1; რუჟომბეროკი — სლოვანი 5:1; ზლატე მორავცე — არტმედია 0:3

## სლოვენია

### თასი. ფინალი

ლიუბლიანა — კოპერი 2:1

## შვედეთი

### ალსვენსკა

აიკ — ჰამარბი 1:0; ჰაკენი — ელფსბორგი 1:1; გოტებორგი — ბრომაპოიკარნა 4:0; ტრელებორგი — გეფლე 2:1; იორგრიტე — იურგარდენი 0:0; ჰალმშტადი — იორებრო 1:1; კალმარი — ჰელსინგბორგი 2:0; მალმიო — გაის 2:2

### სუპერეტა

სირიანსკა — ნორჩიოპინგი 2:1; ანგელჰოლმსი — ატვიდაბერგსი 0:1; ასირისკა — სირიანსკა 0:1; ფალკენბერგსი — ლიუნგსკილე 1:0; მიალბი — სირიუსი 4:0; ქვიდინგი — ვასალუნდი 1:1; სუნდსვალი — ტროლჰატენი 0:0

## აშშ

### მეიჯორლიგა

კოლამბუსი — სან ხოსე 2:1; ჩივასი — ჩიკაგო 2:3; ნიუ ენგლანდი — დი სი იუნაიტედი 2:1; ნიუ იორკი — კოლორადო 2:3; ჰიუსტონი — ტორონტო 3:0; ლოს ანჯელესი — კანზასი 1:1; სან ხოსე — სოლტ ლეიკი 2:1; სიეტლი — კოლამბუსი 1:1

## საფრანგეთი

### I დივიზიონი

კაენი — ბორდო 0:1; გრენობლი — სოშო 0:1; ლილი — ნანსი 3:2; ლორიენი — ლე მანი 1:1; მარსელი — რენი 4:0; ნანტი — ოსერი 2:1; ნიცა — ლე ავრი 0:0; პსჟ — მონაკო 0:0; სტ ეტიენი — ვალანსიენი 4:0; ტულუზი — ლიონი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 38 | 24 | 8 | 6 | 64:34 | 80 |
| მარსელი | 38 | 22 | 11 | 5 | 67:35 | 77 |
| ლიონი | 38 | 20 | 11 | 7 | 52:29 | 71 |
| ტულუზი | 38 | 16 | 16 | 6 | 45:27 | 64 |
| ლილი | 38 | 17 | 13 | 8 | 51:39 | 64 |
| პსჟ | 38 | 19 | 7 | 12 | 49:38 | 64 |
| რენი | 38 | 15 | 16 | 7 | 42:34 | 61 |
| ოსერი | 38 | 16 | 7 | 15 | 35:35 | 55 |
| ნიცა | 38 | 13 | 11 | 14 | 40:41 | 50 |
| ლორიენი | 38 | 10 | 15 | 13 | 47:47 | 45 |
| მონაკო | 38 | 11 | 12 | 15 | 41:45 | 45 |
| ვალანსიენი | 38 | 10 | 14 | 14 | 35:42 | 44 |
| გრენობლი | 38 | 10 | 14 | 14 | 24:37 | 44 |
| სოშო | 38 | 10 | 12 | 16 | 40:48 | 42 |
| ნანსი | 38 | 10 | 12 | 16 | 38:47 | 42 |
| ლე მანი | 38 | 10 | 10 | 18 | 43:54 | 40 |
| სტ. ეტიენი | 38 | 11 | 7 | 20 | 40:56 | 40 |
| კაენი | 38 | 8 | 13 | 17 | 42:49 | 37 |
| ნანტი | 38 | 9 | 10 | 19 | 33:54 | 37 |
| ლე ავრი | 38 | 7 | 5 | 26 | 30:67 | 26 |

### II დივიზიონი

ბასტია — ტრუა 2:1; ბულონი — ამიენი 4:0; ბრესტი — ნიმი 1:2; შატორუ — აიაჩო 2:1; დიჟონი — ლანსი 1:0; მეცი — გენგამი 2:0; მონპელიე — სტრასბური 2:1; რეიმსი — ანჟერი 0:0; სედანი — ტური 2:0; ვანი — კლერმონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 38 | 20 | 8 | 10 | 47:35 | 68 |
| მონპელიე | 38 | 19 | 9 | 10 | 61:36 | 66 |
| ბულონი | 38 | 20 | 6 | 12 | 51:36 | 66 |
| სტრასბური | 38 | 18 | 11 | 9 | 57:45 | 65 |
| მეცი | 38 | 17 | 12 | 9 | 48:35 | 63 |
| ტური | 38 | 17 | 10 | 11 | 50:41 | 61 |
| ანჟერი | 38 | 13 | 14 | 11 | 46:42 | 53 |
| დიჟონი | 38 | 14 | 10 | 14 | 43:46 | 52 |
| სედანი | 38 | 13 | 12 | 13 | 46:49 | 51 |
| ვანი | 38 | 14 | 9 | 15 | 34:45 | 51 |
| ბასტია | 38 | 13 | 9 | 16 | 38:47 | 48 |
| კლერმონი | 38 | 12 | 11 | 15 | 46:50 | 47 |
| გენგამი | 38 | 10 | 16 | 12 | 37:35 | 46 |
| შატორუ | 38 | 11 | 11 | 16 | 40:46 | 44 |
| აიაჩო | 38 | 11 | 11 | 16 | 44:56 | 44 |
| ნიმი | 38 | 11 | 11 | 16 | 32:46 | 44 |
| ამიენი | 38 | 9 | 16 | 13 | 35:40 | 43 |
| ბრესტი | 38 | 12 | 6 | 20 | 46:53 | 42 |
| რეიმსი | 38 | 8 | 15 | 15 | 43:52 | 39 |
| ტრუა | 38 | 9 | 11 | 18 | 39:48 | 38 |

### ნაციონალი

ბაიონი — ბუვე 1:0; კალე — კრეტეი 0:3; კარნო — ენტენტი 2:3; შერბური — ისტრი 0:3; კრუა დე სავოი — სეტე 2:1; ლავალი — პარიზი 2:2; ლიბურნი — კანი 3:0; ლუანი — არლე 3:3; ეური — ნიორი 0:0; როდეზი — გენიონი 0:0

## შვეიცარია

### სუპერლიგა

ბაზელი — იანგ ბოიზი 0:3; ციურიხი — გრასჰოპერსი 2:1; აარაუ — ვადუცი 2:0; ლუცერნი — ქსამაქსი 2:1; სიონი — ბელინცონა 2:2

### ჩელენჯლიგა

ბილი — ლოზანა 2:4; კონკორდია — შაფჰაუზენი 3:0; შო დე ფონი — თუნი 0:1; ივერდონი — ლუგანო 2:1; ლოკარნო — ვილი 0:1; ნიონი — ვოლენი 1:3; სერვეტი — გოსაუ 4:0; სტ. გალენი — ვინთერთური 3:2

## უკრაინა

### თასი. ფინალი

ვორსკლა — შახტარი 1:0

## ურუგვაი

### პრიმერა დივიზიონი

დანუბიო — სენტრალი 1:1; რამპლა — ხუვენტუდი 1:4; პენიაროლი — სერო 1:1; ლივერპული — ბელა ვისტა 3:3; სერო ლარგო — უონდერერსი 0:1; რივერ პლეიტი — ნასიონალი 2:1

## პორტუგალია

### თასი. ფინალი

ფერეირა 0:1 პორტუ

ფეხბურთი



# დიდი ამბებია!

## კაკა რეალში, ანჩელოტი ჩელსიში

**ამასწინათ** გაუწყეთ, რომ „მილანის" მეპატრონე სილვიო ბერლუსკონი თავისი კლუბის მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის შემოსწყრა, აქაოდა, ასეთი შემადგენლობით მეტს უნდა მიაღწიოსო.

ანჩელოტიმ პატრონის ის სიტყვები იწყინა და თქვა, თუ არ ვუნდივართ, წავალო.

ჰოდა, წავიდა კიდეც — გუშინ „ფიორენტინასთან" მატჩის მერე ანჩელოტი და „მილანი" მშვიდობიანად გაიყარნენ. ამის თაობაზე უკვე გაკეთდა ოფიციალური განცხადება.

თუმცა ეჭვია, რომ ბერლუსკონის ერთი სიტყვის გამო არ მომხდარა ეს ამბავი. საქმე ის არის, რომ კარგა ხანია, ლაპარაკობენ, ანჩელოტის „ჩელსი" ეპატიჟებაო და ვარაუდობენ, რომ ანჩელოტიმ ბერლუსკონი უბრალოდ სიტყვაზე გამოიჭირა, თორემ წასვლა გულში ადრევე ჰქონდა ამოჭრილი.

გუშინ საღამოსვე გაცხადდა ფრიად მნიშვნელოვანი სხვა ამბავიც: როგორც ესპანური მედია იუწყება, კაკა „რეალში" გადავიდა!

დიახ, კი არ გადადის, არამედ უკვე გადავიდა, რაც კლუბებს ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ჰქონიათ შეთანხმებული.

გარიგების ღირებულებად 60 მილიონ ევროს ასახელებენ, რაც დაახლოებით ორჯერ ნაკლებია იმასთან შედარებით, რასაც კაკაში „მანჩესტერ სიტი" იხდიდა.

ისიც ითქვა, რომ კონტრაქტი 5-წლიანია და ბრაზილიელი წელიწადში 9 მილიონს მიიღებს.

რაგბი

# რუსებთან თურქეთში

## მორაგბეებმა მეტოქე ტრაპიზონში დაიბარეს

**გადაწყდა,** საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები რუსეთს არა საფრანგეთში, არამედ თურქეთში უმასპინძლებს.

მოგეხსენებათ, აგვისტოს ომის მერე ევროპული რაგბის მამებმა გადაწყვიტეს საქართველოსა და რუსეთის ერთა თასის მატჩები ნეიტრალურ მოედნებზე გამართულიყო.

ისიც გეხსომებათ, რომ რუსებმა უკრაინულ მარიუპოლში გვიმასპინძლეს, სადაც ჩვენებმა იმარჯვეს და 2009 წლის ერთა თასის გამარჯვებულები გახდნენ.

მაშინ ითქვა, რომ საპასუხო თამაში საფრანგეთში გაიმართებოდა, სადაც ჩვენი ლეგიონერების უმრავლესობა თამაშობს, მაგრამ ახლა გადაწყდა, რომ რუსებს ტრაპიზონში დავუხვდებით. ეს მატჩი გაისად 21 მარტსაა დანიშნული.

ჩოგბურთი

# დარდიმანდობის შედეგი



**განთქმული** ავსტრალიელი ჩოგბურთელი მარკ ფილიპუსისი შავ დღეში ჩავარდა — მევალეები მილიონ დოლარზე მეტს და სახლ-კარს ედავებიან.

დარდიმანდულად ცხოვრების მოტრფიალე ფილიპუსისმა შარშან რაღაც ქაღალდებს მოაწერა ხელი, ისე, რომ წესიერად არც წაუკითხავს. ეს საკრედიტო დოკუმენტი იყო, რაც ჩოგბურთელმა სწორედ იმ სახლის საყიდლად აიღო, რომლის წართმევითაც ახლა ემუქრებიან. ახლა კი, როცა მევალეებმა თავისი მოითხოვეს, მარკი მიხვდა, რომ სესხი მეტად მძიმე პირობებით ჰქონია აღებული.

ახლა იხვეწება, რამდენიმე თვე მადროვეთ, ვეტერანთა ტურნირებზე ვარ მიწვეული, ფული გამიჩნდება და ვალსაც მერე გავისტუმრებო.

რაგბი

# სანამ საქართველო ოდესისთვის ემზადება

**გასულ** უქმეებზე ევროპული შვიდკაცას მესამე ეტაპი ჩატარდა, რომელსაც ხორვატულმა სპლიტმა უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებს მასში მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენები მომდევნო ეტაპზე გამოვლენ, რომელიც მომდევნო შაბათ-კვირას ოდესაში გაიმართება.

ტურნირის წესებს მოკლედ შეგახსენებთ.

სულ ექვსი ეტაპი ტარდება და თითოეული ნაკრები ამათგან ორში იღებს მონაწილეობას. საქართველოს ნაკრებმა პირველი, სოპოტური და მეოთხე, ოდესური ეტაპი ამოირჩია.

ეტაპის გამარჯვებულს 18 ქულა ეწერება, ფინალში დამარცხებულს — 16, მესამეზე გასულს —14 და ასე შემდეგ. ექვსივე ეტაპის დასრულების მერე 11 საუკეთესო შედეგის მქონე ნაკრები ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, მე-12 გუნდი კი, მასპინძელი გერმანია იქნება.

ხორვატული ეტაპი კი ასეთი შედეგებით დასრულდა:

**ფინალი**

**იტალია 10:28 საფრანგეთი**

**მე-3 ადგილისთვის**

**გერმანია 39:0 ხორვატია**

**მე-5 ადგილისთვის**

**კვიპროსი 14:33 ბელგია**

**მე-7 ადგილისთვის**

**უნგრეთი 0:28 ბოსნია**

**მე-9 ადგილისთვის**

**შვეიცარია 45:5 სერბეთი**

ამგვარად, სამი ეტაპის მერე საერთო ჩათვლა ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 18 | 18 | 36 |
| კვიპროსი | 12 | 8 | 20 |
| პორტუგალია | 18 | - | 18 |
| იტალია | 16 | - | 16 |
| პოლონეთი | 16 | - | 16 |
| რუმინეთი | 16 | - | 16 |
| საქართველო | 14 | - | 14 |
| ესპანეთი | 14 | - | 14 |
| გერმანია | 14 | - | 14 |
| ხორვატია | 12 | - | 12 |
| შვედეთი | 12 | - | 12 |
| ბოსნია | 6 | 6 | 12 |
| დანია | 10 | - | 10 |
| ბელგია | 10 | - | 10 |
| სერბეთი | 10 | 0 | 10 |
| ჩეხეთი | 8 | - | 8 |
| მონაკო | 8 | - | 8 |
| ლატვია | 6 | - | 6 |
| საბერძნეთი | 4 | - | 4 |
| უნგრეთი | 0 | 4 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 |
| ნორვეგია | 2 | - | 2 |
| ბულგარეთი | 2 | - | 2 |
| შვეიცარია | 2 | - | 2 |
| უკრაინა | - | - | - |
| რუსეთი | - | - | - |
| მოლდოვა | - | - | - |
| ჰოლანდია | - | - | - |
| ლიტვა | - | - | - |
| აზერბაიჯანი | - | - | - |



შოტლანდიური ეტაპი ფიჯელებმა მოიგეს

# ოცივე!

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრებმა სავალალო შედეგებით დაასრულა მსოფლიო რაგბოს სერია. ამ უქმეებზე ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა" შოტლანდიურ ეტაპზე ითამაშეს და ხუთივე მატჩი წააგეს.

შეგახსენებთ, რომ შოტლანდიური ეტაპი ბოლო იყო მსოფლიო სერიის ჩათვლაში. ქართველებმა სულ ოთხ ეტაპზე ითამაშეს, ჯამში 20 მატჩი გამართეს და ვაგლახ, ოცივეში მარცხი იწვნიეს.

ჩვენი შოტლანდიური შედეგები კი ასეთია:

**ჯგუფის მატჩები**

**სამოა 38:7 საქართველო**

**არგენტინა 54:0 საქართველო**

**უელსი 50:7 საქართველო**

**სანუგეშო მეოთხედფინალი**

**ინგლისი 31:7 საქართველო**

**ფიალასთვის**

**საქართველო 0:27 აშშ**

. ეტაპის გამარჯვებული კი ფიჯი გახდა, რომელმაც უდაძაბულეს ბრძოლაში 20:19 მოუგო სამხრეთ აფრიკას.

**ირაკლი ნინიძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი: ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი: გიორგი ოქრომჭედლიძე

მთავარი რედაქტორი: გიორგი დარჯანია

მთავარი რედაქტორის მოადგილე: კახა შალამბერიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge



სარეკლამო სამსახური: 93 16 08, 899 945 975